პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80
ექსპედიციის 5—43.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ. —40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის 13—80.

დ ღ ი უ რ ი

— ინდოეთში გრძელდება შეტაკებები სარწმუნოებრივ ნიადაგზე.
— გაიხსნა ერთა ლიგის საბჭოს მორიგი სესია.
— ლოიდ-ჯორჯი რჩება ლიბერალურ პარტიაში.
— ლიმოჟში (საფრანგეთში) კომუნისტებსა და ფაშისტებს შორის შეტაკება მოხდა.
— ინგლისმა და ოსმალეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას მოსულის შესახებ.
— შვეციაში შესდგა ახალი მთავრობა.
— ავსტრიელი მასწავლებლები ხელფასის გადიდებას მოითხოვენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი, 8 ივნისი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 128 (1583)

ჩვენი სკოლა და მოზარდი თაობა

სკოლის და მოზარდი თაობის საკითხს ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ, ასე იყო ყოველ შემთხვევაში აქამდის. სკოლების და მოწაფეების რიცხვი იზრდება სტიქიურად. ეს, რა თქმა უნდა, დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს; ჩვენი სკოლები დღესაც ვერ იტევენ სკოლის ასაკის ყველა ბავშვებს. ამიტომ პირველი საფეხურის ანუ დაბალი სკოლების რიცხვის ზრდა საჭიროცაა და აუცილებელიც. და ეს ასე უნდა იქნეს მანამ, სანამ სკოლის ასაკის ყველა ბავშვს შეძლება არ ექნება პირველი საფეხურის სკოლაში ისწავლოს. მაგრამ ჩვენ აქ ვაწყდებით მეორე საკითხს: რა მიმართულებით მიმდინარეობს ჩვენი მოზარდი თაობის სწავლა და აღზრდა? და აი აქ ჩვენ საკმარისად მოვისუსტებთ.

მართლაც ვაწესრიგებდით ჩვენ აქამდის მოზარდი თაობის სწავლა-განათლების საქმეს? შეიძლება ითქვას, რომ არა, ყოველ შემთხვევაში ძლიერ სუსტად. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ისეთ ახალგაზრდების რიცხვი, რომლებიც ათავებენ საშუალო სასწავლებლებს (შვიდწლედები და ცხრაწლედები) და რომლებიც ან უნდა შევიდნენ უმაღლეს სასწავლებელში და ან უნდა მონახონ რაიმე სამსახური ჩვენ სხვადასხვა დაწესებულებებში და კანცელარიებში, ყოველ წლივ მატულობს და უდრის რამდენიმე ათასს (წელს დაახლოვებით 5000-ს მაინც). მაგრამ ამათგან უმაღლეს სასწავლებელში შეიძლება მოხვდეს არა უმეტეს 300—400 კაცისა; ჩვენ დაწესებულებებს კი ან სრულებით არ შეუძლიათ სამსახურის მიცემა ამათთვის, ან შეუძლიათ მხოლოდ მცირედი და უმნიშვნელო ნაწილისათვის. მაშასადამე საშუალო სასწავლებლებში კურს დამთავრებულთა დიდი უმრავლესობა, დაახლოვებით იმათი 80 პროც. მაინც, რჩება როგორც უმაღლესი სკოლის, ისე სამსახურის გარეშე. სად უნდა წავიდეს ამოდენა ხალხი? სოფელში მას არ სურს დარჩენა, რადგანაც სასოფლო - სამეურნეო მუშაობისათვის, როგორც სრულებით მოუმზადებელი, იგი გამოუდეგარია და არ ვარგა; მაგრამ ეს ხალხი ვერ შევა ფაბრიკა - ქარხნებშიაც, რომც იქ იყოს ადგილი ან სამუშევარი, ვინაიდან აქაც იგი გამოუსადეგარია. ამ გვარად ეს ხალხი ყოველწლივ ამრავლებს ჩვენში ისედაც შედარებით მრავალრიცხოვან და არაკვალიფიციურ უმუშევარ ინტელიგენციის რიცხვს. ეს გარემოება ქმნის მართლაც ტრაგიკულ მდგომარეობას ამ ახალგაზრდობისათვის და ამაში იგი ხშირად ამტყუნებს მთავრობას. აშკარაა, რომ მთავრობა აქ არაფერ შუაშია, ვინაიდან მხოლოდ უგუნურ ადამიანს შეუძლია მთავრობა გაამტყუნოს იმაში, რომ ას არ შეუძლია ყოველწლივ სამსახურში მიიღოს 3000—5000 კაცი და ამნაირად არჩინოს ამოდენა ხალხი, რომელიც ამასთანავე არაფერს ქმნის. ამას გაგება უნდა.

რა თქმა უნდა, ასეთი მდგომარეობა ახლა არ შექმნილა ჩვენში. ის მივიღეთ ჩვენ მემკვიდრეობით; ის არსებობდა ყოველთვის და გამოწვეული იყო ორი გარემოებით: **ტეხნიკის და საწარმოო ძალების** განუვითარებლობით — ერთი მხრით, და მრავალრიცხოვანი თავადაზნაურობის და ვაჭრების სურვილით თავიანთ შვილებისათვის უმაღლესი სწავლა მიეღებინებინათ, რათა იმათგან მაღალი ხარისხის მოხელეები ანუ ჩინოვნიკები გამოსულიყვნენ — მეორე მხრით. ჩვენ ქვეყანაში, რომელიც საწარმოო ძალების მხრით განუვითარებელია, ამავე მიდრეკილებით გაჟღენთილია სხვადასხვა წვრილბურჟუაზიული წრეები, და საერთოდ ეს სენი მოდებული აქვს დღეს ჩვენში ხალხის ფართო მასას. ყველას სურს თავისი შვილი შეიყვანოს ან „სამსახურში" ან უმაღლეს სასწავლებელში.

ამაში, რომ ვისმეს ბრალი დავსდვათ,— აქედან არაფერი გამოვა: ბრალი უნდა დაედვას მთელ ჩვენს წარსულს, ჩვენს უკულტურობას, ჩამორჩენას. ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ და მივიღოთ რეალური ზომები, რათა თავი დავახწიოთ ამ მდგომარეობას, მოვძებნოთ გამოსავალი იმ ჩიხიდან, სადამდისაც ჩვენ მიგვიყვანა წარსულმა ცხოვრებამ. ეს გამოსავალი უკვე ნახულია. აქ არაფერია ახალი. ეს გამოსავალი მდგომარეობს იმაში, რომ ყველა საფეხურის სკოლა ვალდებულია მისცეს შეგირდებს ისეთი აღზრდა, ისეთი დამთავრებული ცოდნა, რომ სკოლიდან გამოსულ ახალგაზრდობას,—სულ ერთია რა სკოლაც არ უნდა დაამთავროს მან, შეეძლოს ცხოვრებაში გამოიყენოს შეძენილი ცოდნა. ე. ი. მე ვამბობ, რომ სკოლამ უნდა ასწავლოს ბავშვს ის, რაც მას ცხოვრებაში გამოადგება, რომ მან შესძლოს თავის ცოდნის გამოყენება პრაქტიკულ ცხოვრებაში. ამაზე ბევრჯერ თქმულა და დაწერილა, ეს არაა აღმოჩენა, მაგრამ მიუხედავათ ამისა ამაზე ლაპარაკი და მიზე მითითება კიდევ და კიდევ საჭიროა. საქმე მარტო ტეხნიკურ და ნივთიერ სიძნელეში როდია, რაც ამის განხორციელებას წინ ელობება და მას აბრკოლებს, არამედ იმაშიაც, რომ აქ ჩვენ უნდა ვსძლიოთ ძველ ტრადიციებს, რაზედაც მე ზევით მივუთითე.

როგორც ხედავთ, აქ ბევრნაირი სიძნელეა დასაძლევი და მთავარი ამოცანა, რაც დღეს სახალხო განათლების უწყების წინაშე დგას, არის ის, რომ მან უკვე გადაწყვეტილი ნაბიჯი გადადგას წინ სწავლა - განათლების საქმეში. ეს ახალი ნაბიჯი მდგომარეობს იმაში, რომ დღევანდელი სკოლა (მე ვამბობ სკოლის ყველა საფეხურებზე) უნდა გარდაიქმნათ ისე, როგორც ამას ცხოვრება თხოულობს. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო აქ, რომ სახალხო განათლების კომისარიატს ამ მხრით უკვე უცდია ამის განხორციელება. ამ დღეებში მე დავათვალიერე თბილისში რამოდენიმე სკოლა საშუალო ტიპის. ესენია: **სამრეწველო, ქიმიური და სასოფლო - სამეურნეო ტეხნიკუმები.** (ეს უკანასკნელი მხოლოდ ეხლა იწყება). ეს სასწავლებლები, განსაკუთრებით სამრეწველო კარგს შთაბეჭდილებას ტოვებენ. აქედან გამოსული ახალგაზრდობა არ დაიკარგება; იგი საზოგადოების სასარგებლო წევრი გახდება. იგი მეტ ბარგად კი არ დააწვება ხალხს, არამედ ხელს შეუწყობს ჩვენ დაცემულ და უკან ჩამორჩენილ წარმოების განვითარებას. ეს ახალგაზრდები ღებულობენ დამთავრებულ ცოდნას ამა თუ იმ დარგში; იმათ უშუალოდ შეუძლიათ მუშაობა დიდ სახელოსნოებში და ფაბრიკა - ქარხნებში, როგორც ოსტატებს, ტეხნიკოსებს, ან ინჟენერების თანაშემწეებს. ესაა ნამდვილი რეალური ცოდნა ბუნების ყოველგვარი მოვლენების გამოყენებისათვის. ის ზოგადი ე. წ. ჰუმანიტარული განათლება, რასაც აქამდის ჩვენში ადგილი ქონდა და რასაც ასე ეწაფებოდა და დღესაც ეწაფება ჩვენი ახალგაზრდობა, ამრავლებდა ჩვენში უსაქმურებს, უკეთეს შემთხვევაში ბიუროკრატიულ მოხელეებს. ამას დღეს გადაჭრით უნდა გამოეცხადოს ბრძოლა.

ერთი სიტყვით სკოლები უნდა მოეწყოს ისე, რომ ისინი იძლეოდნენ მცოდნე მუშაკებს, როგორც სასოფლო-მეურნეობის, ისე ქალაქის მრეწველობისათვის. ასეთ ამოცანის წინაშე ვდგევართ დღეს ჩვენ. ყოველგვარი ღონისძიება უნდა იქნას მიღებული ამ ამოცანის სასურველად გადასაჭრელად. მართლაც რასა გავს, როცა გლეხი ან მუშა წელებზე ფეხს იდგამს იმისთვის, რომ თავის შვილს უთუოდ უმაღლეს სასწავლებელში გაათავებინოს სწავლა! ვის შეუძლია ეს? და მერე ვისთვისაა ეს საჭირო? არა, ასეთი მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს.

ფ. მახარაძე.

ჩვენი მეურნეობის საკითხები

II

როგორ უნდა ვებრძოლოთ საქონლის ნაკლებობას?

პირველ წერილში ჩვენ ავღნიშნეთ საქონლის ნაკლებობის მთავარი მიზეზები. ეხლა ისმება მეორე საკითხი—როგორ შეიძლება ვებრძოლოთ საქონლის ნაკლებობას, როგორ შეიძლება საქმე მოვაწყოთ ისე, რომ შევსძლოთ დაკმაყოფილება სამრეწველო პროდუქტებით როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოთხოვნილების?

შევჩერდეთ ამ საკითხზე.

თუ წელს მივაღწიეთ ომის წინად არსებულ დონეს და მიუხედავათ ამისა ვდგევართ საქონლის სიმცირის ფაქტის წინაშე, რა იქნება ორი, სამი, ხუთი ან ათი წლის შემდეგ? თავის თავად ცხადია, რომ ეს საქონლის ნაკლებობა იმატებს, მდგომარეობა მეტად გამწვავდება, თუ ეხლავე არ მივიღეთ რადიკალური ზომები მის წინააღმდეგ.

საქონლის ნაკლებობა იწვევს საცალო ფასების ზრდას, სპეკულიაციას კერძო ბაზარზე. ერთის მხრივ—მცირე რაოდენობა საქონლისა, მეორეს მხრივ კი დიდი ფასები აი რა იქნება შედეგი არსებული მდგომარეობის გაგრძელების. ეს მდგომარეობა კი იწვევს გლეხკაცობის და მუშების უკმაყოფილებას. ამით მათი პოლიტიკური კავშირი საფრთხეში ჩავარდება. ამ კავშირის დანგრევასთან კი დაიღუპება ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვრები.

ჩვენმა პარტიამ ეს საკითხი დასვა თავის დროზე და მას შესაფერი პასუხიც გასცა.

როგორია კომუნისტური პარტიის ხაზი სამეურნეო მშენებლობაში? როგორ შეიძლება მოვსპოთ საქონლის ნაკლებობა?

ჯერ კიდევ მეთოთხმეტე ყრილობამ, რომელიც გასული წლის დეკემბერში მოხდა, აღნიშნა, რომ საჭიროა ჩვენი ქვეყნის **სამრეწველო ქვეყნად გადაქცევა, მისი აგრარული ხასიათის შეცვლა.** მრეწველობას უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება, აღებული უნდა იქმნას კურსი ინდუსტრიალიზაციაზე.

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყრილობის აზრით საჭიროა სოფლის მეურნეობას ყურადღება არ მიექცეს. ეს დიდი შეცდომა იქნებოდა. სოფლის მეურნეობის ზრდას ყოველნაირად ხელი უნდა შევუწყოთ, მაგრამ ეხლა ყურადღების ცენტრში უნდა იქნას **მრეწველობის სწრაფი განვითარება, რადგან განვიცდით სამრეწველო საგნების ნაკლებობას. ამასთან ერთად სოფლის მეურნეობის წინსვლაც დღეს შეუძლებელია მრეწველობის ჩქარი განვითარების გარეშე.**

მეთოთხმეტე ყრილობამ მოგვცა ძირითადი დებულებები, მთავარი დირექტივა, რომელთა ნიადაგზე უნდა ვაწარმოოთ შემდეგი მუშაობა. კონკრეტიული ღონისძიებები კი გამომუშავებულ იქნა ცენტრალურ კომიტეტის უკანასკნელ პლენუმზე.

კურსი ინდუსტრიალიზაციაზე უნდა აღებულ იქნას მტკიცეთ. უნდა შევსცვალოთ შეფარდება მრეწველობის და სოფლის მეურნეობის შორის. მრეწველობის პროდუქცია უნდა გაიზარდოს უფრო დიდი ტემპით, ვიდრე სოფლის მეურნეობის. **მრეწველობის ხვედრითი წონა მთელ სახალხო მეურნეობაში უნდა გადიდდეს.**

სწორია თუ არა ეს ხაზი?

იმის შემდეგ, რაც ჩვენ გამოვარკვიეთ საქონლის ნაკლებობის მიზეზები, ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ეს ხაზი სწორია. კურსი ინდუსტრიალიზაციაზე არის ერთად-ერთი პასუხი, რომელიც შესაძლებელია გავსცეთ ჩვენს წინაშე დასმულ ამოცანებს ისე, რომ რევოლიუციის მონაპოვრები არ დავღუპოთ და ამავე დროს კიდევ უფრო სწრაფად წავიდეთ წინ.

მხოლოდ ქალაქის ნაწარმოების უფრო მეტი დამზადება, მის უფრო იაფ ფასებში მიწოდება სოფლისადმი გამოგვიყვანს ჩვენ მდგომარეობიდან, რომელშიც დღეს ვიმყოფებით. მხოლოდ მრეწველობის სწრაფი ტემპით ზრდა მოგვცემს საშუალებას წარმატებით ვებრძოლოთ საქონლის ნაკლებობას, რომელიც მომავალ წლებში კიდევ უფრო გაძლიერდება თუ ეხლავე არ მივაქციეთ მას ყურადღება და არ მივიღეთ შესაფერი ზომები. მხოლოდ ჩვენი მეურნეობის აგრარულ სახის შეცვლა მოგვცემს აუცილებელ დადებით შედეგებს.

ინდუსტრიალიზაციას აქვს ის მნიშვნელობაც, რომ ჩვენ საკუთარ ფეხებზე დავდგებით და უფრო ნაკლებ ვიქნებით დამოკიდებული კაპიტალისტურ ქვეყნებისაგან. ბლოკადის დროს ჩვენ საშუალება გვექნება საჭირო საქონელი ჩვენშივე დავამზადოთ. მაშასადამე, პარტიის მიერ აღებულ ხაზს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ დამოუკიდებლობის და სიმტკიცისათვის.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ინდუსტრიალიზაციაზე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ორი გარემოება. პირველი: ინდუსტრიალიზაცია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით მაშინ იქნება ფაქტი, როდესაც შევსძლებთ **მძიმე ინდუსტრიის** (რკინის, თუჯის, მანქანების წარმოების) განვითარებას, აი ამას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება. მანქანები, რომლებიც დღეს საზღვარ-გარეთიდან შემოგვაქვს ჩვენშივე უნდა იქნეს დამზადებული. მძიმე ინდუსტრიის განვითარება — აი ერთი დამახასიათებელი თვისება იმ ინდუსტრიალიზაციის, რომელსაც ჩვენ შევუდექით. მეორე დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ ინდუსტრიალიზაცია ჩვენს პირობებში არის და შეიძლება მხოლოდ **სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია** ე. ი. ზრდა სოციალისტური ელემენტებისა. მართლაც ინდუსტრიალიზაციას ადგილი აქვს კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც, მაგრამ ამას არ ჩამოგავს ჩვენი ინდუსტრიალიზაცია. განსხვავება აქ იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა კავშირში არ ბატონობს კაპიტალიზმი, რომ ჩვენი მრეწველობის სოციალური ბუნება სოციალისტურია და არა კაპიტალისტური. ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს.

ინდუსტრიალიზაცია ანუ აგრარული ქვეყნის სამრეწველო ქვეყნად გადაქცევა ადვილი საქმე არ არის. ამას დიდი ხანი უნდა. არც ერთ ქვეყანაში ის არ მომხდარა უცბათ ან მცირე ხნის განმავლობაში. ასე იქნება ჩვენშიაც. ჩვენ დაგვჭირდება დიდი დრო ინდუსტრიალიზაციისათვის მით უმეტეს, რომ კაპიტალისტური ქვეყნები არ გვაძლევენ მნიშვნელოვან სესხს.

შევსძლებთ თუ არა ჩვენ ამ უდიდესი ამოცანის გადაწყვეტას? შევსძლებთ თუ არა საბჭოთა რესპუბლიკების მეურნეობის აგრარული ხასიათის შეცვლას?

ჩვენ აღვადგინეთ მრეწველობა, ავამუშავეთ ძველი ფაბრიკა-ქარხნები. მაგრამ ეხლა ეს საკმარისი როდია. ეხლა საჭიროა წინსვლა, **ახალი** ფაბრიკა-ქარხნების შექმნა. ამისათვის კი საჭიროა კაპიტალი, რაც ჩვენ ნაკლებათ მოგვეპოვება. ამიტომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია არის უძნელესი საკითხი.

დაიჭერს თუ არა ჩვენი პარტია და ხელისუფლება ამ უდიდეს ისტორიულ გამოცდას?

თუ კარგად ჩაუფიქრდებით ამ საკითხს, დავრწმუნდებით, რომ ჩვენ შევსძლებთ ამ გამოცდის დაჭერას, ამ უძნელესი რთული საკითხების გადაწყვეტას.

საგარეო სესხს დიდი მნიშვნელობა აქვს მრეწველობის განვითარებისათვის. მაშინ უფრო ჩქარი ტემპით ვითარდება მრეწველობა.

ჩვენ მოკლებული ვართ მნიშვნელოვან საგარეო სესხს. ეს, უეჭველია, გავლენას მოახდენს ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპზე. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია განვახორციელოთ ინდუსტრიალიზაცია. ქვეყნის შიგნით მოგვეპოვება საკმაო რესურსები იმისათვის, რომ მოვახმაროთ ისინი ჩვენი მეურნეობის წინსვლას. **სოციალისტური დაგროვება**—აი მთავარი პირობა საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციისა.

სოციალისტური დაგროვება ხდება სხვადასხვა გზით. მრეწველობა, ტრანსპორტი, საგარეო და საშინაო ვაჭრობა, კოოპერაცია, ბანკები და სხვა საკრედიტო დაწესებულებები, აი, მთავარი წყაროები სოციალისტური დაგროვების. ამას გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს შინაურ სესხსაც, გლეხების, შინამრეწველების, კერძო კაპიტალისტების დაგროვების გამოყენებას ჩვენი მრეწველობის ზრდისათვის.

აღნიშნული დარგები დღეს იძლევიან ერთნაირ მოგებას, რომელიც შეიძლება დავაბანდოთ წარმოებაში. მიმდინარე წელს ჩვენ უკვე შევსძელით ახალ მშენებლობას შევსდგომოდით ამ გზით. მომავალ წლისათვის განზრახულია მთელი რიგი ახალი ფაბრიკა-ქარხნების აშენება.

რა თქმა უნდა, ჩვენ, ახალი მშენებლობის დარგში, ვერ წავალთ წინ ისე სწრაფად, როგორც მივდიოდით ძველი მრეწველობის აღდგენის დროს. ტემპი უეჭველად უფრო ნელი იქნება. მიუხედავათ ამისა წინსვლა მაინც შესაძლებელია; ამრიგად ინდუსტრიალიზაცია არის არა ოცნება, ილიუზია, არამედ ის სახელმძღვანელო ხაზი, რომელსაც პარტია და ხელისუფლება უკვე მიყვება. საგარეო სესხი დააჩქარებდა ამ პროცესს, მაგრამ როგორც ვხედავთ უამისოდაც მოიპოვება ჩვენში შინაგანი ძალები, რომლებიც მოგვცემენ საშუალებას მეთოთხმეტე ყრილობის დადგენილების განხორციელებისას.

ზემონათქვამიდან აშკარაა, რომ პარტიამ გარკვეული და სწორი პასუხი გასცა იმ რთულ საკითხებს, რომლებიც ჩვენს წინაშე იდგა და სდგას. პარტიის დადგენილებების ცხოვრებაში გატარება საუკეთესო საშუალებაა საქონლის ნაკლებობასთან საბრძოლველად. ამასთან ერთად ის მოგვცემს ჩვენ საშუალებას სწრაფი ნაბიჯით წავიდეთ წინ სოციალისტური მშენებლობის გზით.

პარტიის ხაზიდან ორნაირ გადახრას აქვს ადგილი. ერთი ჯგუფი ამხანაგებისა იმ აზრისაა, რომ საჭიროა საგადასახადო პოლიტიკის იმნაირათ წარმართვა, რომ სახელმწიფოს ჰქონდეს აქედან მეტი შემოსავალი, რაც უნდა მოხმარდეს ინდუსტრიალიზაციის საქმეს. გადასახადების გადიდება, საქონლის ფასების მომატება, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასინჯვა იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო მეტი დაიხარჯოს მრეწველობაზე, ვიდრე ეხლა არის განზრახული, აი მათი პრაქტიკული წინადადებები. ასეთია უკიდურესი ინდუსტრიალისტების შეხედულება.

აღნიშნული წინადადებების ცხოვრებაში გატარება გამოიწვევდა ცუდ შედეგებს, დაბადებდა უკმაყოფილებას გლეხკაცობაში. მეორეს მხრივ ეს მიზანშეწონილი არ არის ეკონომიური მოსაზრებითაც. მრეწველობა უნდა განვითარდეს **უფრო სწრაფად,** ვიდრე სოფლის მეურნეობა. ასეთია ჩვენი პოლიტიკა დღეს. მაგრამ არ შეიძლება ზურგზე ისეთი ტვირთი მოვიკიდოთ, რომლის ზიდვაც არ შეგვიძლია. მრეწველობის კიდევ უფრო სწრაფი განვითარება, ვიდრე ეს განზრახულია საგეგმო ორგანოების მიერ (სწორედ ამას მოითხოვენ უკიდურესი ინდუსტრიალისტები) ჩვენი რესურსების მიხედვით, ჩვენს პირობებში შეუძლებელია. საქონლის ფასების გადიდება გამოიწვევდა მუშების რეალური ხელფასის დაცემას, მათი მდგომარეობის გაუარესებას. ასეთივე ცუდ გავლენას მოახდენდა ის გლეხკაცობაზე. არა ფასების მომატება საქონელზე, არამედ მისი კიდევ უფრო გაიაფება შრომის ნაყოფიერების გაზრდით, ტეხნიკის გაუმჯობესებით, ასეთია პარტიის ხაზი. აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ საჭიროა საცალო ფასების გადიდებასთან სასტიკი ბრძოლა.

ზოგიერთი ამხანაგების აზრით ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია შესაძლებელია მისი კიდევ უფრო მეტი აგრარიზაციის შემწეობით. სოფლის მეურნეობის ზრდასთან ერთად გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო საქონლის ექსპორტი და ამით მოგვეცემა საშუალება ხელი შევუწყოთ მრეწველობის განვითარებასაც. ეს გზა მიუღებელია, რადგან ის მიგვიყვანდა ჩვენ ეკონომიურ ჩამოქვეითებამდის, ჩვენი სამხედრო ძლიერების შესუსტებამდის, კაპიტალისტური ქვეყნებისადმი დაქვემდებარებამდის. ამიტომ ეს გზაც მიუღებელია ჩვენთვის.

პარტიამ უარჰყო ორივე ეს გადახრა, ფარდა ახადა მათ შეცდომებს, ნათელი გახადა მათი უარყოფითი მხარეები. **პარტიამ მტკიცეთ აიღო კურსი ინდუსტრიალიზაციაზე, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში, იმ რესურსების მიხედვით, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება.** გადახრა ამ ხაზიდან მიგვიყვანს არასასურველ ეკონომიურ და პოლიტიკურ შედეგებამდის.

კ. ორაგველიძე.

საბჭოთა პრესა

ხელფასის საკითხი კერძო წარმოებებში

როგორც ვიცით, საკავშირო პროფკავშირთა საბჭომ, მიიღო რა მხედველობაში ჩვენი ეხლანდელი სამეურნეო სიძნელენი, წინადადება მისცა პროფკავშირებს ახალ კოლხელშეკრულებათა დადების დროს ამ ჟამად არ წამოეყენებიათ ხელფასის გადიდების საკითხი, მრეწველობის ზოგიერთ ცალკე დარგების გამოკლებით, რომელნიც ხელფასის მხრივ ჩამორჩენილი არიან. ეს დირექტივა, ცხადია, ეხებოდა მხოლოდ სახელმწიფოებრივ წარმოებებს და დაწესებულებებს, რაც კიდეც იყო მკაფიოთ აღნიშნული პროფსაბჭოს ცირკულიარულ წერილში. მაგრამ, როგორც გაზ. „ტრუდ" გადმოგვცემს, ზოგან პროფკავშირებს ისე გაუგიათ ხსენებული დირექტივა, თითქო ისინი არ უნდა ცდილიყვენ ხელფასის მომატებას კერძო მრეწველობაშიც, **საერთო** სამეურნეო სიძნელეთა მიზეზებით. ესაა კერძო წარმოებებში შრომის მოწესრიგების საკითხზე პროფკავშირების პოლიტიკის სრული დამახინჯება. „ტრუდ" სწერს ამის გამო:

„თავისთავად ცხადია, და ეს არა ერთხელ თქმულა,—რომ პროფკავშირმა, როცა კერძო დამქირავებლებს მოთხოვნებს უყენებს, მხედველობაში უნდა მიიღოს ამა თუ იმ წარმოების სამეურნეო შესაძლებლობანი და შეუსრულებელი მოთხოვნები არ უნდა იქნას წარმოდგენილი. შემდეგ სავსებით ცხადია, რომ ამჟამადაც ხელშეკრულებათა ხელახალი დადების დროსაც, კავშირები ვალდებული არიან ანგარიში გაუწიონ კერძო წარმოებათა მდგომარეობას და მათ შესაძლებლობათ. შეიძლება იყოს ცალკე შემთხვევები, როცა, მართლაც, ობიექტიურად შეუძლებელია ხელფასის არსებული დონის გადიდება ამა თუ იმ კერძო წარმოებაში, შეიძლება იყოს შემთხვევები, როცა ცალკე წარმოებანი, მართლაც, განიცდიან გაჭირვებას, და ამას, ცხადია, ანგარიში უნდა გაეწიოს. მაგრამ საერთოდ და მთლიანად კავშირების ხელფასის პოლიტიკა კერძო წარმოებებში, უმთავრესად, უნდა გამომდინარეობდეს იმ დებულებიდან, რომ საჭიროა კერძო მრეწველობაში დაბანდებულ მუშების ნივთიერ მდგომარეობის მაქსიმალურად გაუმჯობესება".

სხვათა შორის, ერთი გარემოება არ უნდა იქნეს დავიწყებული. სახელმწიფოებრივი მრეწველობა მთლიან ორგანიზმს წარმოადგენს. შეიძლება მისი რომელიმე დარგი, ცალკე აღებული, იძლეოდეს ხელფასის მომატების საშუალებას, მაგრამ კავშირებმა უნდა გაითვალისწინონ არა მარტო ამა თუ იმ დარგის, არამედ მთელი მრეწველობის მდგომარეობა, და ამ საერთო მდგომარეობის შეფასებიდან უნდა გამოდიოდნენ ისინი თავის სატარიფო პოლიტიკის გამომუშავების დროს. სულ სხვაა კერძო მრეწველობა. „ტრუდ" ამბობს:

„აქ თვითეული წარმოება წარმოადგენს დამოუკიდებელ ინდივიდუალურ მეურნეობას. კავშირების მოთხოვნები უნდა განისაზღვროს მხოლოდ და მარტო იმ შესაძლებლობებით, რომლებიც გამოდინარეობენ ამა თუ იმ წარმოების მდგომარეობიდან, და მუშების ხელფასის დონით, და არა სახალხო მეურნეობის საერთო მდგომარეობითა, ან მთელი კერძო მრეწველობის მდგომარეობით. სამეურნეო სიძნელეთა არსებობამ სახელმწიფოში და პროფკავშირების საერთო ხაზმა ხელფასის საკითხებში სახელმწიფოებრივ მრეწველობის მიმართ არავითარი გავლენა არ უნდა მოახდინოს პროფორგანიზაციების სატარიფო პოლიტიკაზე კერძო წარმოებების მიმართ".

ეს საანბანო ჭეშმარიტებაა, მაგრამ, როგორც ეტყობა იგი არა ყველას მიერაა კარგად შეგნებული. კერძო წარმოებებში არსებობს ინტერესთა გარდაუვალი წინააღმდეგობა მუშებსა და დამქირავებელთა შორის, და ეს მომენტი განსაზღვრავს მათ ურთიერთ დამოკიდებულებას; საბჭოთა სახელმწიფოებრივ მრეწველობასა და მუშათა კლასს შორის კი არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ადგილი რაიმე პრინციპიალურ წინააღმდეგობას, მიტომ რომ ეს მრეწველობა სახელმწიფოებრივ ორგანიზაციაში შეკავშირებულ პროლეტარიატის საერთო კუთვნილებას შეადგენს. ამის მიხედვით სულ სხვანაირია პროფკავშირების სატარიფო პოლიტიკა ერთი მხრივ სახელმწიფოებრივ, მეორე მხრივ კერძო მრეწველობის მიმართ. ეს გარემოება პროფკავშირებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ მხედველობაში.

პოლონეთის დასავლეთ პროვინციებში არეულობა დაიწყო

ტარნოვში და ლვოვში საგანგებო წესები გამოაცხადეს.—ტარნოპოლის და ლვოვის უნივერსიტეტი დახურეს.—პოლონეთის „სოციალისტური" პარტია სეიმის დათხოვნას მოითხოვს.—ყოფ. სამხედრო მინისტრი გენ. მალჩევსკის სცემეს დაპატიმრების შემდეგ

ინგლისელი მაღაროს მუშები ხანგრძლივი ბრძოლისათვის ემზადებიან

ხელფასის დაკლება ფოსტის მოსამსახურეებისათვის ინგლისში.—მაღაროს მუშათა საერთაშორისო ფედერაცია ეხმარება გაფიცულებს

ინგლისმა და ოსმალეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას მოსულის შესახებ

მდგომარეობა პოლონეთში

არეულობა

ბერლინი, 7 ივნისი. პოლონეთის დასავლეთ პროვინციებში დიდი ანტი-პოლონური დემონსტრაციები მოხდა, რომლის დროს რამოდენიმე კაცი მოკვდა, რამდენიმე დაიჭრა და ზოგიც დაატუსაღეს.

პოლონეთის დასავლეთ პროვინციებში და ტარნოპოლში სამხედრო მდგომარეობაა გამოცხადებული, ტარნოვში და ლვოვში კი საგანგებო მდგომარეობა. ტარნოპოლისა და ლვოვის უნივერსიტეტები დახურულია. დატუსაღებულია 100 სტუდენტამდე. გაზეთებზე ცენზურაა დაწესებული.

ბერლინი, 7 ივნისი. ვარშავიდან მიღებულ ცნობებით შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ პოზნანში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების მიზეზი გერმანულ რევოლიუციონერების შოვინისტური აგიტაციაა.

ვარშავა, 7 ივნისი. მემარჯვენე პარტიები მოითხოვენ სეიმის დაშლას მხოლოდ კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის შეცვლის წინასწარ ვოტუმისა და ბიუჯეტის წონასწორობის დამყარებისა და ფინანსიურ გაჯანსაღების ზომების მიღების შემდეგ.

მოსციცკის მოწოდება

ვარშავა, 6 ივნისი. პოლონეთის პრეზიდენტმა მოსციცკიმ გამოაქვეყნა მოწოდება, სადაც მცხოვრებთ მოუწოდებს „საერთო შრომისაკენ სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის". მოწოდება რელიგიურ ტონით არის შედგენილი და ღმერთისადმი მიმართვით თავდება; პოლიტიკურ საკითხზე კი კრინტიც არ არის დაძრული.

ჰალერის პროტესტი

ვარშავა, 6 ივნისი. გენერალმა ჰალლერმა პრესაში გამოაქვეყნა ღია წერილი, სადაც აცხადებს, რომ მას არ შეუძლია დუმილით დაფაროს ის ფაქტი, რომ ყოფილი სამხედრო მინისტრი მალჩევსკი დაპატიმრების შემდეგ გალახულ იქნა საშინლად. ჰალერი პროტესტს აცხადებს და მიმართავს სეიმს და სენატს, რომ მათ ასეთ უმაგალითო სიმკაცრეს და აბუჩათ აგდებას ბოლო მოუღონ.

სეიმის დათხოვნას ითხოვენ

ვარშავა, 6 ივნისი. როგორც სჩანს, ახალი მთავრობის შექმნა ორშაბათამდე არ მოხდება. მთავრობის ჩამოყალიბებაში პოლიტიკური პარტიები არავითარ მონაწილეობას არ იღებენ. **პოლიტიკურ ცხოვრების ცენტრი გადატანილია არა სეიმში, არამედ სამეფო კოშკში, სადაც მოსციცკი და პილსუდსკი ცხოვრობენ.**

სეიმის თავმჯდომარე **რატაი** რამდენიმე დღით შვებულებაში წავიდა. ამგვარად ახალი კაბინეტი შეიქმნება საკანონმდებლო დაწესებულების მეთაურთა მონაწილეობის გარეშე. პრემიერად ფიქრობენ **ბართელის** დანიშვნას.

საკითხი სეიმის გაშვების შესახებ, ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, **პოლონეთის სოციალისტური პარტია მოითხოვს სეიმის დაუყოვნებლივ გაშვებას:** ამ პარტიის ორგანო „რაბოტნიკი" აცხადებს:

ახლანდელი შემადგენლობით სეიმის არსებობა საფრთხეში აგდებს თვით პარლამენტარიზმის პრინციპს, რადგან სეიმი გვერდზეა მიგდებული, დამცირებულია და არავის შეხედულებას არ გამოხატავს; ახალი არჩევნები უნდა დაინიშნოს ახლავე".

გლეხთა პარტია სეიმის დაუყოვნებლივ გაშვებას მოითხოვს და არჩევნების დანიშვნას არა უგვიანეს ოქტომბრისა. გლეხთა პარტია არავითარ უკიდურეს საშუალებას არ დაერიდება, რათა ახლანდელი შემადგენლობის სეიმის გაშვებას მიაღწიოს.

შრომის ხელფასს უკლებენ

ლონდონი, 6 ივნისი. ამას წინათ ფოსტის მოსამსახურეთა პროფკავშირმა მთავრობას მიმართა მოთხოვნილებით, რომ სამუშაო ქირას მოემატოს და შრომის პირობები გაუმჯობესდეს. მთავრობამ ყურადღება არ მიაქცია ფოსტის მოსამსახურეთა მოთხოვნილებას და ამ საბაბით ყოველგვარ მოლაპარაკების გამართვაზე უარი სთქვა.

ახლახან ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრმა ფოსტის მოსამსახურეთა პროფკავშირს გაუგზავნა წერილი, რომლითაც აცნობებს, რომ ახლო მომავალში სამრეწველო სამმართველოში მოსმენილ იქნება მთავრობის კონტრ-მოთხოვნილება, ზოგიერთ კატეგორიის ფოსტის მოსამსახურეთა სამუშაო ქირის დაწევის შესახებ.

სოლიდარობის კამპანია

ამსტერდამი, 6 ივნისი. ინგლისის რკინისგზელთა და ტრანსპორტელთა პროფკავშირებს ჯერ კიდევ არ გაუციათ პასუხი ედდო ფიმმენის წინადადებაზე, ინგლისის მთამადნელთა და კონტინენტის პროფკავშირებს შორის შეთანხმების კამპანიის ჩასატარებლად.

ჰოლანდიის კომპარტიის ორგანოს „დე-ტრიბუნი"-ს უსაფუძვლოდ მიაჩნია ფიმმენის იმედები, რომ მის მოწოდებას პროფკავშირები გამოეხმაურებიან და მუშებს მოუწოდებს, **რათა მხარი დაუჭირონ ფულების მოკრეფის კამპანიას, რომელიც საერთაშორისო მუშათა დამხმარე კომიტეტის და მუშათა ნაციონალურ სამდივნოს მიერ სწარმოებს.**

ხელშეკრულება მოსულის შესახებ

ბერლინი, 7 ივნისი. ლონდონში მიღებულია ცნობა, რომ გუშინ ხელი მოაწერეს ინგლის-ოსმალეთის ხელშეკრულებას, რომლის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებდა ლინდსეი.

ლონდონში ჯერ არ არის მიღებული ხელშეკრულების სრული ტექსტი.

როგორც იუწყებიან, ახალი საზღვარი მხოლოდ ოდნავ სცვლის ბრიუსელის ხაზს. ოსმალეთი სცნობს ირაქს და თავისი ეკონომიური პრეტენზიების მაგიერ ნავთის კონცესიების 10 პროცენტს ღებულობს.

ბანდიტიზმის და სანაპირო ხაზზე თავდასხმის წინააღმდეგ საბრძოლველად და აგრეთვე საზღვრები სგანაპირა მცხოვრებ ტომებს შორის პროპაგანდის მოსასპობათ პერიოდულათ შეიკრიბება ოსმალეთის და ინგლისის წარმომადგენელთაგან შემდგარი კომისია.

„ობსერვერ"-ის დიპლომატიური კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ოსმალეთისა და ირაქისათვის აწესებს შეთანხმებას, შეუძლებლად ხდის შეტაკებას საზღვრებზე, გზას უხსნის ოსმალეთის, ინგლისის და ირაქის თანამშრომლობას და აუქმებს ერთს იმ ფაქტორთაგანს, რომელიც გავლენას ახდენდა არა მარტო ეგვიპტისა და ინდოეთის საქმეებზე, არამედ სხვა მნიშვნელოვან საკითხებისა და დასავლეთ ევროპის დიპლომატიის მუშაობაზეც.

„დეილ-მეილი"-ს სტამბოლელი კორესპონდენტი ამბობს, რომ ინგლის-ოსმალეთის ხელშეკრულება 50 მილიონ ნეიტრალურ ტერიტორიას ბრიუსელის ხაზის გასწვრივ ორივე მხრით და აძლევს ოსმალეთს 25 წლის განმავლობაში ირაქის ნავთის შემოსავლის 10 პროცენტს, რომ შემოსავალი გამოანგარიშებულ უნდა იქნეს არა მარტო მოსულის, რარამედ მთელი მესოპოტამიის ნავთის წარმოებიდან.

ინგლისის თვალსაზრისით

ლონდონი, 6 ივნისი. მოსულის შესახებ ხელშეკრულების ხელისმოწერის წინ „ობსერვერის" დიპლომატიური კორესპონდენტი სწერდა:

„ამ ხელშეკრულების მნიშვნელობა იმაშია, რომ იგი დაამყარებს „მოდუს ვივენდის" ოსმალეთსა და ირაქს შორის საზღვრების ორივე მხრით თავდასხმის საშიშროების აცილებით, გაიხსნება გზა ინგლის, ოსმალეთ და ირაქს შორის დიპლომატიურ და ეკონომიურ თანამშრომლობისათვის და ბოლოს ბოლო მოეღება ერთ იმ ფაქტორთაგანს, რომელიც გავლენას ახდენდა არა მარტო ეგვიპტის და ინდოეთის საქმეებზე, არამედ ევროპის დიპლომატიის ფრიად მნიშვნელოვან საკითხებზედაც.

ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა

ანგორა, 6 ივნისი. ინგლის - ოსმალეთის შეთანხმებას მოსულის შესახებ ხელი მოაწერეს.

ოსმალეთის პრესა ხელშეკრულების შესახებ

ანგორა, 6 ივნისი. მოსულის შეთანხმების შესახებ ოფიციოზი „ხაკიმიეტ მილლიე" სწერს:

„გულახდილად ვსთქვათ, მოსულის ხელშეკრულება ოსმალეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება. დიპლომატიურ მოლაპარაკებაში შეთანხმების არგუმენტად ხშირად უფლება და სამართლიანობა კი არაა, არამედ აუცილებლობა".

სტამბოლი, 6 ივნისი. ოპოზიციის ორგანო „ვაკიტ" აღნიშნავს, რომ ოსმალეთი იდგა მისსა და ერთა ლიგას შორის კონფლიქტის წინაშე და იძულებულია უარი სთქვას მოსულზე.

პრესა მოსულის ხელშეკრულების შესახებ

ანგორა, 6 ივნისი. ინგლის - ოსმალეთ - ირაქის ხელშეკრულების დადება თუმცა ჯერ ოფიციალურად არ გამოცხადებულა, მაგრამ ყველა გაზეთები ჰბეჭდავენ წერილებს, რომლებშიაც განმარტავენ მოტივებს, რამაც აიძულა ოსმალეთი უარი ეთქვა მოსულზე.

ამ წერილების შეხედულებანი შემდეგ დასკვნებში გამოიხატება: ხაზს უსვამენ რა იმ გარემოებას, რომ ისტორიულის და პრინციპიალურის თვალსაზრისით ოსმალეთის უფლება უდავოა, გაზეთები აღნიშნავენ, რომ ამ ხელშეკრულების პირობები არავითარ მორალურ კმაყოფილებას არ აძლევენ ოსმალეთს და ამასთან ერთად იგი არ გამოხატავს ოსმალეთის დიპლომატიის წარმატებითი საქმიანობას, მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის ეხლანდელი მდგომარეობა, რომელიც სდგას ომის შესაძლებლობის საფრთხის წინაშე მოსულის საკითხის გამო, მოითხოვს ახალი ავანტიურის თავიდან აცილებას. ომი გახდება მართლაც აუცილებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ოსმალეთის ხალხის თვით არსებობის დაცვის საჭიროება.

ხელშეკრულების პირობები, რომელიც ომის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა, ამავე დროს უზრუნველყოფს ოსმალეთის სამხრეთ საზღვრების უშიშროებას იმდენად, რამდენადაც მოსულის საკითხი ოსმალეთის უშიშროების საკითხს უკავშირდება, ოსმალეთი უნდა შეურიგდეს იმ მსხვერპლს, რომელსაც მისგან მოითხოვს ეხლანდელი მდგომარეობა.

ინგლისის მაღაროს მუშათა ბრძოლა

საერთაშორისო სოლიდარობა

პარიზი, 6 ივნისი. ბრიუსელში სამთა-მადნო მუშების საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის სხდომამ კუკის მოხსენების მოსმენის შემდეგ დაადგინა წინააღმდეგობა გაუწიოს ქვანახშირის გადაგზავნას ინგლისში და განაგრძოს გაფიცულ მემაღაროებისათვის დახმარების მიწოდება. ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ნავთსადგურის მუშები წინააღმდეგობას გაუწევენ ქვანახშირის შეტანაზე ინგლისში.

გაფიცვამ ხელი შეუშალა

სტოკჰოლმი, 6 ივნისი. მემაღაროების გაფიცვის გამო ინგლისის ფლოტის გამგზავრება შვეციაში გადაიდო.

ლლოიდ-ჯორჯი რჩება ლიბერალურ პარტიაში

ბერლინი, 7 ივნისი. ლლოიდ-ჯორჯი გუშინ გამოვიდა მხურვალე სიტყვით, რომელშიაც მან განაცხადა, რომ არ აქვს განზრახვა ლიბერალურ პარტიიდან გამოვიდეს და სანამ მისი არჩევის ვადა გრძელდება, იგი რჩება პარლამენტის ლიბერალურ წევრად.

დახმარება გაფიცულთა ბავშვებს

ვენა, 6 ივნისი. ვენის ქალაქის თვითმმართველობამ ქალაქის თანხებიდან ინგლისის სამთა-მადნო მუშების ბავშვებისთვის დასახმარებლად 1.000 გირ. სტერლინგი გადასდო.

ხანგრძლივი ბრძოლის წინ

ბერლინი, 6 ივნისი. ბრიუსელიდან **ლონდონში დაბრუნებულმა ბრიტანეთის ტრედუნიონების ლიდერებმა წინადადება მისცეს გაფიცულ სამთამადნო მუშებს მოემზადონ ხანგრძლივი ბრძოლისათვის, რომელიც უფრო მეტ ხანს გაგრძელდება, ვინემ ეს წინად იყო მოსალოდნელი.**

„განიზრახეს მოიგონ გაფიცვა"

ლონდონი, 6 ივნისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს სპეციალურმა კორესპონდენტმა, რომელმაც შემოიარა იორკშირის მთელი რაიონი—სიგრძე-სიგანით, გამოიტანა ისეთი შთაბეჭდილება, რომელიც შეიძლება გამოვხატოთ ერთ-ერთი გაფიცულის შემდეგი ფრაზით: **სამთამადნო მუშებმა გადასწყვიტეს აუცილებლად მოიგონ გაფიცვა, მიუხედავად მისი ხანგრძლივობისა და გაჭირვებისა, რომლის გადატანაც მათ მოუხდებათ".**

ნახშირის ექსპორტი ინგლისში

ამსტერდამი, 6 ივნისი. მაისის განმავლობაში როტერდამის ნავთსადგურიდან ინგლისში გაიგზავნა 1.800.000 ტონი გერმანული ქვანახშირი. 1925 წელს როტერდამის ნავთსადგურიდან საშუალოდ ინგლისში იგზავნებოდა 680.000 ტონი ქვანახშირი. ჰოლანდიის სხვა ნავთსადგურებიდან ინგლისში იგზავნება საფრანგეთის და ბელგიის ქვანახშირი, რომელსაც უკანასკნელნი გერმანიიდან ღებულობენ სარეპარაციო გადასახადების ანგარიშში.

ინგლისი და ამერიკა

ბერლინი, 7 ივნისი. ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ სენატმა მიიღო სენატორ ბორას რეზოლიუცია ბრიტანეთის კოოპერაციის მიერ პანამაში განზრახულ კონცესიის საკითხის გარკვევის შესახებ. რეზოლიუცია სახელმწიფო მდივნისაგან მოითხოვს, რომ მან წარმოადგინოს ფაქტიური მასალა კონცესიის შესახებ და აგრეთვე ყველა მიმოწერა იმის შესახებ, თუ როგორ აქვს წარმოდგენილი კონტროლი პანამის ბუნებრივ რესურსებზე.

ერთი წლის წინად ბრიტანეთის კორპორაციას მიცემული ჰქონდა კონცესია ორ დიდ რაიონში ოქროს ძიებაზე, მიწის წყალის ბუნებრივ სიმდიდრეთა მფლობელობის უფლებით. ამჟამად ვაშინგტონში გამოსთქვამენ აზრს, რომ ეს მიწები შეძენილ იქმნა შორის კულტურის მიზნით.

ბერლინი, 7 ივნისი. ბრიტანეთის კონსული პანამაში აღნიშნავს, რომ ბრიტანეთის კორპორაციის მიერ ამ ახლო ხანში მიღებულ მიწის კონცესიები არ ისახავს მიზნად შორის კულტურას და რომ კორპორაცია მხოლოდ ბუნებრივ სიმდიდრის აღმოჩენისათვის ზრუნავს.

სპარსეთში

მთავრობის გადადგომა

ბერლინი, 7 ივნისი. თეირანიდან იუწყებიან, რომ სპარსეთის კაბინეტი გადადგა.

ახალი მთავრობა

თეირანი, 6 ივნისი. სპარსეთის მთავრობა გადადგა. კაბინეტის შედგენა მიენდო სპარსეთის ნაციონალისტების ლიდერებს — **მუსტოუფი-ელ-მემალექს.**

ერთა ლიგაში

ბერლინი, 7 ივნისი. ხვალ ჟენევაში გაიხსნება ერთა ლიგის საბჭოს მე-14-ტე მორიგი სესია.

დუნაის ადიდება

ბერლინი, 6 ივნისი. შტუტჰარდტიდან იუწყებიან, რომ დუნაის ადიდებულმა შენაკადებმა ზემო შვაბიის გასავალი სოფელი დაჰფარა წყლით.

მრავალ ადგილას, წყლისათვის გასავლის მისაცემად საჭირო გახდა ხიდების აფეთქება. ბევრ ადგილას სარკინიგზო მოძრაობა შეჩერდა.

ყურადღება წვრილ ანაბარისადმი

(„იზვესტიას" მოწინავე)

ჩვენი ქვეყანა სამრეწველო-სამეურნეო განვითარების ისეთ ზოლში შედის, როდესაც ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი გამოსყიდულ უნდა იქმნას თავისუფალი მატერიალური და ფულადი რესურსების სასტიკი მობილიზაციის ფასით.

შემდგომი სამრეწველო-სამეურნეო პროგრესის ერთ-ერთ წყაროდ უნდა გადაიქცეს ფართო მშრომელი მასის მიერ დაგროვილ წვრილ თანხათა მობილიზაცია ძირეულ საკრედიტო დაწესებულებათა საშუალებით.

რევოლიუციის წინადროინდელ რუსეთში შემნახველ სალაროებში 1911 წელს სულ იყო 2.225.000.000 მან. ანაბარი. ეს უდიდესი თანხა იყო ის რეზერვუარი, საიდანაც თავის საშუალებათა მნიშვნელოვან ნაწილს იღებდა რუსეთის კაპიტალიზმი და თვითმპყრობელობა.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ შემნახველი სალაროების მოქმედება განილდა. ფართო მუშაობას ისინი მხოლოდ მაშინ შეუდგენ, როცა ჩვენ შევსძელით მტკიცე ვალიუტის შექმნა.

1926 წ. 1 მაისისათვის მთელ საკავშირო სალაროებში 62 მილიონი მანეთი გვაქვს. იმ დროს, როცა შემნახველ სალაროების რაოდენობა ომის წინა დროინდელ ხანასთან შედარებით გაიზარდა თითქმის ორჯერ, ანაბარი მაშინდელ თანხის 3 პროცენტსაც კი არ შეადგენს, გლეხთა ანაბარი კი მშვიდობიანი ხანის ერთმესამედ პროცენტზე ნაკლებია.

ამავე დროს კი მუშათა ნივთიერი მდგომარეობა გაცილებით უკეთესია ვიდრე ომის წინათ იყო, ხოლო საბჭოთა გლეხობამ, რომელიც განთავისუფლდა მემამულეებისა და სახელმწიფოს უდიდეს ხარჯებისაგან, დიდი შესაძლებლობანი მიიღო ფულის დაგროვებისათვის.

შემნახველი სალაროები ეხლა, ჩვენი სამეურნეო ფრონტის ერთი უმნიშვნელოვანესი დარგთაგანია. მომჭირნეობის ბრძოლას თან უნდა სდევდეს ფართო კამპანია შემნახველ სალაროების სასარგებლოდ.

მოსახლეობა ენდობა შემნახველ სალაროებს, მაგრამ არაფერი არ იცის მისი მუშაობის შესახებ. კერძოდ, სოფელმა თითქმის სრულიად არ იცის, სადაა შემნახველი სალარო და როგორაა შესაძლო ფულის მიბარება. საჭიროა დიდი მუშაობა, განსაკუთრებული აგიტაცია და პროპაგანდა შემნახველ სალაროთა პოპულიარიზაციისათვის. ამაში უნდა ჩავაბათ მთელი ჩვენი პროვინციის პრესა და საბჭოთა მშრომელ საზოგადოების ფართო წრეები.

უნდა გვახსოვდეს, რომ წვრილი ანაბარი მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს ჩვენი ინდუსტრიალიზაციის გეგმის განხორციელებას.

მოსკოვი, 7 ივნისი. გადმოცემულია ტელეგ-

სხვადასხვა

ნავთი. სტამბოლის ბირჟის ცნობით, ახლო მომავალში მოლაპარაკება სპარსეთთან დაიწყება იმ მიზნით, რომ ნავთის მთელი ექსპლოატაცია გადაეცეს „ინგლის-სპარსეთის ნავთის კამპანიას" და ოსმალეთის „პეტროლეუმ კომპანი"-ს.

შეტაკებები სარწმუნოებრივ ნიადაგზე ბენგალიაში. კალკუტიდან მიღებული ცნობით, ბენგალიის (ინდოეთი) მთავრობამ გასცა ბრძანება მუსიკის აკრძალვის შესახებ სარწმუნოებრივ ადგილების მახლობლათ. ამ განკარგულების მიზანია მაჰმადიანებსა და ინდოელებს შორის ახალი შეტაკების თავიდან აცილება.

— **ახალი გადასახადები ბელგიაში.** მთავრობის მოთხოვნილებით ბელგიის პარლამენტმა მიიღო უკამათოდ კანონ-პროექტი, რომელიც ითვალისწინებს 1½ მილიარდ ფრანკის ახალი გადასახადების დაწესებას. კომუნისტების წინააღმდეგობა რომ გადაელახათ, პალატამ შესცვალა რეგლემენტი.

— **რუმინეთის ტერორის წინააღმდეგ.** პარიზში შესდგა საპროტესტო მიტინგი ბესარაბიაში ტერორის წინააღმდეგ; მიტინგზე დაესწრო 4.000 კაცზე მეტი.

მიტინგზე გამოვიდნენ **ანრი ბარბიუსი, ვაიან კუტიურე, ლონგე, და პოლ ლუი.**

— **„საფრანგეთის იარაღის გამარჯვება".** მინისტრთა კაბინეტის სხდომას პენლევემ აცნობა, რომ საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს სალკადი, დედა-ქალაქი ჯებელ-დრუზაცა. აგრეთვე სუდი —დრუზების ბელადის სულთან-ელ-ასტრაშის უმთავრესი დასაყრდენი.

ა.-კ. კომუნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა პირველი საზეიმო გამოშვება

გუშინ, საღამოს 7 საათზე, წითელ თეატრის დარბაზში შესდგა „26 კომუნარის“ სახელობის ა.-კ. კომუნივერსიტეტის მსმენელთა საზეიმო გამოშვება.

ლამაზად მორთულ სცენაზე, სადაც წითელ თაღებში მოთავსებულ ლენინის ბიუსტის წინ ავერცხლილი შადრევანი სჩქეფს, არიან ამხ. **ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, ელიავა, ცხაკაია, მახარაძე, ალამალი-ოღლი, შავერდოვი** და სხვები.

დარბაზში და სცენაზე ლენინის ბიუსტის მაღლა გაკრულია პლაკატები: „ჩვენი იარაღია ლენინიზმი“, „124—ა.-კ. კომუნივერსიტეტის პირველი მებრძოლი რაზმია, რომელიც 26-ის მიერ ნაანდერძევი გზით ივლის“ და სხვა.

დარბაზი გამსილია მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა და ა.-კ. კომუნივერსიტეტის მსმენელებით.

სცენაზე, პრეზიდიუმის მაგიდის გარშემო ზის უნივერსიტეტის გამგეობა, რექტორ **კასიანის** მეთაურობით.

საზეიმო სხდომას, მოკლე მისასალმებელი სიტყვით ხსნის ამხ. კასიანი. (მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალს).

მისი წინადადებით საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ. **სტალინი, ცხაკაია, ორჯონიკიძე, ალამალი-ოღლი, ხანოიანი, ორახელაშვილი, მახარაძე, კარანიანი, მუსაბეკოვი, ელიავა, ამბარცუმიანი, მ. ოკუჯავა, ტაკოევი, ქართველიშვილი, იოანისიანი** და **ყარაევი**.

საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნა უნივერსიტეტის გამგეობა.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ, ამიერკავკასიის „26 კომუნარის“ სახელობის კომუნივერსიტეტის სამი წლის მუშაობის შესახებ, ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. **კასიანმა**.

შემდეგ დაიწყო მისალმებები.

ამხ. სერგო ორჯონიკიძის სიტყვა

საკავშირო კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტის სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. სერგო ორჯონიკიძე, რომელსაც მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი ხანგრძლივი ოვაციებით მიეგება.

— ჩვენი ყველაზე უფრო სუსტი ადგილი ეს არის, რომ საკუთარი ინტელიგენცია არა გვყავს, ამბობს ამხ. სერგო: ბურჟუაზიას და თავად-აზნაურობას ჰყავდა თავისი ინტელიგენცია. მუშათა კლასს კი, რომელიც ხელისუფლების სათავეში სდგას, ინტელიგენცია არა ჰყავს, და ამიტომ მეცნიერებისა და ტეხნიკის საკითხებზე მუშათა კლასმა მისთვის უცხო, ახლა წარსულში მისდამი მტრულად განწყობილ ინტელიგენციას უნდა მიმართოს. ამ ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი ეხლა ჩვენთან ერთად გულწრფელად მუშაობს. ხოლო, ეგრედ წოდებული ლოიალური ინტელიგენცია, თავის ლოიალურ განწყობილებას ჩვენ მიმართ უდიდეს წყალობათ სთვლის.

ჩვენ გვჭირია ჩვენი საკუთარი მუშათა კლასის წიაღიდან გამოსული ინტელიგენცია.

დიდი შესდომაა იმის მტკიცება, თითქოს ინტელიგენცია ზეკლასიური იყოს. არა, ის ყოველთვის იყო თავის კლასიური შინაარსის უაღრესი გამომხატველი. ჩვენი ინტელიგენციაც ოქტომბრის რევოლიუციის მიერ განადგურებულ თავად-აზნაურობისა და ბურჟუაზიის იდეოლოგიური წარმომადგენელია. ჩვენი ინტელიგენცია თვითაც ღრმათ სცდება და სხვებსაც ატყუილებს, როდესაც თავი მთელი ერის წარმომადგენლად მოაქვს. ის, როგორც მე უკვე ვსთქვი, არის სომეხი, ქართველი და თურქი თავად-აზნაურობის და ბურჟუაზიის წარმომადგენელი.

ამიერ-კავკასიის კომუნივერსიტეტის ამოცანაა შექმნას ჩვენი—მუშათა ინტელიგენცია, მუშათა კლასის სისხლი და ხორცი.

124-მა, რომლებიც გამოდიან ეხლა ამიერ-კავკასიის კომუნივერსიტეტის კედლებიდან, პირნათლად უნდა ატარონ მუშურ-გლეხურ მასებში 26 კომუნარის დროშა, დროშა კომუნისტური პარტიის.

ვიქონიოთ იმედი, რომ შემდეგი გამოშვება, უკეთ იქნებიან შეიარაღებული ცოდნით.

გაუმარჯოს ა.-კ. კომუნივერსიტეტს, გაუმარჯოს კომუნისტურ ინტელიგენციას, რომელიც ეხლა ისახება, გაუმარჯოს ჩვენი კომუნისტური ინტელიგენციის პირველ რაზმს—124-ს.

ამხ. ს. ორჯონიკიძის სიტყვის შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ამიერ - კავკასიის ცაკის სახელით ამხ. **მიხა ცხაკაიამ და ალამალი-ოღლიმ**, ამიერ კავკასიის სახკომსაბჭოდან ამხ. **მამია ორახელაშვილმა**, ს. კ. პ. ცეკადან და საქ. სახკომსაბჭოდან ამხ. **ფ. მახარაძემ**, სომხეთის კომპარტიის ცეკადან ამხ. **არეხიანმა**, თბილისის კომიტეტიდან ამხ. **ასრიბეკოვმა**, სახ. უნივერსიტეტიდან პროფ. **ნუცუბიძემ**, თბილისის ლენინის სახელობის პოლიტეხნიკუმიდან პროფ. **ზაიცევმა**, თბილისის რკინისგზის მთავარ სახელოსნოებიდან ამხ. **სიმონიშვილმა**.

წაკითხულ იქნა აგრეთვე მისასალმებელი დეპეშები. საპასუხო სიტყვით გამოვიდა სტუდენტი **კალნიცკი**.

ამხ. მიასნიკოვის ხსენებაზე მუსიკა უკრავს სამგლოვიარო მარშს და ყველა ფეხზე დგება.

შემდეგ გამოდიან სტუდენტები: **გიულჯინკი** (თურქულ ენაზე) **ხაშაური** და **მკრტიანი**.

შემდეგ წაკითხულ იქნა კომუნივერსიტეტის უჯრედის ბიუროს და სტუდენტთა ალმასბიუროს ნაკაზი.

ამხ. კასინის საბოლოო სიტყვის შემდეგ სხდომა წყდება.

დაბოლოს დადგმულ იქნა რევოლიუციონური პიესა.

უკანასკნელი ცნობები

ჩან-ძო-ლინის გამგზავრება

ხარბინი, 6 ივნისი. ჩან-ძო-ლინი მუკდენიდან ტიან-ძინში გაემგზავრა 1.000 მხლებელით.

სამხედრო ამბოხება სიფენში

ხარბინი, 6 ივნისი. „ტოხოს“ სააგენტოს ცნობით მუკდენის გარნიზონის ჯარისკაცთა ამბოხება ქალაქ სიფენში ისევ გრძელდება.

ამბოხებულთა დასაწყნარებლად გაგზავნილი ორი ბატალიონი აჯანყებულ ჯარისკაცებს ემხრობა.

მუკდენიდან გაცემულია ბრძანება ამბოხების ენერგიული ზომებით ჩაქრობის შესახებ.

ძველი საქსონიის სოც.-დემ. პარტია

ბერლინი, 6 ივნისი. დრეზდენში შესდგა საქსონიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მემარჯვენე ფრთის ორგანიზაციული სხდომა, რომელიც რეიხსტაგის ფრაქციის მემარჯვენე ფრთამ გამორიცხა სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან. სხდომამ დაადგინა დაარსოს მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიული პარტია „ძველი საქსონის სოციალ-დემოკრატიული პარტიის“ სახელწოდებით, რომლის მოქმედების ფარგალი ჯერ-ჯერობით საქსონიით უნდა შემოისაზღვროს. გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ თუ ბერლინის ცეკა მემარჯვენე ფრთის გავლენას არ დაემორჩილება, სოციალ-დემოკრატიულ პარტიის განხეთქილება მთელ გერმანიაში გავრცელდება.

გერმანიის კომპარტიის მოწოდება

ბერლინი, 6 ივნისი. გერმანიის კომპარტიის ცეკამ გერმანიის პროლეტარიატისადმი მოწოდებაში აღნიშნა ინგლისის სამთა-მადნო მუშებისადმი დახმარების გაძლიერების აუცილებლობა და მოუწოდებს გერმანიის მუშებს გადალახონ პროფკავშირის ბიუროკრატების საბოტაჟი, ხელი შეუწყონ გერმანიის ქვა-ნახშირის ინგლისში შეტანას და მოაწყონ ფულის შეგროვება გაფიცულთა სასარგებლოდ.

ლოიდ-ჯორჯი ლიბერალად რჩება

ლონდონი, 6 ივნისი. შეეხო რა ლიბერალურ პარტიის შიგნით უთანხმოებას, ლოიდ-ჯორჯმა გუშინ წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ „მას არა აქვს განზრახვა გავიდეს პარტიიდან“.

„სანამ ჩემი ამომრჩევლები, განაცხადა ლოიდ-ჯორჯმა, თავის ნდობას არ მომაკლებენ, მე დავრჩები პარლამენტის ლიბერალურ ფრაქციის წევრად“.

დიდ ნაციონალურ კრებაში

კონსტანტინოპოლი, 7 ივნისი. გაზ. „ლია რეპუბლიკ“ იუწყება, რომ დიდ ნაციონალურ კრებაში ბიუჯეტის გარჩევის დროს ზოგიერთი დეპუტატები შეეხენ ებრაელთა საკითხსაც. ისინი აღნიშნავდენ ებრაელთა საფრთხეს ოსმალეთის ეკონომიკის სფეროში, სადაც ებრაელები თითქოს ამ დარგში ბატონებად გრძნობდენ თავს.

ფინანსთა მინისტრმა უპასუხა დეპუტატებს, რომ ოსმალეთში კონკურენცია ყველასთვის თავისუფალია და თუ ებრაელები ყველაზე მეტ უნარსა და ენერგიას იჩენენ, ამ მხრივ ერთად-ერთი სწორი გზაა—ყველამ მიბაძოს მათ მაგალითს.

ნორტუმბერლენდის მემაღაროენი

ბერლინი, 7 ივნისი. ნორტუმბერლენდში გაფიცულმა სამთა-მადნო მუშებმა 61 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 11-ისა დაადგინეს განაგრძონ გაფიცვა იმ შემთხვევაში, თუ იქნება მიღებული კომპრომისი, რომელიც სამუშაო ხელფასის შემცირებას ითვალისწინებს.

„დიდი შანხაის“ მთავრობა

ლონდონი, 7 ივნისი. „ტაიმსი“ თავის წერილში აქებს „დიდი შანხაის“ ახალ მთავრობას და აღნიშნავს, რომ მთავარი პირი ახალ მთავრობაში—ექიმი ტინგია, რომელიც გლაზგოში სწავლობდა და ცნობილია თავის თანამშრომლობით იმ კომისიაში, რომელიც ბოქსერთა აჯანყების გამო მიღებულ ჯილდოს ანაწილებდა.

დემოკრატების გამარჯვება

ბერლინი, 7 ივნისი. მეკლენბურგის ლანდტაგის არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს.

დასჯილი ბრაზილია

ბერლინი, 7 ივნისი. ბრიტანეთის მთავრობის რჩევით, ბანკებმა უარი სთქვეს ბრაზილიისათვის 25 მილ. დოლარის სესხის მიცემაზე იმ პოზიციის გამო, რომელიც ბრაზილიას ეჭირა ჟენევაში.

შაუმბურგ-ლიპპე და პრუსია

ბერლინი, 7 ივნისი. შაუმბურგ-ლიპპეში მომხდარმა პლებისციტმა უარჰყო პრუსიასთან შეერთების პროექტი.

სირიაში

ბერლინი, 7 ივნისი. საფრანგეთის მთავრობის წრეებში ჰფიქრობენ, რომ ფრანგების ჯარების მიერ სალკადის აღების შემდეგ დრუზების აჯანყება ჩაქრობილად უნდა ჩაითვალოს.

რიფის ოლქის მოწყობა

ბერლინი, 7 ივნისი. პარიზიდან იუწყებიან, რომ საფრანგეთ-ისპანიის მოლაპარაკება, რიფის ოლქის მოწყობის შესახებ, წარმატებით მიმდინარეობს.

სტუდენტების პროტესტი

ბერლინი, 7 ივნისი. გენერალურ პროკურორის ბრძანებით ჰანოვერში დაითხოვეს ადგილობრივ ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის სტუდენტები, რომლებიც სასამართლოში არიან მიცემული. მათ წინააღმდეგ წაყენებულია ბრალდება, რომ მოახდინეს გამოსვლა პროფესორ ლესინგის ლექციის ჩაშლის მიზნით. ლესინგი ცნობილია თავისი გამოსვლით ჰინდენბურგის წინააღმდეგ პრეზიდენტის არჩევნების დროს.

სტუდენტთა პროტესტი

ბერლინი, 7 ივნისი. დაახლოებით 2.000 ჰანოვერის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტი გადავიდა ბრაუნშვეიგის ინსტიტუტში ნიშნად პროტესტისა იმ ათი სტუდენტის გამორიცხვის გამო, რომლებმაც პროფესორ ლესინგის წინააღმდეგ გამოვიდნენ.

ოსმალეთის დელეგატები

სტამბოლი, 7 VI. მაჰმადიანების კონგრესზე მექაში ოსმალეთმა გაგზავნა სმირნის დეპუტატი ებიდ-ხერეეტ-ბეი ყოფილი დივიზიის უფროსი მექაში—სულეიმან შუკრეთ-ბეი.

კონგრესი გამოიმუშავებს ისლამის წმინდა ადგილების დაცვის სტატუტს.

საფრანგეთ-ოსმალეთის სასამართლო

სტამბოლი, 7 VI. სტამბოლში პირველად გაიხსნა საფრანგეთ-ოსმალეთის შერეული სასამართლო. როგორც საფრანგეთის, ისე ოსმალეთის სასამართლოს წევრებს სხდომა აქვთ საფრანგეთის მოსამართლის საშუალო საუკუნოების ტანისამოსში.

მესოპოტამიის ნავთი

სტამბოლი, 7 VI. „ეკონომისტ დორიანის“ ცნობით შესდგა ახალი სინდიკატი მესოპოტამიის ნავთის ექსპლოატაციისათვის. დადებულ ხელშეკრულების ძალით სინდიკატი არაა ვალდებული მუშაობას შეუდგეს დაუყოვნებლივ; განზრახულია მუშაობის დაწყება მხოლოდ 5 წლის შემდეგ, როცა წინასწარ გამოიკვლევს დაწვრილებით ნავთის ადგილებს, რისთვისაც დაიხარჯება 1 მილ. გირვანქა სტერლინგამდე.

განზრახულია სირიაზე ნავთის გადამტან მილის გაყვანა 700 მილ. სიგრძისა, რაიც დაჯდება 8 მილ. გირ. სტერლინგი.

ეგვიპტის მთავრობა

ლონდონი 6 ივნისი. ეგვიპტეში შესდგა ახალი მთავრობა ლიბერალურ პარტიის ბელადის ადლი-ფაშას მეთაურობით, რომელსაც უჭირავს პრემიერისა და შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა.

შვეციის ახალი კაბინეტი

სტოკჰოლმი, 6 ივნისი. შვეციაში შესდგა ახალი მთავრობა. პრემიერი და ფინანსთა მინისტრია „თავისუფალი მოაზროვნეთა“ და შვეციის სიფხიზლის საზოგადოების მეთაური—ეკმანი.

ავსტრიის მასწავლებელთა მოთხოვნილება

ვენა, 6 ივნისი. ავსტრიის საშუალო სკოლების მასწავლებელთა კავშირმა წარუდგინა მთავრობას მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის მომატების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაფიცვით იმუქრება.

პლებისციტის წინაშე გერმანიაში

ბერლინი, 6 ივნისი. გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანებამ სავაჭრო და სახელმწიფო მოსამსახურეთა პროფკავშირებთან ერთად მოწოდებით მიმართა თავის წევრებს მხარი დაუჭირონ მომავალ სახალხო კენჭის ყრის დროს 20 ივლისს—ყოფილ სამეფო გვარეულობის ქონებათა ჩამორთმევას.

მოწოდება სდუმს კომუნისტებთან მთლიანი ფრონტის შესახებ, აგრეთვე პარლამენტის დათხოვნისა და მთავრობის გადადგომის შესახებ.

შემთანხმებელთა საიდუმლოება

ბერლინი, 6 ივნისი. გერმანიის სანახშირო სინდიკატი „რეინიშ ვესტფელიშე კოლენ-სინდიკატი“ კვლავ უარს აცხადებს ინგლისში ნახშირის შეტანაზე.

სინდიკატის უარი გამოწვეულია ალბად, პროფკავშირებთან საიდუმლო მოლაპარაკებით, რომლებმაც ვალად იკისრეს თავი შეიკავონ ინგლისის მაღაროს მუშათა სოლიდარობისათვის გაფიცვის გამოცხადებისაგან და წინააღმდეგობა არ გაუწიონ მაღაროებში ზედმეტი საათების შემოღებას, თუ სანახშირო სინდიკატი უშუალოდ არ შეიტანს ნახშირს ინგლისში.

გერმანიის უფრო ნაკლებ მსხვილი სანახშირო ფირმებს დაუბრკოლებლივ შეაქვთ ნახშირი ინგლისში ჰოლანდიის ნავთსადგურების საშუალებით.

მოსულის ხელშეკრულება.

ლონდონი, 7 ივნისი. უპასუხა რა თემთა პალატაში შეკითხვაზე ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულების შესახებ, გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ლოკერ ლემპსონმა განაცხადა:

„მე ბედნიერ ივარ გაუწყოთ, რომ მოლაპარაკება ოსმალეთის მთავრობასთან წარმატებით დამთავრდა და 5 ივნისს ხელშეკრულება დაიდო.

უკანასკნელ წუთებში მომხდარ ზოგიერთ უმნიშვნელო შესწორებათა გამო მე ჯერ არ მაქვს შესაძლებლობა ხელშეკრულების სრული შინაარსი მოვიყვანო. მაგრამ იგი იქნება შემოტანილი პალატაში რაც შეიძლება ახლო ხანებში.

ვსარგებლობ შემთხვევით აღვნიშნო, რომ მოლაპარაკების წარმატებით დამთავრება გამოწვეულია სახელმწიფოებრივი და შემარიგებელი სულით, რომელსაც იჩენდა ორივე მხარე, და რომელმაც ხელი შეუწყო ორივე ერის ტრადიციულ მეგობრობის აღდგენას.

ალბერტ ტომა საბჭოთა კავშირის შესახებ.

პარიზი, 6 ივნისი. ერთა ლიგაში არსებულ შრომის საერთაშორისო ბიუროს თავმჯდომარემ ალბერტ ტომამ ბიუროს უკანასკნელ სესიაზე მოხსენება გააკეთა საერთაშორისო მდგომარეობაზე, რომელშიაც იგი შეეხო საბჭოთა კავშირს.

აღნიშნა რა საბჭოთა კავშირის უარყოფითი დამოკიდებულება ერთა ლიგისადმი, კერძოდ შრომის ბიუროსადმი, ტომა აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი, რამდენადაც არ ეწინააღმდეგება მის ინტერესებს, უფრო და უფრო მეტ მონაწილეობას იღებს იმ კონფერენციებში, რომლებსაც ხალხთა ლიგა იწვევს.

საბჭოთა კავშირი რამდენიმე [illegible] ანახლებს და აფართოებს თავის საერთაშორისო კავშირს, რომელთა ერთ სახეს წარმოადგენს როგორც დასავლეთ ევროპის მუშების დელეგაციების საბჭოთა კავშირში მისვლა, ისე საბჭოთა მოღვაწეების საზღვარგარედ გამგზავრება.

საბჭოთა კავშირში რამდენიმე ასეულ დელეგაციებმა ინახულეს. ეს დელეგაციები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ საბჭოთა კავშირი დასავლეთთან ურთიერთობაში ხელმძღვანელობს არა მარტო „პროპაგანდისტულ პრინციპებით და კომუნისტურ პარტიის ტაქტიკით“, არამედ „ახალი მძლავრი ფაქტორებით“. ეს „ახალი ფაქტორები“, ტომას აზრით, გამოწვეულია საბჭოთა კავშირის შინაგანი ევოლიუციით.

ავსტრიაში გასაგზავნი დელეგაცია

მოსკოვი, 7 ივნისი. დამთავრდა მუშა-ახალგაზრდობის დელეგატების არჩევნები ავსტრიაში გასაგზავნად. დელეგატების ამორჩევა ხდებოდა მუშათა ახალგაზრდობის ფართო კონფერენციებზე.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან მოსკოვის, ლენინგრადის, ურალის, დონბასის, ივანოვო - ვოზნესენსკის, ნიჟნი-ნოვგოროდის, ტულის და სხვ. ქალაქების წარმომადგენლები. სულ ამორჩეულია 16 კაცი; ყველანი დაზგის მუშები არიან. დელეგატებში სამი ქალია.

სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა წყობილების დამყარების 6 წლის თავი

ცხინვალი, 7 ივნისი. 8 ივნისს სრულდება სამხრეთ - ოსეთში საბჭოთა წყობილების დამყარების 6 წლის თავი. ამის გამო დღეს სახალხო კლუბში შესდგება პარტიულ, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების გაერთიანებული საზეიმო სხდომა.

8 ივნისს ქალაქში ჩატარდება დღესასწაული. დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებათ ჩამოვიდენ ოსეთის წითელარმიელთა ნაწილები.

ფრანკი ეცემა

ბერლინი, 7 ივნისი. პარიზიდან იუწყებიან, რომ ფრანკის დაცემა გრძელდება. ბირჟის დახურვისას დოლარი 32,70 ღირდა.

კაბინეტის თათბირი ამის შესახებ გრძელდება.

ამერიკელი მაღაროს მუშა ბაქოში

ბაქო, 7 ივნისი. ჩამოვიდა ამერიკულ პროფკავშირების ერთ-ერთი რევოლიუციონური მოღვაწე მაღაროს მუშა ხოვადი.

ხოვადი 27 წ. მუშაობს პროფკავშირებში. თავის პოზიციის გამო მას არა ერთხელ განუცდია რეპრესიები, ერთხელ 19 თვეს იჯდა ციხეში.

საბჭოთა კავშირში ხოვადი ჩავიდა პროფინტერნის მოწვევით, რომ გაეცნობოდა საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებას და მუშების მდგომარეობას.

დღეს ხოვადი გამოვიდა სამთამადნო მუშათა კავშირის პლენუმზე. მან გადასცა აზერბეიჯანის მაღაროს მუშებს ამერიკის რევოლიუციონურ მაღაროს მუშების სალამი და დაახასიათა ამერიკის პროფმოძრაობა.

ხოვადმა აღნიშნა, რომ მომავალ წლისათვის მოსალოდნელია ამერიკის სამთამადნო მუშების დიდი გაფიცვა.

დაბოლოს პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ესალმება ამერიკის სამთამადნო მრეწველობის მუშებს.

ელექტრონული გზა

ბაქო, 7 ივნისი. 18 ივნისს მოხდება საბუნჩის ელექტრონული გზის საზეიმო გახსნა.

ჩვენი ექსპორტი

მოსკოვი, 7 ივნისი. 1925—26 წ. ნახევარი წლის ექსპორტი საზღვარგარეთ გამოიხატებოდა 218.496,600 მანეთში. ექსპორტში მთავარი ადგილი ეჭირა პურს. გასულ ნახევარი წლის განმავლობაში ჩვენ გავიტანეთ 64,6 მილიონი ფუთი პური. კვერცხის გატანა შარშანდელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა.

ინგლისის გაფიცვის შესახებ

ბერლინი, 6 ივნისი. ინგლისიდან დაბრუნებულმა გერმანიის პროფკავშირთა ერთ-ერთმა მომუშავემ შიფფმა მოხსენება გააკეთა ბერლინის პროფკავშირების კონფერენციაზე — ინგლისის გაფიცვისა და მისი გაკვეთილების შესახებ.

აღნიშნა რა ინგლისის მუშათა განსაკუთრებული ფსიქოლოგია, ინგლისის პროფმოძრაობის მთლიანობის უქონლობა და ტეხნიკური ჩამორჩენილობა სანახშირო მრეწველობასა ინგლისში, შიფფმა განაცხადა, რომ სახელმწიფო სუბსიდიამ ინგლისის სანახშირო მრეწველობის დასახმარებლად ხელი შეუწყო უმუშევრობის ზრდას გერმანიის სანახშირო რაიონებში.

„ინგლისის მთავრობა, სთქვა შემდეგ შიფფმა, რამოდენიმე თვის განმავლობაში ემზადებოდა, რაიც ვერ შენიშნეს ტრედ-იუნიონების ბელადებმა, რომ უფრო ადვილად დაემარცხებინა გაფიცვა, ინგლისის მთავრობამ მას პოლიტიკური ხასიათი მიაწერა. მაგრამ, მიუხედავად მთავრობის ცდისა და იმ ფაქტისა, რომ ინგლისში ასი ათასობით უმუშევარებია, შტრეიკბრეხერთა რიცხვი მეტად უმნიშვნელო იყო. ამის გამო, მთავრობის ცდამ, რათა მოეგვარებინა მიმოსვლა და მუშაობა პროფესიონალურ შტრეიკბრეხერთა ორგანიზაციის საშუალებით, ძალიან მცირე შედეგი გამოიღო.

შეეხო რა კომუნისტების მოთხოვნილებას საერთაშორისო გაფიცვის სოლიდარობის მოწყობის შესახებ, შიფფმა განაცხადა, რომ ასეთი გაფიცვა მხოლოდ „ავნებდა“ ინგლისის მუშებს.

შიფფი შეეცადა საყოველთაო გაფიცვის ჩაშლის გამართლებას იმით, რომ ეს გამოიწვევდა მღელვარება სიმშილობის ნიადაგზე. ინგლისის ტრედ-იუნიონების გენერალურ საბჭოს გადაწყვეტილება გაფიცვის შეწყვეტის შესახებ მიღებულ იქნა, შიფფის სიტყვით, ერთხმად, ამასთან, გაფიცვის შეწყვეტას ხმა მისცეს საბჭოს მემარცხენე წევრებმა, მაგ. პერსელმა, ბენტილლეტმა და ხიქსმა.

შიფფი საერთოდ უარყოფითად უყურებს საყოველთაო გაფიცვას, როგორც ბრძოლის მეთოდს.

დასკვნაში შიფფმა აღნიშნა, რომ ინგლისის მუშებს გამარჯვების მოპოვება მხოლოდ პარლამენტის გზით შეუძლიათ.

კონფლიქტი ნახშირის მრეწველობაში.

ლონდონი, 7 ივნისი. როგორც გადმოგვცემენ, მაღაროს მუშათა აღმასკომი ხვალ დილის სხდომაზე მიიღებს მაღაროს მეპატრონეთა საზოგადოების თავმჯდომარის ევან-უილიამსის მიწვევას—მოლაპარაკების განახლების საკითხის გამოსარკვევად.

როგორც კუკმა განაცხადა დღეს, იგი მზადაა ურჩიოს მემაღაროელთა აღმასკომს მიიღოს მიწვევა. ამასთან ერთად კუკმა განიმეორა, რომ მან ერთხელ განაცხადა, რომ მემაღაროელნი სიამოვნებით წავლენ ახალ შეთანხმების საფუძვლების გამოსარკვევად, რომელიც არ შეიცავს არც სამუშაო დღის მომატებას და არც სამუშაო ხელფასის შემცირებას.

ჰერბერტ სმიტმაც განაცხადა, რომ იგი მტკიცედ სდგას იმავე პოზიციაზე და რომ სანახშირო კომისიის მოხსენება საუკეთესო გზაა კონფლიქტის მოსაგვარებლად. მეორეს მხრით, როგორც აღნიშნა კუკმა, მაღაროს მეპატრონეებს არ აქვთ ახალი წინადადება და საკითხის გადაწყვეტა შესაძლოა ერთგვარ შეთანხმებაში ან სამუშაო დროის ან სამუშაო ხელფასის ან სარაიონო ხელშეკრულების ირგვლივ.

ამ განცხადებათა მიუხედავად, მოლაპარაკების განახლება, როგორც გზა სანახშირო მრეწველობაში გაფიცვის გათავებისათვის, მოსალოდნელია.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

საფრანგეთი
ფეიქართა გაფიცვა

ლაროკ დოლმის საფეიქრო ქარხნებში რამდენიმე ათასი მუშა და მუშა-ქალი მუშაობს. ხელფასი ძალიან მცირეა: მუშა-ქალები დღეში 40—50 კაპ. იღებენ, მოზარდები—15—25 კაპ., მამაკაცის საშუალო ხელფასი 1 მ.—1 მ. 20 კაპ. არ აღემატება.

ფრანკის კურსი ყოველდღე ეცემა. ცხოვრება აუტანელი შეიქნა და ლაროკ დოლმის ფეიქრებმა ხელფასის შესაფერად გადიდება მოითხოვეს. მწარმოებლები მათ მიერ დამზადებულ საქონელში ფასს დოლარის ან სტერლინგის კურსით ახდევინებენ, ხელფას კი ძველი განაკვეთით იხდიან.

მწარმოებლებმა მუშების მოთხოვნილებაზე უპასუხეს ისე, როგორც ეს სჩვევიათ კაპიტალისტებს: დახურეს ფაბრიკის კარები და ქუჩაში გამოყარეს მუშები და მუშა-ქალები. ეს იყო 10 მარტს. ამ დღიდან ლაროკ დოლმი ყურადღების ცენტრი შეიქნა.

მუშებმა არაჩვეულებრივი დისციპლინა გამოიჩინეს. მათ გამოეხმაურენ რევოლიუციონური პროფკავშირები: ტულუზის, ფუას, პამიეს და სხვა ქალაქების მუშებმა იკისრეს მათი ბავშვების შენახვა და მოვლა-პატრონობა. რევოლიუციონური პროფკავშირები მასიურ მიტინგებს მართავდენ ღია ცის ქვეშ და ამხნევებდენ გაფიცულებს.

ბრძოლას შეურიგებელი და ხანგრძლივი ხასიათი ეძლეოდა.

ბურჟუაზიას აბრაზებდა ბრძოლის გახანგრძლივება და დაიწყო რეპრესიები.

პოლიციის უფროსმა აკრძალა ყოველგვარი კრებები ღია ცის ქვეშ.

ეს იყო გამოწვევა.

მთავრობა საბუთს ეძებდა. რომ გაფიცულების წინააღმდეგ შეიარაღებული ძალა გამოეყვანა. და ეს საბუთიც შექმნეს.

10 მაისს ლაროკის უიარაღო მუშები შეიკრიბენ თავის ქარხნებთან. არავითარი აგრესიული მიზნები არ ქონდათ.

მაგრამ მათ წინააღმდეგ გამოიყვანეს ჯარები და ცხენოსანი ჟანდარმები. ხმალ ამოწვდილი დაერიენ ჟანდარმები მშვიდობიან ხალხს. მაგრამ დოლმის ფეიქრები არ წამოეგენ პროვოკაციის ანკესზე. მრავალ მუშას საშინლათ სცემეს და ხმლებით დასჭრეს. რევოლიუციონური პროფკავშირების წარმომადგენლები კლიაველი და ვანდვატინი, რომლებიც ცდილობდენ ხელი შეეშალათ სისხლისღვრისათვის, დააპატიმრეს, რადგან პოლიციას ძლიერ უნდოდა, რათა უიარაღო მუშები შებრძოლებოდენ მათ, მაშინ ისინი გაუსწორდებოდენ მუშებს ისე, როგორც ეს ჟანდარმებს სურდათ.

ლაროკში მომხდარმა ამბებმა ძლიერ აღელვა საფრანგეთის მუშები. საფრანგეთის დეპუტატთა პალატის კომუნისტურმა ფრაქციამ სასტიკი პროტესტი განაცხადა უიარაღო მუშებზე თავდასხმის წინააღმდეგ.

მხოლოდ რეფორმისტები არ გამოეხმაურენ ამ ამბებს.

გაფიცვა გრძელდება.

გერმანია
სამუშაო დღე ნახშირის მრეწველობაში

გერმანიის სამთამადნო მუშების პროფკავშირის სათავეში უდგიან რეფორმისტები, რომლებიც მუშებს ყოველ წუთში მწარმოებლებთან შეთანხმების აუცილებლობაზე ჩასჩიჩინებენ. ამათო მოითხოვდა ოპოზიცია ამ ტაქტიკის შეცვლას, წინააღმდეგობის გაწევას კაპიტალის შემოტევისათვის, შეთანხმებას სხვა დიდ პროფკავშირებთან, მოლაპარაკების გამართვას სხვა ქვეყნების პროფკავშირებთან და ბრძოლის წარმოებას მსოფლიო მასშტაბით. მაღაროს მუშათა რეფორმისტი ბელადები კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების დროს თანხმდებოდენ ზედმეტ მუშაობაზე მაღაროებში და ყოველნაირად გაურბოდენ უთანხმოებას მწარმოებლებთან. ახლა თვით რეფორმისტული გაზეთი „ბერგ არბაიტერ ცაიტუნგ“ აღიარებს, რომ ამ პოლიტიკას მეტად სამწუხარო შედეგები მოჰყვა, განსაკუთრებით სამუშაო დღის ხანგრძლივობის საკითხში. რასაც ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ადასტურებს.

სამუშაო დღე ფაქტიური სამუშაო ხელშეკრულებით.

	მიწის ქვეშ.	მიწის ზევით.	მიწის ქვეშ.	მიწის ზევით.
რურის ოლქი	7	8	8	10
აახენში	7	8	8½	10
ზემო სილეზიაში	7½	8	8½	10
ბავარია	7	8	8¼	10
რეინი	7	8	7½	9
შუა გერმანია	7½	8	8½	10

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს, მწარმოებლებმა ფაქტიურად გააუქმეს კოლექტიური ხელშეკრულებანი და ამუშავებენ მუშებს იმდენს, რამდენიც მათ მოესურვებათ.

* * *

ამ.-კავ. რკინისგზელთა ყრილობა

რკინის გზების მუშაობა
ამხ. ივანოვის მოხსენება

ლენინაკანი, 5 ივნისი. ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა მეექვსე ყრილობის დილის სხდომაზე 5 ივნისს ამიერ-კავკასის რკინის გზების ტეხნიკური ნაწილის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ივანოვმა.

მოხსენების დასაწყისში მან დაახასიათა საბჭოთა კავშირის ყველა გზების მდგომარეობა.

შემდეგ, გადავიდა რა ამიერ-კავკასიის რკინის გზების მუშაობაზე, მან აღნიშნა ის ცვლილებები, რომელიც მოხდა გზების მმართველობის სტრუქტურაში. გზების უფროსის თანამდებობა ამჟამად არ არსებობს. არის გამგეობა მთელ რიგ განყოფილებებით.

ამიერ-კავკასიის რკინის გზების ძირითადი კაპიტალი, რომელიც 1913 წელს 320 მილ. მანეთს შეადგენდა, 1925 წელს ომამდე არსებულის 75 პროცენტს უდრიდა.

გასულ წელს გამოვცვალეთ 5245 ვერსი მსუბუქი ტიპის ლიანდაგი, რაც პროგრამის 88 პროცენტს შეადგენს.

ხიდების გადაკეთების პროგრამა, რომელიც ჯერ კიდევ ომამდე იყო შემუშავებული, მიმდინარე წელს რეალურად ტარდება. უკვე დამთავრდა შორაპნის ხიდი მდ. ყვირილაზე, ფოთოლის ხიდი მდ. მტკვარზე და ძირულის ხიდი. გარდა ამისა დაწყებულია ევლახის ხიდის აგება მდ. მტკვარზე, საჯევახოს მდ. რიონზე და სხვ. ერთი სიტყვით შემუშავებულია ხიდების თანდათანობით გადაკეთების ხუთწლიანი გეგმა, რომელშიაც შედის 200-მდე ხიდი.

ყველა იმ მუშაკების ბინით დასაკმაყოფილებლად, რომელთაც აქვთ ამის უფლება და აგრეთვე არსებულ საცხოვრებელ სახლების და ბინებათ დაკავებულ ვაგონების განტვირთვისათვის საჭიროა აგება სახლების 14.500 კვ. საჟენის საცხოვრებელი სივრცით, რაც დაახლოებით 5 მილიონი მანეთი დაჯდება. ეს საცხოვრებლო პროგრამა განხორციელებულ უნდა იქნეს მახლობელ 3 წლის განმავლობაში, ხოლო მიმდინარე 1925-26 სამეურნეო წლისათვის მიღებული გვაქვს სესხად 1 მილიონი მანეთი 270 ბინის ასაგებათ.

ორთქლმავლების საერთო რიცხვი 1925 წლის პირველ ოქტომბრისათვის 1924 წლ. 1 ოქტომბერთან შედარებით 20 პროცენტით გაიზარდა. დაზიანებულ ორთქლმავლების პროცენტი 1 წლის შეუჩერებელი რემონტის მეოხებით, 30-დან 28,7 პროცენტამდე დაიწია.

გაუმჯობესდა აგრეთვე ვაგონ პარკის მდგომარეობა.

მიუხედავათ ამისა სამგზავრო ვაგონების მდგომარეობა. მათი უაღრესად დაძველების გამო, ისევ მძიმე რჩება. ცენტრიდან მიღებული 23 ვაგონი მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს; მიმდინარე წლის ზაფხულისათვის მოთხოვნილების სავსებით დასაკმაყოფილებლად საჭიროა 107 ვაგონი.

1924-25 წელში 1923-24 წელთან შედარებით მგზავრების გადაზიდვა გაიზარდა 40 პროცენტით და ბარგის—61 პროცენტით.

ნავთის გადაზიდვა ნავთსადენით 1924-25 წელში 10 პროცენტით გასცილდა ომამდე არსებულ დონეს.

რაც შეეხება შემთხვევებს, ამ მხრივ მდგომარეობა გაცილებით უფრო ცუდია, ვინემ 1913 წელს. შემთხვევების რიცხვი გაიზარდა 1923-24 წელთან შედარებითაც. შემთხვევების საერთო რიცხვი 1923-24 წელს უდრიდა 703-ს, 1924-25 წელს 872-ს, ხოლო 1925-26 წლის პირველ ნახევარში 576-ს.

გზებისათვის სათბობი მასალის მიწოდების მხრივ უნდა ითქვას, რომ ნავთი და ქვანახშირი გზებს მომარაგებული ჰქონდა 100 პროცენტით, შეშის მოთხოვნილება მხოლოდ 74 პროცენტით იყო დაკმაყოფილებული.

1923-24 საოპერაციო წელი ექსპლოატაციის სფეროში დამთავრდა 4,5 მილ. მან. დეფიციტით.

ამიერ-კავკასიის სამრეწველო და ეკონომიური ცხოვრების საერთო განვითარებასთან შეფარდებით, რკ. გზამ შეიმუშავა მიმოსვლის დეტალური გეგმა მახლობელ ხუთი წლისათვის.

წინააღმდეგ კაუცკების სურვილისა—ამბობს დასასრულ ამხ. ივანოვი—ჩვენ განვმტკიცდით და გავიზარდეთ. განვაგრძნობთ მომავალშიაც ერთსულოვან მუშაობას.

კამათი ამხ. ივანოვის მოხსენების გარშემო

ლენინაკანი, 7 ივნისი. ყრილობის მეცხრე სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. ბაკუნცი, გრძელდება კამათი ამხ. ივანოვის მოხსენების გარშემო.

განჯის რაიონის დელეგატი აღნიშნავს ცენტრის სუსტ და დაუკვირვებელ მუშაობას. ასე მაგალითად, ძირტკბილას გადასაზიდათ საჭირო იყო 300 ვაგონი და დატვირთვა უნდა დამთავრებულიყო იანვარში. მუშაობა კი გაჭიანურდა მაისის ბოლომდე.

პონომარიოვი (თბილისი) აღნიშნავს, რომ მატარებლების ბრიგადების სამორიგო შენობა ზოგიერთ სადგურებზე საშინელ მდგომარეობაშია.

დანელიანი (კარაკლისი) ამბობს, რომ წვრილმანი სამუშაოები ეძლევა მოიჯარადრეებს, ხოლო უმუშევარი რკინისგზელები მშიერი რჩებიან. ხაზზე მომუშავე ავადმყოფებს სავადმყოფოში აგზავნიან მაშინ, როცა უკვე საჭიროა კუბოს შეკვეთა. ხელოსნები მუშებს ღებულობენ და ითხოვენ ნაცნობობით და პროტექციით.

აბხაზოვი (ბათომი) აღნიშნავს, რომ საწარმოო კომისიების დადგენილებები მხოლოდ 5 პროცენტით ტარდება ცხოვრებაში. ოზურგეთის ხაზზე შპალები 100 პროცენტით უვარგისია და საჭიროა მათი გამოცვლა.

შუშანია (სამტრედია) ამბობს, რომ გზის გასაფართოებლად სენაკში აიღეს კლუბის შენობა და ამგვარად მუშებს წაართვეს ერთად ერთი კულტურული ადგილი.

მიშინი (ბაქო) ამბობს: „მოხსენებაში ივანოვმა აღნიშნა, რომ აზერბეიჯანის ხაზზე ბევრია უბედური შემთხვევები. ეს იმიტომ ხდება, რომ ცენტრი გამოუცდელ მუშაკებს აგზავნის.

მეგრელიშვილი (ზესტაფონი) აღნიშნავს, რომ სადგურზე წყალი უსუფთაოა და კომისია ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს. სადგურზე არ არის განათება. ეს საქმეს აბრკოლებს. წარსულ წელს დეპოს კანტორაში მუშაობდა 5 კანტორის მოსამსახურე, მიმდინარე წელს კიდევ 4 მოუმატეს.

მარკარიანი (ლენინაკანი) გამოდის ნარდათ მუშაობის წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ ახლად მიღებული შპალების 10-15 პროცენტი უვარგისია.

ვაშაკიძე (თბილისი) ამბობს: „მე უნდა აღვნიშნო, რომ მუშები არასოდეს არ მუშაობდენ ისე კეთილსინდისიერად, როგორც, ეხლა. მოთანგარიშეების ზედმეტი საათების ლიკვიდაციისათვის საჭიროა, რათა უწყებების შედგენა ხდებოდეს ყოველი თვის 15-ს.

იბრაგიმოვი (ჯულფა) აღნიშნავს, რომ სადგურის უფროსი ასრულებს 4 მოვალეობას, რის გამო ის იღლება და ვერ ასწრებს მატარებლებზე გამოსვლას.

სანჩინსკი (განჯა) ამბობს, რომ მუშებს არა აქვთ შესაძლებლობა თავის დროზე მოვიდნენ სამსახურში. ვინაიდან მატარებლების მიმოსვლა არ არის შეფარდებული მუშაობის დაწყებასთან.

ოვანესიანი (ერევანი) სთვლის, რომ გზათა კომისარიატის პოლიტიკური რწმუნებული (უდრ) ზედმეტია. ეკონომიის რეჟიმის მიზნით ყოველგვარი შემთხვევების გამოსარკვევად არ უნდა იგზავნებოდეს კომისიები, რადგან ამ მუშაობის შესრულება ადგილებზედაც შეიძლება და ამით ჩვენ თავიდან ავიშორებთ მივლინების ხარჯებს.

შელიძე (ხაშური) აუცილებლად სთვლის ისრეებისათვის სადარაჯოების აგებას. ქიათურის რკ. გზებზე სამგზავრო მატარებლებში 3 ვაგონში მუშაობს ერთი კანდუქტორი. ამიტომ ხშირი მოვლენაა უბილეთო მგზავრები.

ამით თავდება კამათი.

ამხ. ივანოვის საბოლოო სიტყვა

საბოლოო სიტყვაში ამხ. ივანოვი ამბობს:

„აქ აღნიშნავდენ, რომ ჩვენ არ აგვიშენებია ესა და ეს. მაგრამ მე უნდა განვაცხადო, რომ ბიუჯეტ-აღრიცხვის შედგენის დროს ჩვენ საამშენებლო მუშაობისათვის მოვითხოვდით 60 მილ. მანეთს. მივიღეთ კი მხოლოდ 6 მილიონი. აი რატომ ვერ შევსძელით ჩვენ ყველაფრის გაკეთება და ყველაფრის დაკმაყოფილება. ყრილობამ ეს უნდა მიიღოს მხედველობაში. აქ ლაპარაკობდენ იმის შესახებ, რომ პატარა სადგურებზე კანდუქტორები სდარაჯობენ ვაგონებს, რომ „პლომბები“ არ იქნეს მოხსნილი. მაშ ვინ უნდა უდარაჯოს ვაგონებს? თქვენ მოითხოვთ, რომ თვითეულ კანდუქტორს დაუნიშნოთ თანაშემწე.

ჩვენ ჯერ-ჯერობით არ გვაქვს შესაძლებლობა გავაუმჯობესოთ მოწაფეების მდგომარეობა. ლენინაკანში ჩვენ გავხსენით ფაბრიკა-ქარხნების შეგირდობის სკოლა. ფაბრიკა-ქარხნების სკოლებისათვის ცენტრმა გაიღო 500.000 მანეთი; აქედან ჩვენ გვერგო 100.000 მანეთი. ამ თანხებით ჩვენ თბილისში დავიწყებთ ფაბრიკა-ქარხნების შეგირდობის სკოლის აგებას. მეტის გაკეთება ჩვენ ჯერ-ჯერობით არ შეგვიძლია, რადგან თვითეული სკოლა 300.000 მანეთი ჯდება.

აქ ამბობდენ, რომ ჩვენ მიერ შეკეთებულ სამგზავრო ვაგონებს გზავნიან ჩრდილოეთში. დიახ, ეს ასე ხდება, რადგან უამისოდ ჩვენ ვერ მივიღებთ ახალ ვაგონებს, ვინაიდან ჩვენ გვაქვს შეთანხმება ამის შესახებ.

განჯაში ჩვენ ვერ გავგზავნით სპეციალისტებს, იქ მათ სცემენ. ერთ-ერთ სპეციალისტს წაართვეს ბინა და ის დარაჯის სამზარეულოში ცხოვრობდა. სპეციალისტებისადმი ასეთი მოპყრობა დაუშვებელია და ამას ბოლო უნდა მოეღოს.

ორთქლმავლები არც ისე ცუდია, როგორც აქ ამბობდენ და, თუ ჩვენ მათ არ გამოვიყენებთ, სამაგიეროს ვეღარ მივიღებთ.

ასლანოვს მთელი წლის განმავლობაში არაფერი უთქვამს ნორმის დამწესებელ ბიუროს შესახებ. ყრილობისათვის საჭიროა ფაქტები. თუ თქვენ ამბობთ, რომ აუცილებლად საჭიროა ამ ორგანოს რეორგანიზაცია, მაშინ მოგვეცით ხალხი. (ხმები ადგილებიდან: „მოგცემთ, მოგცემთ“). ჩვენ გვეუბნებიან, რომ სტატისტიკისათვის არ არის საჭირო ამდენი ხალხი. სტატისტიკა აუცილებელია და საჭიროა იმისთვის, რომ ვიცოდეთ, თუ რა ხდება აქა თუ იქ, სწორად მუშაობისათვის საჭიროა სწორი და შემოწმებული ციფრები.

ჩვენ გვისაყვედურებენ, რომ სპეციალისტებს ხშირად ვგზავნით ხაზზე. ამბობენ აგრეთვე, რომ სპეციალისტები კაბინეტებში სხედან. ამხანაგებო! სპეციალისტების ხაზზე გაგზავნა აუცილებელია. მათ ეძლევათ დირექტივები იმუშაონ პროფესიონალურ ორგანოებთან და ადგილობრივ მუშაკებთან შეთანხმებით. ადგილებზედ მათ სრული დახმარება უნდა გაუწიოთ.

ჩვენ სამუშაოდან ვხსნით ზოგიერთ ადმინისტრატორებს, რომელთაც მიუძღვით ბოროტმოქმედებები. ჩვენ ასეთ ხალხს სამსახურში ვერ დავსტოვებთ. უბედურ შემთხვევებს რკ. გზებზე ხსნიან მით, რომ მუშაობს გამოუცდელი ახალგაზრდობა. ეს არ არის მართალი. გამოკვლევებიდან ვხედავთ, ეს არ არის ნამდვილი მიზეზი. რკინის გზის მეურნეობა—დიდი მეურნეობაა და, რასაკვირველია, ნაკლულოვანებანი და შეცდომები შესაძლოა არსებობდნენ. თქვენი კონტროლის ქვეშ და თქვენი დახმარებით ჩვენ შევსძლებთ ამ ნაკლულოვანებების გამოსწორებას თუ ვიმუშავებთ ერთსულოვნად და ენერგიულად“.

რეზოლიუცია ამხ. ივანოვის მოხსენების გამო

ამხ. ივანოვის მოხსენების გამო ყრილობა ღებულობს რეზოლიუციას, რომელშიაც ამ.-კავკასიის რკ. გზების გამგეობის მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. რეზოლიუციის მიღებას ყრილობა ტაშის ცემით ხვდება.

ა.-კ. რკ. გზათა სამომხმარებლო საზოგადოების მოხსენება ყრილობის დღის წესრიგიდან მოხსნილ იქნა.

არჩეულ იქნა სამი სექცია: საორგანიზაციო, სატარიფო და კულტურულ-განმანათლებელი.

მე-10 სხდომა
სამანდატო კომისიის მოხსენება

სამანდატო კომისიის მოხსენებით ყრილობას დაესწრო 144 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, და 27—სათათბირო ხმით. თბილისიდან—47 დელეგატი, ხაშურიდან—13, ბათომიდან—6, ბაქოდან—31, ლენინაკანიდან—21.

განათლების ცენზის მიხედვით: დაბალი განათლებით—120, საშუალო—23, უმაღლესი—1.

პარტიულობის მიხედვით—პარტიული—106, უპარტიო—28, კომკავშირელი—10; ეროვნების მიხედვით: ქართველი—70, თურქი—20, სომეხი—23, რუსი—25 და სხვა ეროვნების—6.

რეზოლიუციების მიღება

მანდატების დამტკიცების შემდეგ ყრილობა იღებს რეზოლიუციებს საგზაო კომიტეტის, გზათა სამმართველოს და შრომის ინსპექტორის მოხსენებათა შესახებ. საგზაო კომიტეტის თეზისები მიღებულ იქნა შესწორებებით და დამატებებით. ყრილობამ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა, რომ საგზაო მოწესრიგების ბიუროს მოქმედება ჩაითვალოს არადამაკმაყოფილებლად.

ახალი საგზაო კომიტეტი

ყრილობამ ამიერ-კავკასიის საგზაო კომიტეტში ერთხმად აირჩია შემდეგი ამხანაგები: **საბაშვილი**, (საგზაო კომიტეტი) **სულავა**, (თბილისი) **ასლანოვი**, (საგზაო კომიტეტი) **გრიგორიანი** (ბაქო), **გრიგორიანი** (ლენინაკანი), **კრჩიევი** (განჯა), **კაპანაძე** (ხაშური), **ჩოჩუა** (სამტრედია), **ლოლობერიძე** (ბათომი), **კოლოსოვი** (საგზაო კომიტეტი) **მელნიკოვა** (ქალთა განყოფილება), **ქავთარაძე** (თბილისი), **უსტიაშვილი** (თბილისი), **მაღარაძე** (თბილისი), **ვაშაკიძე** (თბილისი), **ჩხეიძე** (კომკავშირი), **ნასიძე** (კომკავშირი), **შეპილევი** (თბილისი), **რაზმაძე** (თბილისი), **სამოხინი** (ბაქო), **სადიხ-ბატიროვი** (ბაქო), **იარ-მამედოვი** (ბაქო), **გრებენკოვი** (ბაქო), **მამედოვი** (ბაქო), **აბდულაევი** (განჯა), **ქარაპეტიანი** (განჯა), **ორლაძე** (ხაშური), **ბიბილაშვილი** (ხაშური), **გოგოლაშვილი** (ქუთაისი), **ქვინიხიძე** (სამტრედია), **ვატამანაშვილი** (ბათომი), **ივანოვი** (საგზაო სამმართველო), **აქიმოვი** (ა.-კ. მომხმარ. ხატრანსპ. კოოპერაცია), **დივი** (დამზღვევი კასსა), **პრუსე** (საგზაო კომიტეტი), **სტეფანოვი** (საგზაო კომიტეტი), **პეტროსიანი** (ლენინაკანი), **დარბინიანი** (ლენინაკანი).

პარტიული ცხოვრება

საქ. კომპ. ც. კომ. საკონტროლო პლენუმის რეზოლიუციები

დამნაშავე ამხანაგებისადმი მიდგომის საკითხზე

1. ეყრდნობა რა ს. კ. პ. (ბ) 14 ყრილობის გადაწყვეტილებებს ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი წინადადებას აძლევს პრეზიდიუმს იხელმძღვანელოს მომავალ მუშაობაში დამნაშავე ამხანაგებისადმი მიდგომის დროს, როგორც ძირითადი პრინციპით, პირველ რიგში აღმზრდელობითი ხოლო შემდეგ კი დასჯითი ხასიათის ზომების მიღებით.

2. პლენუმი წინადადებას აძლევს ც. ს. კ. პრეზიდიუმს, რათა საკონტროლო კომისიის ყველა წევრებში გაძლიერებულ და განმტკიცებული იქნას იმის შეგნება რომ ხსენებული ორგანო გადაიქცეს ამხანაგურ და არა მხოლოდ სასამართლო-დამსჯელ ორგანიზაციათ.

3. პლენუმი წინადადებას აძლევს ც. ს. კ. პრეზიდიუმს გააძლიეროს ინფორმაცია, მისცეს მას სისტემატიური ხასიათი. ამ მიზნით საჭიროა გამოიყოს ც. ს. კ. შემადგენლობიდან შესაფერისი მუშაკები ცენტრალური საკონტროლო კომისიის მოღვაწეობის გასაშუქებლად პრესაში და აგრეთვე ვალდებული გახადოს ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციები რათა იმათაც აწარმოონ თავის მხრივ საინფორმაციო მუშაობა.

4. პლენუმი წინადადებას აძლევს პრეზიდიუმს რათა პარტკოლეგიის ხაზით რაც შეიძლება ხშირად აწყონ მოხსენებები.

5. წინადადება მიეცეს პარტმოსამართლეებს თავიანთ უჯრედებში აკეთონ მოხსენებები საკონტროლო კომისიის მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

6. პლენუმი ავალებს ც. ს. კ. პრეზიდიუმს თვალყური ადევნოს შინაპარტიულ დემოკრატიის ცხოვრებაში გატარებას.

მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ

ა) მოისმინა რა ამხ. დოლიძის მოხსენება ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის მუშაობაზე მეორე პლენუმის დადგენილებათა განხორციელების და იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთაც პრეზიდიუმი ატარებს მომჭირნეობისათვის ბრძოლაში, პლენუმი იწონებს პრეზიდიუმის მუშაობას და ავალებს მას მომავალში თანდათანობით გააღრმავოს და გააფართოვოს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მუშაობა ეკონომიის რეჟიმისათვის ბრძოლაში და მიიღოს ენერგიული ზომები საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ცირკულიარის და საქართველოს კომპარტიის ცეკას უკანასკნელ პლენუმზე მიღებულ ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

ბ) შემდეგ, პლენუმი, აღნიშნავს რა, რომ ცალკე პირები ერთგვარ წინააღმდეგობას უწევენ ღონისძიებათა გატარებას ეკონომ. რეჟიმის საკითხში, წინადადებას აძლევს პრეზიდიუმს დაუზოგავად ამხილოს ასეთი პირების მოქმედება და, ზოგიერთ შემთხვევაში, სასტიკ პასუხისგებაში მისცეს ისინი, როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა ხაზით.

გ) აღნიშნავს რა მუშა-გლეხ კორესპონდენტების აქტიურ როლს ჩვენი დაწესებულების უყაირათობის და ნაკლულოვანებათა გამომჟღავნების საქმეში, განსაკუთრებით ეკონომიის რეჟიმის გატარებისათვის საჭირო ღონისძიებებთან დაკავშირებით და ადასტურებს რა ამასთანავე ერთად პრესაში მხილებულ ადმინისტრაციის და დაინტერესებულ პირების მიერ მუშა-გლეხ კორესპონდენტების ხან ფარულ ხან კი აშკარა დევნის ფაქტს,—ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი აუცილებლად სთვლის დაუნდობელ ბრძოლის წარმოებას ამ მოვლენის წინააღმდეგ და ავალებს პრეზიდიუმს მიიღოს საჭირო ზომები ამ მიმართულებით, მუშა-გლეხ კორესპონდენტების დასაცავად დევნისა და შევიწროვებისაგან, რა ფორმითაც არ უნდა ხდებოდეს ეს.

დ) აძლევს რა დიდ მნიშვნელობას მუშაობას ადგილებზე ეკონომიის რეჟიმის გასატარებლად, პლენუმი ავალებს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმს მოაწესრიგოს ამ მხრივ მუშაობა მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში.

ე) დაევალოს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმს დაიწყოს ბრძოლა ეკონომიის რეჟიმის გატარებისათვის მიღებულ ღონისძიებების ვულგარულ გაგებას და გადამახინჯების წინააღმდეგ და მიმართონ მუშაობა უმაღლეს პარტორგანოების მიერ დასახულ ხაზით.

ვ) ადასტურებს რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მეორე პლენუმის დადგენილებას პარტაქტივის უკიდურესად გადატვირთვის შესახებ, პლენუმი ავალებს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმს უფრო ენერგიულად მოჰკიდოს ხელი ამ საკითხს და რაც შეიძლება მოკლე დროში გაატაროს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ზემოაღნიშნული დადგენილება.

რწმუნებულთა მუშაობის შესახებ

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მესამე პლენუმმა მოისმინა მოხსენებები ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებისა აჭარისტანში, სამხრეთ-ოსეთში, ოზურგეთის და ქუთაისის მაზრებში, მათი მუშაობისა და ადგილობრივ პარტორგანიზაციების მდგომარეობის შესახებ; პლენუმი აღნიშნავს პარტაღმზრდელობითი მუშაობის ერთგვარ გაუმჯობესებას რწმუნებულთა ინსტიტუტის შემოღების შემდეგ და ამასთანავე აღიარებს, რომ რწმუნებულთა მუშაობა მათზე დაკისრებულ ამოცანების განხორციელების საქმეში არ სწარმოებს სავსებით დამაკმაყოფილებლად, რაც იმით აიხსნება, რომ ისინი აღნიშნულ პერიოდში ორგანიზაციული ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდენ და მათ სავსებით ვერ შეითვისეს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის მეთოდები და მათი ამოცანები.

იღებს რა ყოველივე ამას მხედველობაში ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი წინადადებას აძლევს თავის რწმუნებულთ მომავალ მუშაობაში გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი.

1. ფართო პოპულიარიზაცია უყონ ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის როლსა და ამოცანებს, რისთვისაც საჭიროა სიტყვებით გამოსვლა და მოხსენებების წაკითხვა როგორც პარტიულ, ისე უპარტიო მასების ფართო კრებებზე და კონფერენციებზე.

2. გააფართოვონ პარტაღმზრდელობითი მუშაობა, როგორც პარტიულ, ისე უპარტიო მშენებლობის ცალკე საკითხების დამუშავების გზით.

3. ფართოდ ჩააბან პარტიული მასები პრაქტიკულ მუშაობაში მე-14-ე პარტყრილობის დადგენილებათა შესასრულებლად.

4. ფართოდ გაატარონ შინაპარტიული დემოკრატია მეთოთხმეტე პარტყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით, რაც ძირითადი საშუალებაა ავადმყოფურ მოვლენების აღმოსაფხვრელად პარტორგანიზაციებში,

5. მოაწესრიგონ ადგილებზე პარტიულ ორგანიზაციების ზრდა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მე-3-ე პლენუმის დადგენილებათა ნიადაგზე.

6. მიიღონ ზომები, რათა რევოლიუციონური კანონიერება არავითარ შემთხვევაში არ შესუსტდეს.

7. ყოველი ძალ-ღონე იხმარონ ცენტრის დირექტივების განსახორციელებლად მშენებლობის ყველა დარგში მომჭირნეობის რეჟიმის გატარებისათვის.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

საქონლის ბირჟის ამოცანები

საცალო ვაჭრობაში ფასების დაკლებისათვის მებრძოლ ცენტრალურ საუწყებათაშორისო კომისიის ა.-წ. 23 აპრილს ცირკულიარის თანახმად საბჭოთა კავშირის საქონლის ბირჟებს დაევალათ მუშაობის გაძლიერება ბაზრის გაჯანსაღებისა და რაციონალიზაციისათვის.

ამის თანახმად ბირჟებმა უნდა დაისახონ ორი უმთავრესი მიზანი: ბრძოლა დიდ დანართებთან საფაბრიკო ფასებზე და ნებადაურთველ საქონლის გადასყიდვებასთან.

ამასთანავე ბირჟები მოვალენი არიან გარიგებათა დადების დროს გააფრთხილონ კონტრაგენტი კომისიის დადგენილების დარღვევის შესახებ და, თუ ასეთზე იგი არ დაეთანხმება, გარიგებები არ უნდა გაატარონ რეგისტრაციაში.

ბირჟის გარეშე გარიგებების დადების დროს, როდესაც ასეთები შევლენ ბირჟებში სარეგისტრაციოდ, სარეგისტრაციო ბიურომ უნდა განიხილოს იგი დეტალურად.

გაძლიერებულ უნდა იქნეს საკონტროლო კომისიების მუშაობა ნორმალური ფასების გამორკვევის მხრით და ამ დროს კომისიებმა უნდა გამოიჩინონ განსაკუთრებული სიფხიზლე ფასებისადმი, ფულის გადახდის პირობებისადმი და კონტრაგენტურისადმი. ცნობები კოტიროვკიდან მოხსნილ საქონლის შესახებ ბირჟებმა სასწრაფოდ უნდა გადასცენ სარეგისტრაციო ბიუროს.

რათა შემცირებულ იქნეს ზედმეტი ერთეულები საქონლის გამტარებელ ქსელში, ბირჟები მოვალენი არიან ბირჟათაშორისო ვაჭრობა და ბირჟათაშორისო გარიგებებზე აწარმოონ ზედმიწევნითი კონტროლი.

ამასთანავე ბირჟებს ევალებათ არ შეასუსტონ თვალყურის დევნა ბაზრის მდგომარეობაზე და ფასების მოძრაობაზე.

ყველა ამ ღონისძიების გატარება ბირჟებმა უნდა აწარმოონ ადგილობრივ შინა-ვაჭრობის კომისარიატთან და ფასების დამკლებ კომისიასთან შეთანხმებული მუშაობით.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

როგორ არ უნდა გავიგოთ მომჭირნეობა

მოსკოვის **„ტრუდ“-ი (№ 122) დაწვრილებით ჩერდება პროფკავშირების დანიშნულებაზე მომჭირნეობის გატარების საქმეში და, სხვათა შორის, სწერს:**

პროფკავშირების ორგანოებმა უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა წარმოების გამაუმჯობესებელ ღონისძიებათა დამუშავებაში (ვაცდენილ დღეების შემცირება, სამუშაო დღის ნორმალური დატვირთვა, შრომის დისციპლინის განმტკიცება და სხვა). ამასთანავე კავშირებმა არ უნდა დაივიწყონ თავიანთი დანიშნულება, რომელიც მდგომარეობს მუშათა ინტერესების უშუალოთ დაცვაში. „პროფკავშირებმა თვალყური უნდა ადევნონ, რომ მომჭირნეობა არ შეიქნეს მუშათა ნივთიერ პირობების გაუარესების საბაბათ, არამედ ეს რეჟიმი უნდა გადაიქცეს მუშათა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების საფუძვლათ“.

ამ მოკლე ხანის გამოცდილებით ვიცით, რომ აქა-იქ უკვე იყო და მომავალშიაც შეიძლება ადგილი დაიჭიროს ცდას, რომ მომჭირნეობა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ან სხვა შეღავათების ხარჯზე ჩაატარონ. გაზ. „ტრუდ“-ის მოსაზრება, რომ მომჭირნეობის რეჟიმი არ შეეხოს მუშა-მოსამსახურეთა ნივთიერ მდგომარეობას, სრულიად ეთანხმება, როგორც პარტიის, ისე პროფკავშირთა ხელმძღვანელ ორგანოების აზრს.

ამაზე განსაკუთრებით იმიტომ უფრო ღირს ჩვენი მკითხველების ყურადღების შეჩერება, რომ მომჭირნეობა ზოგ შემთხვევაში სწორედ ასე მრუდათ ესმით და, როგორც უკვე ვთქვით, აქა-იქ კიდევაც არის ცდა ამგვარი „მომჭირნეობის“ გატარებისა.

გაზეთი „ტრუდ“-ი ასე ათავებს თავის წერილს:

„ამ ტენდენციებს (მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის შემცირებით—მომჭირნეობის გატარება—მეპრ.), რომელიც სრულიად არ შეესაბამება სინამდვილის სწორ შეფასებას და მაჩვენებელია გონებრივ სივიწროვის ან განსაზღვრულობის, კავშირებმა უნდა დაუპირდაპირონ შექმნილ მდგომარეობის ან საღი შეფასება. მათ უნდა გამოიჩინონ ფხიანობა ყოველ ისეთ ღონისძიებათა მხარის დაჭერაში, რომელნიც წაგვიყვანენ ჩვენ საბოლოო გამარჯვებისაკენ“.

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

რა გაკეთდა ერთ კვირაში

ერთი კვირის განმავლობაში ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენას ბევრი რამ შეემატა.

აგებულია ორი ახალი პავილიონი—შვეციის ფირმა „ალფალავალ“-ის და უკრაინის სავაჭრო საზოგადოება „ზოლოტა ბდჟოლა“-სი. მოწყობილია ახალი ყვავილნარები, გაყვანილი და გალამაზებული გზები, აგებულია საგრილებელი წყლების კარვები და სხვა.

ექსპონატების მხრივაც გამოფენა საგრძნობლად გამდიდრდა. მიღებული და დალაგებულია ფორდის ექსპონატები, თუმცა პავილიონის ოფიციალური გახსნა ჯერ არ მომხდარა.

ამას გარდა ექსპონატები შემატა სამკალი მანქანების საერთაშორისო კამპანიას, საზ-ბა „რუსავსტორგ“-ს, გარმანულ ფირმა „ჰენრიხ ლანც“-ს და სხვა ფირმებს. გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს გამოფენის გარეგნულად გასალამაზებლად.

საზ-ბა „რუსავსტორგ“-ს ჰენრიხ ლანცის პატარა ტრაქტორ—„ბულდოგის“ საშუალებით მოწყობილი აქვს პატარა ელექტრო-სადგური, რომლის ენერგია გამოყენებულია საზოგადოების პავილიონზე მოძრავი რეკლამის გასამართავად.

ექსპონატების რიცხვი გაადიდა სინდიკატმა „სელმაშ“-მაც; ამ უკანასკნელს გამოფენილი ექსპონატების გარდა მრავალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები დალაგებული აქვს თავის საწყობში, საიდანაც საჭიროების მიხედვით გადმოაქვს ისინი გამოფენაზე.

გამოფენის მნახველთა რიცხვიც არაჩვეულებრივად გაიზარდა. კვირას მთელი დღის განმავლობაში ეტლების, ავტომობილების და ტრამვაის განუწყვეტელი მოძრაობა იყო დიდუბისაკენ. დილიდან ნაშუაღამევის 3 საათამდე მუშაობდა 15 ავტობუსი, რომლებიც ვერც კი ასწრებდენ ყველა მსურველების გადაყვან-გადმოყვანას. ტრამვაით სარგებლობა ძალიან გაძნელებულია, რადგან დიდუბის ხაზზე ვაგონების მეტად მცირე რაოდენობა მუშაობს.

დილიდანვე გამოფენას მრავალი ექსკურსანტები მოაწყდა; განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია მოწაფეების, წითელარმიელების და მუშა-მოსამსახურეების ექსკურსიები. მათ ახსნა-განმარტებას აძლევენ პავილიონებზე მიმაგრებული სპეციალისტები.

საღამოობით გამოფენას უფრო მოსეირნე საზოგადოება ეტანება. ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების სიმფონიური ორკესტრი აუარებელ ხალხს იზიდავს. სიმფონიური ორკესტრის გარდა გამოფენაზე არის თეატრიც, სადაც გამოდიან მოსკოვის სატირის თეატრის და ბაქოს კოლექტივ „გაიკა“-ს მსახიობები.

გამოფენა თბილისის ცხოვრების ცენტრში მოექცა. სოფლის მეურნეობის დღესასწაულზე ყველა ხალისიანად მიისწრაფვის. გამოფენის დათვალიერება ყველას გულში უნერგავს ღრმა რწმენას, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის გარდაქმნა ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით უახლოესი დროის საკითხია.

შ—ა.

„ალფა-ლავალ“

შვეციის ფირმა „ალფა-ლავალ“-ი ერთ-ერთი უდიდესი ფირმაა მთელს მსოფლიოში. ამ ფირმის ქარხნები მოთავსებულია როგორც შვეციაში (სტოკჰოლმი), ისე ყველა სხვა დანარჩენ ქვეყნებში—ამერიკაში, საფრანგეთში, გერმანიაში და სხვაგან. ყველა ამ ქარხნებში მუშაობს 25.000 მუშა.

აღნიშნული ფირმა ამზადებს მხოლოდ რძის მეურნეობისთვის საჭირო იარაღ-მანქანებს, უმთავრესად კი სეპარატორებს. ყოველწლიურად „ალფა-ლავალი“ ამზადებს 800.000 სეპარატორს, მარტო საბჭოთა კავშირში ამჟამად ხმარებაშია „ალფა-ლავალის“ სისტემის 700.000 სეპარატორი. ფირმას საბჭოთა კავშირთან დადებული აქვს სავაჭრო ხელშეკრულება, რომლის ძალით შარშან საბჭოთა კავშირში გაყიდული იქნა მრავალი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები.

„ალფა-ლავალ“-ს ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოწყობილი აქვს საკუთარი პავილიონი, რომელიც მოთავსებულია გამოფენის შესავალში შვეციის მეორე ფირმის „ატლას-დიზელ“-ის ელექტრო-სადგურის პირდაპირ. პავილიონში გამოფენილია სეპარატორები და რძის მეურნეობაში საჭირო სხვა იარაღ-მანქანები.

სეპარატორს სოფლის მეურნეობაში ხმარობენ რძიდან ნაღების მოსახდელად და კარაქის დასამზადებლად. ჩვეულებრივ ჩვენში ნაღების მოხდის დროს მიმართავენ ასეთ წესს: რძეს ასხამენ სათანადო ჭურჭელში, აჩერებენ რამოდენიმე საათს და შემდეგ ნაღებს მოხდიან კოვზით. ასეთი წესით მუშაობის დროს რძეში რჩება ცხიმი 0,7—1,0 პროცენტამდე.

ნაღების მოხდა სეპარატორით შეიძლება ძროხის მოწველისთანავე, ამასთანავე რძეში დარჩება ცხიმი არა უმეტეს 0,10 პროცენტისა. სეპარატორის ხმარების დროს კარაქის, და მაშასადამე სამეურნეო მოგების მიღება შესამჩნევად იზრდება.

ამას გარდა სეპარატორით მოხდილ ნაღებიდან უკეთესი კარაქი გამოდის, რადგან ნაღების ჩვეულებრივი წესით მოხდის დროს რძეში, რომელიც ჭურჭელში დგას 18—24 საათი, შეიძლება მტვერი ჩაცვინდეს, სეპარატორი კი საშუალებას იძლევა ნაღები მოხდილი იქნეს ახლად მოწველილ რძიდან. აქ არის დროის ეკონომია, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობისათვის.

სეპარატორების გარდა „ალფა-ლავალის“ პავილიონში გამოფენილია კარაქის საკეთებელი მანქანა და სხვა იარაღები.

გამოფენის ქრონიკა

4.000 ექსკურსანტი

კვირას, 6 ივნისს, გამოფენა დაათვალიერა 4.000 ექსკურსანტმა; აქედან 1.500 რკინისგზელია, დანარჩენი მოწაფეები და წითელარმიელები

გლეხთა ექსკურსია

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დასათვალიერებლად ჩამოვიდა სომხეთიდან 40 გლეხი და აზერბეიჯანიდან—35.

„კეიბირლიგი“

აზერბეიჯანის კოოპერატიულმა ამხ-ბა „კეიბირლიგმა“ გამოფენის დასათვალიერებლად გამოგზავნა 6 გლეხი-ექსკურსანტი.

საგზაო ფული გლეხებს

საექსკურსიო ბიურომ ადგილებს დაუგზავნა მიმართვა, რომ გამოფენაზე მიმავალ გლეხებს მისცენ საგზაო ფული.

მანქანების დემონსტრაცია.

დღეს საღამოს 6 საათზე, „ალფა-ლავალ“-ის პავილიონში მოხდება სეპარატორების და სხვა მანქანების დემონსტრაცია მუშაობის დროს.

გაზეთი გამოფენაზე.

„ზარია ვოსტოკა“ საღამოობით გამოფენაზე უშვებს სპეციალურ ფურცელს, რომელშიაც იბეჭდება მასალები გამოფენის შესახებ.

15.000

კვირას გამოფენა დაათვალიერა 15.000-მდე კაცმა. მარტო ექსკურსანტების რიცხვი ყოველდღიურად უდრის 1000-ზე მეტ კაცს.

მანქანების გაყიდვა.

გამოფენის მომწყობი კომიტეტი ამჟამად ამუშავებს მანქანების გაყიდვის გეგმას. გაყიდვები დაიწყება ახლო ხანში.

„კომუნისტი“
გრძელდება ხელისმოწერა ივნისისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

შრომის სკოლის ნამუშევარის გამოფენა

თელავი, 7 ივნისი. დაიხურა თელავის პირველ შრომის სკოლის მოწაფეების ნამუშევართა გამოფენა. მოწაფეების თვითეულ ჯგუფს თავისი განყოფილება ჰქონდა; სულ 15-დე განყოფილება იყო. ყოველ განყოფილებასთან იდგა მოწაფე, რომელიც დაწვრილებით განმარტებას იძლეოდა. ყურადღებას იქცევდენ სურათები, კოლექციები, კედლის გაზეთები, პეიზაჟები და პანორამები.

გამოფენა დაათვალიერა 1000-დე კაცმა, მათ შორის მეტ ნაწილს გლეხები შეადგენდენ.

აჭარისტანი

შუახეთის ხიდი

ბათომი, 7 ივნისი. ოთხშაბათს, 9 ივნისს აჭარისტანში მდინარე აჭარის-წყალზე მოხდება შუახეთის ახალი რკინის და ბეტონის ხიდის გახსნა.

აგურის ქარხანა

ახალ-სენაკი, 7 ივნისი. აბაშის თემის აღმასკომმა გახსნა აგურის ქარხანა, რომელიც წლიურად 100,000-დე აგურს დაამზადებს, ამის შემდეგ აგურის ნაკლებობას ბოლო მოეღება.

სკოლის შენობების აგება

ახალ-სენაკი, 7 ივნისი. ძველ სენაკში კოტიანეთის სკოლისათვის შენდება ქვის სახლი. ქვედა-თელეთში შენდება შვიდწლედის შენობა. აბაშის თემში აგებულია ოთხწლედის შენობა, გაფართოებულია შვიდწლედის შენობა. დანარჩენ თემებში სდგება პროექტები სასკოლო შენობების აგების და შეკეთების შესახებ.

წერილები

ასე მუშაობა არ შეიძლება

(წერილი თელავის მაზრიდან)

მე აქ არ ჩამოვთვლი ყველა იმ ნაკლულევანებას, რაც სახალხო სასამართლოების მუშაობას ახლავს. აღვნიშნავ მხოლოდ ერთ მეტად დაუშვებელ მოვლენას. ეს არის უწყებების დროთი ჩაუბარებლობა, რაც ისედაც დატვირთულ სასამართლოს უძნელებს მუშაობას.

ძალიან ხშირი შემთხვევაა, როცა ორჯერ, სამჯერ იდება საქმე უწყებების ჩაუბარებლობით. უწყებები იგზავნება ორი, სამი კვირით და ხშირად თვითაც ადრე. მაგრამ სასამართლო მაინც ვერ ღებულობს რაიონიდან ცნობას უწყების ჩაბარების შესახებ.

არის მაგალითები, როცა თბილისიდან 120 ვერსის მანძილზე მიდის თავის დროზე დაბარებული და რაიონიდან 14—15 ვერსის მანძილიდან არ ცხადდებიან უწყებების ჩაუბარებლობის გამო.

ოცდაცხრა მაისში გამოწვეულნი იყვნენ თბილისიდან შილდაში: მუსელიძე და ახალსოფლიდან (სასამართლოს რაიონი) ბ. ბაქრაძე. მუსელიძე ორჯერ მოვიდა სასამართლოში, მხოლოდ ბაქრაძე ვერ მოიყვანეთ, მიუხედავათ იმისა, რომ მეორეთ მოყვანაზე სასამართლოსგან განკარგულება იყო გაცემული იძულებით მოყვანაზე. ძალიან ხშირია შემთხვევები, როცა მომჩივანი მოდის, ხოლო მოპასუხე არც სიახლოვეს და არც უწყების პირია დაბრუნებული. გულდაწყვეტილი მომჩივანი ბრუნდება უკან ორჯერ, სამჯერ.

ჩვენდა სავალალოთ ამას წინათ მივიღეთ თელავის აღმასკომის მოწერილობა, სადაც ნათქვამია, რომ მილიცია გაიტვირთოს სასამართლოს უწყებების ჩაბარებიდან. „უწყებებს უნდა არიგებდნენ თემალმასკომების დარაჯებიო". ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოები უნდა გამოეთხოვონ თავის მუშაობას. ზოგიერთ თემალმასკომს ყავს მხოლოდ ერთი დარაჯი, წერა-კითხვის უცოდინარი, რომელიც თავის საქმეებსაც ვერ ასდის; ზოგს არც კი ყავთ დარაჯი, მაგალითად: ახალ სოფლის თემალმასკომს სულ არა ყავს დარაჯი.

მე ჩემი თვალით ვნახე; აღმასკომის თავმჯდომარე: გიუნაშვილი გვიდა კანცელარიას. მან განაცხადა: რვა—ცხრა მანეთად არავინ დგება და რა ვქნაო".

ენისელის თემი სამი-ოთხი ვერსით არის დაშორებული სასამართლოდან და არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ უწყება თავის დროზე ჩაებარებინოთ. მე ვფიქრობ, რომ უწყებების დარიგება უნდა ხდებოდეს განსაკუთრებით სასამართლოს მილიციის საშუალებით. თუ ვინმე გაბედავს გულგრილობას ან ცრუობას, პასუხისგებაში უნდა იყოს მიცემული. ეხლა არ იცი ვინ მისცე პასუხისგებაში; მილიცია უგზავნის აღმასკომს, აღმასკომი დარაჯს და თუ დარაჯი არა ჰყავს უყრია კანცელარიაში და რჩება შეუსრულებელი. ამ საქმის მოგვარებას უნდა მიაქციონ სერიოზული ყურადღება, თუ გვინდა, რომ სასამართლოს ისედაც არანორმალური მუშაობა რამდენადმე მაინც მოწესრიგდეს.

სოსო მაჭავარიანი.

ბათომის ნაძალადევი

ბარცხანა თბილისის ნაძალადევია, ბარცხანაში ეწყობოდა რევოლიუციონური ორგანიზაციები და იმართებოდა სტამბები. აქ არსებობდა მუდმივი წრეები მუშებისა.

ბარცხანა და ნაძალადევი უნდა ჩაითვალონ რევოლიუციის მთავარ კერათ საქართველოში. 1917 წლიდან ბარცხანაში მოდუნდა საზოგადოებრივი ცხოვრება, რადგან ოსმალეთის შემოსევამ 1918 წელში, შემდეგ ინგლისის ოკუპაციამ და სხვამ დაქსაქსა ძირითადი ადგილობრივ მცხოვრებთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ ვინც დარჩა, მათ მუშაობა არ შეუწყვეტიათ, რასაც ამტკიცებს ის გარემოება, რომ საკუთარი შრომით და თანხით ბარცხანელებმა შეიძინეს შენობა, რომელშიაც მოთავსებულია კოოპერატივი და ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

ამასთანავე ბარცხანის მუშების საოცნებო საგანს შეადგენს სახალხო სახლის აგება და ყოველ დღე ფიქრობენ მისი საძირკვლის ჩაყრას.

ამ სურვილს წინ ეღობებოდა მათი მატერიალური უსახსრობა.

მიმდინარე წელს კი მოიკრიბეს უკანასკნელი ძალღონე და თავიანთი ღარიბი ჯიბით საძირკველი ჩაუყარეს სახალხო სახლს. მუშების ადგილობრივი მცხოვრებთა კრება აღტაცებით ეგებებოდა კომისიის ყველა გამოძახილს და უკანასკნელ გროშებს არ ზოგავდა ბარცხანისათვის ამ დიად საქმის თავის მოსაბმელათ. ამით მიაღწიეს მხოლოდ იმას, რომ დღეს ბარცხანაში დაინახავთ უზარ-მაზარ ბეტონის შენობას, რომელსაც მხოლოდ კედლები აქვს ამართული.

როდესაც ამ საქმეს იწყებდენ, უბანს იმედი ქონდა, რომ თავიანთი ძალღონით დაასრულებდა, მაგრამ ამაოდ. მუშების მცირე ხელფასიდან 6 და 7 ათასის ამოღება ერთობ ძნელი და შეუძლებელი გახდა, რის გამო კომისიამ საქმის სასურველად დასამთავრებლად გადასწყვიტა მიმართოს მუშათა საქმისადმი გულშემატკივარ თანამოძმეებს და სთხოვოს ძმური ხელი.

კომისია აგრეთვე იძულებულია მიმართოს თხოვნით საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს, რათა მოგვცეს საშუალება მუშების შვილებისათვის დავდგათ ძეგლი, სადაც ახალგაზრდობა დეეწაფება თვით განვითარებას და მოემზადება მშრომელი ხალხის სამსახურისათვის.

არტემ ჩემია.

წერილებიდან

ს. სუფსა, (გურია)

წყალის მუქარა ავიშოროთ. მდინარე სუფსას ხშირად განმანადგურებელი ზარალი მიუყენებია მის ნაპირის მდაბარე სოფლებისათვის. ტეხნიკურმა შემოწმებამ გამოარკვია, სუფსის ხშირი ადიდება იმის ბრალია, რომ მდინარეს კალაპოტი მიკიბულ-მოკიბულია. საჭიროა ამიტომ კალაპოტის გასწორება, რომ წყალმა პირდაპირი მსვლელობა მიიღოს. მაგრამ ამ შემთხვევაში საფრთხე მოელის ს. ხიდმაღალას, რომელსაც ერთბაშად მიაწყდება მთელი წყალი. რომ ეს უბედურობა თავიდან ავიცდინოთ, საჭირო იქნება არხის გაჭრა. ამ საქმეს დროზე და ერთსულოვნად უნდა მივყოთ ხელი მთავრობის დახმარებით ყველა დაინტერესებულმა სოფლელებმა.

ი. გაბეჩავა.

ს. ზემო-ჩიბათი (გურია).

დაუხურავი სამკითხველო. ერთ წელზე მეტია, რაც აქ ქოხ-სამკითხველოს შენობის აგება დაიწყეს, კედლები უკვე ამოყვანილია, მაგრამ გადახურვისათვის თავს არავინ იწუხებს. გაუკეთებელია აგრეთვე ფანჯრებიც. დროა ეს სახლი დასრულებული იქნას.

მიშა ჩიბათელი.

ს. პატარძეული

თავმჯდომარე რას აკეთებს? მეველეების დაუდევრობით კულაკების საქონელმა გააპარტახა პატარძეულ გლეხების 60 დესეტინა სათიბი და 18 დღის ყანა. სოფლის საბჭოს თავმჯდომარე—დათიკო ოქროცვარიძე არავითარ ყურადღებას აქცევს ამ საზიზღრობას, რომელსაც სჩადიან კულაკები და მათი მეველეები. ოქროცვარიძეც კულაკების ჰანგზე მღერის. სართიჭალის აღმასკომის თავმჯდომარევ, მოხედე პატარძეულს.

მწვავე მათრახი.

წირქვალის თემი (შორ. მაზრა).

„ღარიბი" ბარათაშვილი. ნახშირის ყოფილ მრეწველმა მიხეილ ბარათაშვილმა სთხოვა თემსაბჭოს მიეცათ მისთვის სიღარიბის მოწმობა, რომელიც ბარათაშვილს სასამართლოში წარსადგენათ ესაჭიროებოდა. თავმჯდომარემ ეს საკითხი საბჭოს კრებაზე ბარათაშვილის თანდასწრებით დასვა. ვერავინ წინააღმდეგ ვერ წავიდა და ამნაირათ სიღარიბის მოწმობა გაცემული იქნა უკანონოთ. ბარათაშვილი მდიდრათ ცხოვრობს: ადგილ-მამული აქვს წირქვალში და სახლები ჭიათურაში.

ლაშისპირელი.

მუშათა ცხოვრება

„კომუნისტი"-ს მუშკორები გამოფენაზე.

5 ივნისს ჩვენმა მუშკორებმა, რედაქციის წარმომადგენლის ხელმძღვანელობით, დაათვალიერეს ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

გამოფენა ჯერ კიდევ ვერაა სავსებით დამთავრებული. მაგალითად, ფორდის პავილიონში ჯერ კიდევ აკლია მანქანები, მაგრამ, რაც არის, ისიც მეტად საყურადღებოა.

აი შესავალში დიზელი—ელექტრონის მანქანა ქშინავს, ცეცხლს აფრქვევს. მის გვერდით სხვადასხვა საუკეთესო მანქანებია გამოფენილი. შედიხართ ლამაზად მორთულ რუსეთ-ავსტრიის სავაჭრო პავილიონში. აქ ერთი მანქანა იპყრობს ჩვენი მუშკორების ყურადღებას.

— რა უნდა იყოს ეს მანქანა?

მოდის თავაზიანი ავსტრიელი და გვიხსნის, რომ მანქანა არის ლუდის დასაწმენდი...

გამოფენის შუა ალაგას გადაჭიმულია გრძელი პავილიონი. აქ რა გინდა რომ არ ნახო: სხვადასხვანაირი მანქანა - საქაჩავეები, წყლის დასაწმენდი ფილტრები, რძის დასაწმენდი, კარაქის დასამზადებელი მანქანები და მრავალი სხვა.

აი ჩვენი კავკასიის ნაწარმოებიც. სხვათა შორის, ხალიჩები და ერთ ხალიჩას 8.000 მანეთად აფასებენ.

— ერთ ჩერვონეცსაც ვერ მივცემ!—ოხუნჯობს ერთი მუშკორი.

— ვერ მისცემ იმიტომ, რომ არ გაქვს!— უპასუხებს სიცილით მეორე..

გამოფენა ყველას აკმაყოფილებს. აი ლამაზი და კოხტა იტალიის პავილიონი.

ცოტა მოშორებით გერმანიის პავილიონია, სადაც ავტომობილები და დიდი მანქანები აწყვია, თორემ ისე გერმანელი თითქმის ყველა პავილიონში მოკალათებულა.

დიდ მანქანებს შორის ყურადღებას იპყრობს დიდი ავტომობილი კიბით.

ეს კიბე იშლება მექანიკურად და ხმარობენ დიდი, მაღალი, სახლების ხანძარის დროს...

ამასობაში ღამდება...

მუშკორებს აინტერესებს ერთი მაღალი ბოძი, რომლის წვერზე 5.000-ვოლტიანი, ანუ 10.000 (ათი ათას) სამთლიანი ელექტრონის სანათი უნდა აინთოს. ღამდება...

აინთო დიდი ლამპარი. მას მხარს უმშვენებს უამრავი სხვა პატარა ლამპები და განათდა გამოფენის არე-მარე...

საგანგებოთ გაკეთებულ სცენაზე იგრიალა სიმფონიურმა კონცერტმა კომპოზიტორი ფალიაშვილის ხელმძღვანელობით. მოკურცხლეს ჩვენმა მუშკორებმა... საით წავიდენ?..

გამოფენილი მანქანები, სხვა საყურადღებო საგნები იზიდავს სტუმრებს და მუსიკაც იწვევს თავისაკენ... და ბოლოს გამოირკვა—მუსიკამ სძლია. მუშკორები ჩამწკრივდენ სკამებზე და სმენად გადაიქცენ...

სასიამოვნო წუთები იყო...

იშვიათია სხვა მუშების ცხოვრებაში...

სამწუხაროდ, დიდხანს ვერ გაგრძელდა ეს ჩვენი სიამოვნება, გარემოება კი მეტის დარჩენის ნებას არ გვაძლევდა.

ავიშალეთით. ლამაზი, დღესავით განათებული გამოფენა და ხმა-ტკბილად მორაკრაკე კონცერტი-მუსიკაც დავსტოვეთ და გზაში კარგა ხანს ვოხუნჯობდით ხორის შრომის ტეხნიკუმის გამოგონილ სიმინდის საფშვნელ ერთ მანქანაზე.

ამ მანქანაში ჩაავდებთ სიმინდის ტაროს და ის იქ დაიფშვნება. სიმინდის მარცვლები ცალკე გამოცვივა და შუაგული--ნაგულაი--გვერდზე გადავარდება.

— გერმანელი და ამერიკელი ინჟინერები ერთი-მეორეს თურმე ეცილებიან ამ მანქანის შესაძენად,—ოხუნჯობს ერთი მუშკორი, და ასე ნასიამოვნებმა დავტოვეთ ღამის ათ საათზე ჩვენი გამოფენა.

ჩვენი რედაქცია დიდი მადლობის ღირსია ამ ექსკურსიის მოწყობისათვის.

ძველი მუშა ხ. ღლიძე.

ჯანმრთელობის გამანადგურებელ პირობებში

რკ. გზის მთავარი სახელოსნო ერთ-ერთ უდიდეს წამოწყებათაგანია. და ამასთან ერთად აქ ძალიან მძიმე სამუშაოებია. შავ მუშებს რვა საათის განმავლობაში უხდებათ ორთქლმავალის ნივთების მხარით გატან-გამოტანა. აუტანელ ჭუჭყში, რომელიც ანადგურებს ტანისამოსებს. ასეთ მძიმე და ჭუჭყიან ალაგას მომუშავე შავ მუშებს განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს, რომ დავიხსნათ ისინი შრომის ადრე უნარ დაკარგვისაგან, დაავადმყოფებისაგან, რათა დამზღვევ სალაროს არ დააწვეს ისინი შესანახად. თუ ჩვენ ამას შევასრულებთ, ეს იქნება მომჭირნეობა—და არა ის, რასაც დღეს სჩადის მთავარი სახელოსნოს ადმინისტრაცია.

ის ხედავს, რომ მუშები წვალობენ, ხედავს სახელოსნოს რკ. გზა მიწაში ჩაფლულია, ვაგონების ბორბლები მიწას სჭრის, აწვება რვა მუშა და ძლივს მიაგორებენ მას; იხარჯება უმნიშვნელოდ შრომა, მაშინ, როდესაც გასწორებულ რკ. გზაზე ადვილად გააგორებს ვაგონს ორი მუშა. ცდება რვა მუშა, სად არის აქ მომჭირნეობა, როდესაც ნადგურდება წარმოება და წვალობენ მუშები.

გადავალ სისუფთავეზე. ადმინისტრაცია მას ყურადღებას არ აქცევს. მუშებს არ აქვთ სასადილო; მათ უხდებათ ჭუჭყში საუზმობა.

ნუ თუ შეუძლებელია სასადილოს მოწყობა? შესაძლებელია, მაგრამ ადმინისტრაცია თავს არ იცხელებს.

ამას გარდა შავ მუშებს არ ეძლევათ სპეცტანსაცმელები მაშინ, როდესაც სხვაგან უფრო ადვილ და სუფთა ალაგას მომუშავენი ღებულობენ ასეთებს.

უბკავშირო. შრომის ინსპექციავ, მიიღეთ სათანადო ზომები!

მუშა გუდაუთელი.

მუშათა მასიური ექსკურსია.

6 მაისს, დილის 9 საათზე, მოეწყო სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა ექსკურსია სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღეს თავისუფალ მუშებმა. 9¼ საათზე ექსკურსანტები სადგურიდან გაემგზავრენ ორჯონიკიძის სახელობის კლუბის ბაღში, სადაც აგრონომმა ჯაშმა მოკლე მოხსენება გააკეთა გამოფენის მნიშვნელობაზე, რის შემდეგ სხვადასხვა დარგის მუშებმა ერთად წავიდით გამოფენაზე. უკრავდა სასულე ორკესტრი.

ექსკურსია ძლიერ ნაყოფიერი გამოდგა. მუშებმა გაიგეს თანამედროვე მეცნიერება და ტეხნიკის მიღწევები ევროპაში და საბჭოთა კავშირში.

საჭიროა უფრო ხშირად მოეწყოს სად. თბილისის მოძრაობის დარგის მუშებისათვის ასეთი ექსკურსიები.

მუშკორი რადიუმი.

მუშათა ქრონიკა

ამხ. ორჯონიკიძის სახ. საარტ. ქარხანაში

— **მოხსენება მუშებისათვის:** საარტ. ქარხკომმა მოიწვია ც. მ. კლუბის გამგეობისგან მომხსენებელი, რომელიც მუშების საერთო კრებაზე წაიკითხავს მოხსენებას კლუბის საზაფხულო მუშაობის შესახებ.

— **კულტმუშაობისათვის ფულის გადიდება.** იმავე ქარხნის კომიტეტმა სთხოვა ცენტრ. კავშირს დაჩქარებით გადასდოს თანხა კულტ-მუშაობის გასაძლიერებლად.

— **სხდომის მოწვევა.** ამ მოკლე ხანში, შესდგება საარტ. ქარხკომში საწარმოო კომისიების სხდომა, სადაც დაესწრებიან ყველა საამქროების ხელოსნები, დღის წესრიგში სდგას წარმოების ამაღლების საკითხი.

პირველ ტყავტრესტის ქარხანაში.

— **მოწაფეების აღრიცხვა.** ხელობაზე გადაყვანის მიზნით, ტყავტრესტის ქარხკომმა დაავალა კულტკომისიებს მოახდინონ მოწაფეების აღრიცხვა.

— **ქარხნის პროფსკოლაში.** ვინაიდან პროფსკოლაში მეცადინეობა მოიკოჭლებს, ტყავტრესტის ქარხკომმა დაავალა კულტკომისიებს თვალყური ადევნონ მეცადინეობას და შეიძინონ საჭირო წიგნები.

— **ჟურნალ-გაზეთების გამოწერა.** ტყავტრესტის ქარხნის მუშებისათვის ქარხკომის ხარჯზე 6 თვით გამოიწერება ჟურნალ-გაზეთები.

წითელ ჯარში

ვემზადოთ მორიგ გაწვევისათვის.

მორიგი გაწვევა მუშურ-გლეხურ წითელ ჯარში ჩატარებულ იქნება საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე 15 ენკენისთვიდან 1-ლ ნოემბრამდე.

გაწვეულ იქნებიან ნამდვილ სამსახურში მოქალაქენი, დაბადებულნი 1904 წელში.

1926 წლის გაწვევა არის მესამე გაწვევა, რომელიც ტარდება მშვიდობიან დროის პირობებში და იგი ყოველმხრივ დამაკმაყოფილებლად უნდა იქნას ჩატარებული. ჯარის ხელმძღვანელ ორგანოებში დიდი ხანია მიმდინარეობს მზადება მორიგ გაწვევისათვის. რიცხვობრივი შემადგენლობა გასაწვევ ახალგაზრდობისა დანამდვილებით გამორკვეულია. გამოცემულია „კანონი სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ", სადაც ნათლად არის აღნიშნული გაწვევის ჩატარების წესრიგი და გასაწვევ ახალგაზრდების ვალდებულებები.

რათა გაწვევა ჩატარდეს ნორმალურად და მასზე გამოცხადდენ ყველა ვალდებულნი, საჭიროა ფართე წინასწარი კამპანიის წარმოება სოფლად, სადაც ჯერ-ჯერობით მოსახლეობა არ არის სავსებით გარკვეული წითელ არმიის მიზნებში და ამოცანებში. როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ორგანოებმა უნდა აუხსნან მოსახლეობას გაწვევის მიზნები, შეღავათებით სარგებლობის წესი და სხვა.

დღესაც მრავლად შემოდის განცხადებები წითელ არმიელებისაგან, სადაც ისინი სჩივიან უკანონო გაწვევაზე. მომავალ გაწვევის დროს ამას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. ეხლავე საჭიროა მოსახლეობის გაცნობა შეღავათებთან ჯარში გაწვევის დროს. ამისთვის გამოცემულია და დაგზავნილი ადგილებზე დებულება შეღავათების შესახებ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა გააცნოს მოსახლეობას ეს დებულება. წინასწარ შეკრებილ უნდა იქნეს ცნობები იმ ახალგაზრდების შესახებ, რომლებსაც ეხებათ გაწვევა და შეუძლიანთ ისარგებლონ შეღავათით ან ქონებრივი, ან ოჯახური მდგომარეობით.

წინასწარი მზადება გაწვევისათვის უნდა გამოვიყენოთ ახალწვეულებში იმ შეგნების ჩასანერგათ, რომ ისინი მოდიან საპატიო ვალის მოსახდელათ, რომ მუშურ-გლეხური სახელმწიფო მათ ანდობს იარაღს მშვიდობიან მშრომელთა დასაცავად. ამისათვის ფართედ გამოყენებული უნდა იქნეს ყოველგვარი სააგიტაციო მასალა და საშუალებები: ძველი და ახალი ყაზარმის ცხოვრების პირობების შედარება, ძველ ჯარში ნამსახურ ჯარის-კაცის მოგონებები, დღევანდელ ყაზარმის ცხოვრების აღწერა—ყველა ამას უნდა მიექცეს ყურადღება და გამოყენებულ იქნეს სარგებლიანად.

წინა წლების გაწვევის დროს იყო შემთხვევები, როდესაც ახალწვეულები ცხადდებოდენ შესაკრებ პუნქტზე უწესრიგოთ, ახდენდენ დებოშს და სხვა. ეს აიხსნება იმით, რომ ადგილობრივი ხელისუფლება გაწვევას გულგრილად ეკიდებოდა. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ახალწვეულნი მოვიდენ ყაზარმაში მომავალ ვალდებულების სრული შეგნებით, როგორც შეეფერის ნამდვილ მებრძოლს.

თუ წინასწარი სამზადისი ყველგან ჩატარდება დროზე და რიგიანად, არ ექნება ადგილი არც დეზერტირობას, დამალვას და სიმულიანტობას.

მორიგ გაწვევამდე ჩვენ დაგვრჩა სამი თვე. ეს დრო მაინც არ არის ძალიან დიდი. ამიტომ საჭიროა, წინასწარი სააგიტაციო კამპანია უკვე დაიწყოს სოფლად.

საჭიროა ამუშავდენ პარტიული, პროფესიონალური და საბჭოთა ორგანოები. მათ დაუხმარებლად გაწვევა ვერ ჩატარდება სასურველად.

ე. ხუციშვილი.

პროფკავშირებში

საკავშირო პროფსაბჭოს სხდომა

ამხ. სემკოვის მოხსენება ა. კ. პროფკავშირთა მუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ

მოსკოვი, 7 ივნისი. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა ა. კ. პროფსაბჭოს ყოფილი თავმჯდომარის ამხ. სემკოვის მოხსენება ა. კ. პროფკავშირთა მუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ.

კომისიამ მოახდინა ა. კ. ფედერაციის რესპუბლიკების: სომხეთის, საქართველოს და აზერბეიჯანის პროფკავშირთა მუშაობის გამოკვლევა.

კამათში მოხსენების გარშემო მონაწილეობა მიიღეს: აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ **ივანოვმა**, აზერბ. პროფკავშირთა საბჭოს მდივანმა **იზმაილოვმა**, საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრმა **მელნიჩანსკიმ** და სამთამადნო მუშების ცენტრალურ კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა **ეგოროვმა**.

რეზოლიუცია

საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა თავის რეზოლიუციაში აღნიშნა:

„მიუხედავათ ამისა, რომ ამიერ - კავკასიაში, სადაც პროლეტარიატის შემადგენლობა ეროვნების მხრივ მრავალფეროვანია, ხოლო კვალიფიციური მუშების რიცხვი მეტად მცირეა, პროფკავშირების მუშაობა განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს, ამიერ - კავკასიის პროფკავშირებს მაინც აქვთ მთელი რიგი მიღწევებისა მუშაობის ყველა დარგში: სამუშაოზე ახლად ჩამოსულ მუშა-მოსამსახურეთა კადრების დარაზმვა კავშირებში, პროფაქტივის ზრდა, პროფკავშირთა ორგანიზაციების ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესება, საკლუბო მუშაობის გაფართოება, მუშა-მოსამსახურეების სამუშაო ხელფასის გადიდება, პროფკავშირთა ორგანიზაციების აპარატის საქმის წარმოების ადგილობრივ ენებზე გადასვლა, წარმოებაში ახალი კადრების ჩაბმა და ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს მუშაობის გაძლიერება პროფკავშირთა ხელმძღვანელობის გაწევის სფეროში ა. კ. მასშტაბით.

საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პრეზიდიუმი პროფკავშირების მუშაობას ამიერ-კავკასიაში დამაკმაყოფილებლად სთვლის. ამასთანავე ამიერ - კავკასიის პროფსაბჭოს წინადადება ეძლევა კავშირის მუშაობაში არსებულ ნაკლულოვანებათა გამოსასწორებლათ გაატაროს შემდეგი ღონისძიებები:

საორგანიზაციო მუშაობის დარგში მიღებულ იქნეს ზომები იმ მუშა - მოსამსახურეების დასარაზმავათ პროფკავშირებში, რომელნიც მის გარეშე არიან. განგრძობილ იქნეს მუშაობა დამოუკიდებელ ფაბრიკა-ქარხნების ადგილკომების შესაქმნელად გაერთიანებულ ადგილკომების მაგიერ, კერძოთ, მოკლე ვადაში შესწავლილ იქნეს გაერთიანებულ საქარხნო კომიტეტების და გაერთიანებულ სამრეწველო კომიტეტების რეორგანიზაციის საკითხი სამთამადნო მუშების კავშირში. მიღებულ იქნეს ზომები ფაბრიკა-ქარხნების ადგილკომების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის სხდომების რეგულიარულად მოწყობისა და მათ მუშაობაში ადმინისტრატიულ სამეურნეო გადახრის ლიკვიდაციის საშუალებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროფკავშირის წევრთა აღმზრდელობას სათანადო წრეების და კურსების შექმნის მიზნით. მიღებულ ინდა იქნეს ზომები პროფკავშირთა ორგანოების მუშაობის გასაუმჯობესებლათ, მათი სხდომების რეგულიარულათ მოწვევისა და მათ მუშაობაში რაც შეიძლება მეტი წევრების ჩაბმის გზით.

რადგან ზოგიერთი კავშირები სრულებით უყურადღებოთ სტოვებენ კერძო საკონცესიო წარმოებებს, მიღებულ იქნეს ზომები კავშირების მუშაობის ხასიათის შესაცვლელად ამ დარგში.

ქალთა შორის მუშაობის დარგში მიღებულ უნდა იქნეს ზომები წარმოებებში ქალების რიცხვის შემცირების წინააღმდეგ და პროფკავშირების დაბალ საფეხურის და ხელმძღვანელ ორგანოების მუშაობაში ქალების მეტი რიცხვის ჩასაბმელად.

პროფკავშირებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა საწევრო გადასახადების ასაკრეფად, უნდა აღმოფხვრან დავალიანება საწევრო გადასახადზე. საქართველოს და აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოებმა თავიანთი ხარჯები უნდა განსაზღვრონ კავშირების ათპროცენტიან ანარიცხების ფარგლებში.

კულტმუშაობის დარგში მიღებულ უნდა იქნეს ზომები იმისათვის, რომ ფინანსიური შესაძლებლობის ფარგლებში გაძლიერებულ იქნეს საკლუბო მუშაობა და გაფართოებული იქნეს არსებული კლუბების შენობები.

საკავშირო ორგანოებმა უნდა შეინარჩუნონ კლუბების მუშაობის ხელმძღვანელობა, ამასთანავე დიდი დამოუკიდებლობა უნდა მისცენ კლუბების გამგეობას საკლუბო მუშაობის ჩატარებაში. ქალაქ ბაქოს ზოგიერთ რაიონში გაძლიერებულ უნდა იქნეს კლუბებში ნაციონალურ ჯგუფების ჩაბმა; გახშირებულ იქნეს წარმოდგენების მასიური დადგმა თურქულ და სომხურ ენებზე (აზერბეიჯანში) და ქართულ და სომხურ ენებზე (საქართველოში). გაძლიერებულ იქნეს ადგილობრივ ძირითად ეროვნებათაგან კულტმუშაობის წამოყენება და მომზადება, რათა ადგილობრივ ძირითად ეროვნებათა მშობლიურ ენაზე სავსებით გატარებულ იქნეს მასიური, წრეების და აგრეთვე საბიბლიოთეკო მუშაობა.

მიღებულ იქნეს ზომები ფიზკულტურის უფრო განვითარებისა და ფიზკულტურის წრეებში მოზრდილ მუშა ქალების და მუშების ჩაბმისათვის. რადგან მაზრებში კულტურული მუშაობა მოისუსტებს, საკავშირო ორგანოებმა დახმარება უნდა აღმოუჩინონ სამაზრო ორგანიზაციებს კულტურული მუშაობის დარგში როგორც მატერიალურად, ისე ხელმძღვანელობის მხრივ.

სატარიფო-ეკონომიური მუშაობის დარგში საჭიროა არსებული „კომპენსაციის" სისტემა პრემიიური სისტემით შეიცვალოს; პრემიების რაოდენობა და მათი გაცემის წესი უნდა განისაზღვრებოდეს არა ადმინისტრაციის გადაწყვეტილების თანახმად, არამედ ყოველივე ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს კოლექტიურ ხელშეკრულებებში და სპეციალურ შეთანხმებებში, რომელთაც პროფკავშირი სამეურნეო ორგანოებთან სდებს.

კოლექტიურ ხელშეკრულებებში მომუშავეების რაც შეიძლება მეტი ჯგუფი უნდა იქნეს შეყვანილი.

მიღებულ იქნეს ზომები, რომ საკავშირო ორგანოებმა ფხიზელი თვალყური ადევნონ დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებების ცხოვრებაში გატარებას.

ბოლო უნდა მოეღოს ისეთ შემთხვევას, როცა საბჭოთა ორგანოების საშუალებით ზეგავლენას ახდენენ გლეხებზე, რათა მათ ხელშეკრულებები დასდონ კავშირთან მოჯამაგირეების დაქირავების შესახებ.

განვითარებულ იქნეს მუშაობა გადახრების და ნაკლულოვანებების გამოსასწორებლად შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში.

საწარმოო თათბირები მომავალშიც მოეწყოს ნებაყოფლობით საფუძველზე, ჩაბმულ იქნენ მათ მუშაობაში მუშების—საინჟინერო-ტეხნიკურ ძალების ფართო წრეები.

შრომის დაცვის დარგში გაძლიერებულ იქნეს ბრძოლა ზედმეტ საათების გამოყენების წინააღმდეგ, ბოლო მოეღოს ტეხნიკურ მუშაკებისათვის „დატვირთვის" და „კომპენსაციის" მიცემას სამუშაო დღის გაუთვალისწინებელ გადიდების გამო, რაც ეწინააღმდეგება ზედმეტ საათის სამუშაოს აკრძალვას.

ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ სოციალური დაზღვევა ვრცელდებოდეს მომუშავეების ყველა ჯგუფებზე, ბრძოლა გაეწიოს სამეურნეო ორგანოების დავალიანებას დამზღვევ სალაროს მიმართ.

ზომები უნდა იქნეს მიღებული ყველა მუშა-მოსამსახურეების კოოპერაციაში ჩასაბმელად.

გაგრძელდეს ბრძოლა იმისათვის, რომ სამუშაოზე მიღების დროს თანაბარ პირობებში უპირატესობა კავშირის წევრებს ჰქონდეთ; ეს ღონისძიება დიდი სიფრთხილით უნდა იქნეს გატარებული; საჭიროა სათანადო მიდგომა უმუშევრებისა და არა კავშირის წევრების მიმართ, რომელთაც არ უნდა მოესპოთ სამუშაოს მიღების საშუალება.

გაგრძელდეს მუშაობა ურთიერთ-დახმარების სალაროების დეცენტრალიზაციისათვის, ყოველგან განვითარებული უნდა იქნეს მათი თვითმოქმედება, როგორც დამოუკიდებელ ორგანიზაციების, რომელნიც თავის მუშაობას კავშირის საერთო ხელმძღვანელობით აწარმოებენ.

ამიერ-კავკასიის მასშტაბით საკავშირო ორგანიზაციების მუშაობაზე ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად, რესპუბლიკანურმა პროფსაბჭოებმა და საკავშირო პროფსაბჭოს განყოფილებებმა მიწერ-მოწერა უნდა აწარმოონ არა უშუალოდ, არამედ ა.-კ. პროფსაბჭოს საშუალებით.

ეკონომიური ცხოვრება

ტყვარჩელის ქვა-ნახშირი

მიღებული ცნობებით უკვე დაიწყო გეოლოგების მუშაობა ტყვარჩელის ქვა-ნახშირის მადნების გამოსაკვლევად. კვლევა-ძიებას საწარმოებლად საჭირო მუშაობა დამთავრებულ იქნა მაისის დამლევს. აფხაზეთის სახალხო მეურნეობის საბ. შეაკეთა და ალაგ-ალაგ გაიყვანა კიდეც ბილიკები სოფელ ტყვარჩელიდან ქვა-ნახშირის მადნებამდე.

მაისის დამლევს სოხუმში ჩავიდა საბჭოთა კავშირიდან გეოლოგების ერთი ჯგუფი. გეოლოგებმა თან ჩაიტანეს მდიდარი სამთო ლაბორატორია. გეოლოგების კომისია უკვე გაემგზავრა კვლევა-ძიების ადგილზე. მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან სახელმწიფო უნივერსიტეტის სამთო განყოფილების და თბილისის პოლიტეხნიკუმის სტუდენტები.

პირველ რიგში მუშაობა იწარმოებს მახმეხელაკვარის სამთო უბანში. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ ტყვარჩელის ქვა-ნახშირის გამოსაკვლევად 1926 წლისთვის გადადებულია 50 ათასი მანეთი. გამომუშავებულ გეგმის მიხედვით მიმდინარე წელს მახმე-ხელაკვარას სამთო უბანში ამოღებულ უნდა იქნეს 16 ათასი ფუთი ქვანახშირი. მოპოვებული ქვა-ნახშირი მთლიანად გაიგზავნება დონეცის ბასეინის ქარხნებში, სადაც ტყვარჩელის ქვა-ნახშირისგან მოპოვებული იქნება კოქსი. ამავე დროს გამოკვლეულიც იქნება კოქსის რა რაოდენობას შეიცავს ტყვარჩელის ქვა-ნახშირი. მიღებული კოქსი გაეგზავნება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რომელმაც ტყვარჩელის ქვა-ნახშირისგან კოქსის დასამზადებლად გადასდო 20 ათასი მანეთი.

მოსკოვიდან ინჟინერ-გეოლოგთა სპეციალური კომისია ჩავიდა აგრეთვე აჭარისტანში, სადაც მიმდინარე ზაფხულზე დაიწყება ქვა-ნახშირის და ნავთის მადნიანი ადგილების კვლევა-ძიება. კომისია უკვე გაემგზავრა საკვლევ ადგილებში და შეუდგება მუშაობას.

ფართლეულობა

გაზაფხულის სეზონის დადგომის გამო, თბილისის საფეიქრო ბაზარი მაისში საგრძნობლად ვაცხოველდა. დიდი მოთხოვნილება იყო ყოველგვარ ქსოვილებზე. კარგათ ვაჭრობდენ როგორც სახელმწიფო და კოოპერატიული მაღაზიები, ისე კერძო ვაჭრები.

ამას გარდა, აპრილში პროვინციამ დაიწყო ახალი მოსავლის პროდუქტების—ბოსტნეულის, მწვანილის და რძის პროდუქტების რეალიზაცია, რამაც გაადიდა სოფლის მოთხოვნილება საფეიქრო საქონელზე.

განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება იყო ბამბეულ მანუფაქტურაზე; მოთხოვნილება რამოდენიმეთ აღემატებოდა მიწოდებას, რის გამო ფასები კერძო ბაზარზე შესამჩნევად გაიზარდა. ეს ფასები არაა მტკიცე და შეიძლება კიდევ გაიზარდოს.

არსებულ გაცხოველებულ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს ვერც გეგმაშეწონილი შემოზიდვა და ვერც კერძო აპარატი; ეს უკანასკნელი თვითონ განიცდის საქონლის კრიზისს.

მაისის განმავლობაში საფეიქრო სინდიკატის [illegible] მოსკოვიდან მიიღო 1711 ფუთი ბამბეული მანუფაქტურა, რომელიც განაწილებული იქნა სახელმწიფო-სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის. მაისში ფართლეულობა კერძო ვაჭრებს სრულებით არ ეძლეოდათ.

საფეიქრო სინდიკატის გარდა ფართლეულობა თბილისის ბაზარზე შემოაქვთ სხვა ორგანიზაციებსაც, მაგრამ მათი როლი საფეიქრო ნაწარმოებების შემოტანაში იმდენად მცირეა, რომ ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს საფეიქრო ბაზრის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

მატყლის და სელის საქონელიც განსაზღვრული რაოდენობით შემოდის თბილისის ბაზარზე, რის გამო თბილისის განყოფილების მაღაზიები არ არის საკმაოდ დატვირთული.

განსაკუთრებით საგრძნობია სელის ქსოვილების ნაკლებობა, რომლებზედაც ეხლა, სეზონის გამო, დიდი მოთხოვნილებაა.

მატყლის ქსოვილებიდან ცოტაა ბაზარზე კამვოლის საქონელი, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა. ცოტა აქვთ საქონელი სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანოებსაც, რომლებიც მცირე პარტიობით იღებენ საქონელს, რაც ჩქარა საღდება.

ბრინჯაოს იარაღები

სიღნაღის მაზრაში აღმოაჩინეს ბრინჯაოს ხანის იარაღები. — იარაღებს თბილისში გადმოიტანებენ.

სიღნაღის მაზრის სოფ. ბაკურციხეში მოქ. ვანო ჯადუგიშვილმა აღმოაჩინა ბრინჯაოს ხანის სხვადასხვა ნივთები.

აღმოჩენილი ნივთები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ბრინჯაოს ხანის შესასწავლათ გადაგზავნილ იქნა სამაზრაღმასკომში. სამაზრო აღმასკომმა კი დაადგინა ეს ნივთები გადასცეს საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას ეთნოგრაფიული მუზეუმისათვის.

ამჟამად არქეოლოგიური კვლევა-ძიებას სწარმოებს აგრეთვე სამხრეთ-ოსეთშიაც. არქეოლოგიური გათხრების სახელმძღვანელოთ იქ გაგზავნილია არქეოლოგი-ქალი პჩელიხი.

საანგარიშო საბჭო

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან არსებულ საანგარიშო საბჭოს წევრებად მიმდინარე წლის ივნისიდან ნოემბრამდე დაამტკიცა შემდეგი პირები:

1. **ავაქიანი** (ა.-კ. რკინს გზების მუშათა და გლეხთა ინსპექცია), 2. **აპრესიანი** (ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოება—„ზაკტპი"), 3. **არცებო-ტომაზინი** (სახელმწიფო ბანკი), 4. **ბაქრაძე** (მუშკოოპი), 5. **ბოგუშიკი** (ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი), 6. **ვოიცეხოვსკი** ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო), 7. **გალპერინი** (ზინოვიევის სახელობის საანგარიშო ინსტიტუტი), 8. **გიგინეიშვილი** (საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი), 9. **გოკიელოვი** (სახელმწიფო ბანკი), 10, **ჯანელიძე** (ს. მ. უ. საბჭო), 11. **ქიტკოვი** (საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილება), 12. **ლეიტონი** (ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი), 13. **ლიუტი** (საქართველოს ს. მ. უ. ს. საპნის ტრესტი), 14. **ლუსნიკიანი** (ამიერ-კავკასიის ცაკი, ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭო), 15. **მალეევი** („ხლებოპროდუქტი"), 16. **ნერსესოვი** (საქ. კომპარტიის ცეკა), 17. **ობოდოვსკი** (სახელმწიფო ელექტრო-ტრესტი), 18. **პოლიაკოვი** (ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი), 19. **სვანიძე** (საქართველოს ფინსახკომი), 20. **სიმონიანი** (ა.-კ. ფინსახკომი), 21. **სტეპანიანი** (შავი-ქვის სამმართველო), 22. **ტარბეევი** (მერძევეთა კოოპერატივი), 23. **ტიმოშენკო** (ა.-კ. რკინის გზების სამმართველო), 24. **ტროშკოვსკი** (ა.-კ. საბამბო კომიტეტი), 25. **ეჯოშვილი** (საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი) და 26. **კანტოროვიჩი** (სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო).

მეტრიული სისტემა

ამიერ-კავკასიაში მეტრიული სისტემის გამტარებელმა კომიტეტმა შეიმუშავა მეტრიული სისტემის გატარების გეგმა, რომლის მიხედვით მეტრიული სისტემის გატარება დაიწყება მიმდინარე წლიდან და დამთავრდება 1928 წლის 1 იანვარს.

მოსამზადებელი მუშაობა მეტრიული სისტემის გასატარებლად ამიერ-კავკასიაში დაიწყო 1923 წლიდან, საბჭოთა კავშირში კი ასეთი მუშაობა სწარმოებს 1918 წლიდან.

საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოსთან არსებული მეტრიული სისტემის გამტარებელ კომიტეტის მიერ შემუშავებულ გეგმის მიხედვით, მეტრიული სისტემის გატარება საბჭოთა კავშირში უნდა დამთავრდეს 1927 წლის პირველი იანვრისათვის.

ამიერ-კავკასიაში აღნიშნული დროისათვის მეტრიული სისტემა ვერ იქნება მთლიანად გატარებული, რადგან ამ სისტემის გატარება ფაქტიურად ჯერ არც კი დაწყებულა.

ამიერ-კავკასიის კომიტეტის მიერ შემუშავებული გეგმა ეთანხმება საბჭოთა კავშირისათვის გამომუშავებულ გეგმას, განსხვავება მხოლოდ ვადაშია.

რეფორმის წარმატებით ჩატარების მიზნით, რესპუბლიკებში არსდება საუწყებათაშორისო კომისია, რომლის მოვალეობას შეადგენს რეფორმის გატარების გეგმის გამომუშავება რესპუბლიკის მასშტაბით.

ამას გარდა, საკავშირო სახალხო კომისარიატებთან (ა/კ. ფინსახკომი, ა/კ. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატი, საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო და სხვა) არსდება საუწყებო კომისია, რომელმაც უნდა მოამზადოს მეტრიული სისტემის გატარება თავის უწყებაში.

რეფორმის წარმატებით ჩატარების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის ზომა-წონის იარაღების გაცნობას. ამ მიზნით გეგმა ითვალისწინებს სათანადო აგიტაცია-პროპაგანდის გაწევას მოსახლეობაში და შესაფერი ლიტერატურის დამზადებას და გავრცელებას ხალხში.

დიდი ყურადღება ექნება მიქცეული მეტრიულ სისტემის ლიტერატურის გამოცემას ეროვნულ ენებზე.

კურორტო გზები

ქუთაისიდან წყალტუბომდე ახალი გზატკეცილის გახსნა გადაიდო. ყამირი გზა მზად არის. ახალ გზაზე მიმოსვლა გახსნილია ქუთაისიდან პირველი ორი ვერსის მანძილზე. მესამე ვერსიდან მიმოსვლა ძველი გზატკეცილით სწარმოებს.

სწარმოებს ძველი გზის შეკეთება დროებითი მიმოსვლისათვის. შესაკეთებლად 300 მანეთი არის გადადებული. შეკეთება ორი დღის განმავლობაში უნდა დამთავრდეს. ახალი გზატკეცილის უკანასკნელი სამი ვერსის გაყვანა არ დამთავრდება 1 სექტემბრამდე, ე. ი. მეორე საკურორტო სეზონამდე. ჯერ-ჯერობით მიმოსვლა ძალიან ძნელ პირობებში სწარმოებს.

სასწრაფოდ სწარმოებს კურორტ შოვის გზის შეკეთება. მიმოსვლა ამ გზაზე 9 ივნისიდან დაიწყება.

გზატკეცილების ქუთაისის სამმართველო 15,000 მანეთს ითხოვს ქუთაისიდან აბასთუმნამდე გზის შესაკეთებლად.

კოოპერაცია სვანეთში

სვანეთში კოოპერატიული და საკრედიტო ამხანაგობების ქსელის გავრცელების მიზნით, ამჟამად სვანეთის აღმასკომი აწარმოებს შესაფერ ორგანიზაციულ მუშაობას.

ჯერ-ჯერობით სვანეთში არსებობს მხოლოდ ერთი მომხმარებელი საზოგადოება „უშბა", რომელიც ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებთა მოთხოვნილებას.

ახლო ხანში სვანეთის ცენტრში, მესტიაში, მოწვეულია ერთიან მომხმარებელთა საზოგადოების და საკრ. ამხანაგობების ყრილობა, რომელზედაც შემუშავებული იქნება წესი საკრედ. ამხანაგობების და კოოპერატიული სავაჭროების გასახსნელად.

„ხლებოპროდუქტ"-ში

(ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა „ხლებოპროდუქტის" 1924—25 წლის ანგარიშწარმოების გამოკვლევა; გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ანგარიშებს არ ადგენდენ თავის დროზე და სათანადოთ, წიგნები არ არის დამთავრებული და სხვა.

გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ 1924—25 წლის ანგარიშები არ არის დამაკმაყოფილებელი.

მიმდინარე საოპერაციო წელში აღნიშნულია: ანგარიშების დაგვიანება საშუალოთ 2 თვით, ანგარიშების სრულიად არ შედგენა, ბუხჰალტერიის დატვირთვა ისეთი სამუშაოებით, რომლებსაც მასთან კავშირი არ აქვს და განსაზღვრული გეგმის და სისტემის უქონლობა საანგარიშო განყოფილების მუშაობაში.

დასასრულ მიმდინარე წლის ანგარიშწარმოების საერთო მდგომარეობაც აგრეთვე არადამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

აღნიშნული დეფექტები შედეგია იმის, რომ საანგარიშო განყოფილებაში თავიდანვე ცუდათ იყო დაყენებული საქმე.

ინსპექციის კოლეგიამ გამოკვლევის მასალების გაცნობის შემდეგ დაამტკიცა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი და წინადადებები, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს შენიშნული დეფექტების აღმოფხვრას.

მერძეობის ქარხანა

კახეთის მესაქონლეთა ინიციატივით და მიწათ-მოქმედების კომისარიატის მესაქონლეობის ბიუროს დახმარებით გადაწყვეტილია სოფ. ქვემო ქედში (სიღნაღის მაზრა), მოეწყოს რძის ნაწარმოებთა დასამზადებელი ქარხანა.

მესაქონლეობის ბიუროს წარმომადგენლებმა უკვე მოახდინეს ქარხნის ასაგებ ადგილის დათვალიერება და ახლო ხანში შეუდგებიან მუშაობას ქარხნის ასაგებათ.

ქარხნის აგება დიდათ შეუწყობს ხელს კახეთში მესაქონლეობის განვითარებას და რძის ნაწარმოებთა გასაღებას ბაზარზე.

ვარაუდით ქარხანა მზად უნდა იქნეს შემოდგომისათვის.

საქონლის ჭირი

საქონლის ჭირი. რგვ. 16ით ,,,,ოლფ- სვ უვ ახალციხის მაზრაში ძლიერ გავრცელდა საქონლის ჭირი.—დაიხოცა დიდძალი საქონელი.—საქონლის ჭირთან საბრძოლველად იგზავნებიან ბეითლები.—გლეხების დელეგაცია.

გუშინ მიწათმოქმედების კომისარიატის საბეითლო განყოფილებაში გამოცხადდენ ახალციხის მაზრიდან გამოგზავნილი გლეხები და იშუამდგომლეს მაზრაში ბეითლებისა და საქონლის ასაცრელი შრატის გასაგზავნათ.

ჭირი მოდებულია სოფელ ასპინძაში, ლაშე-ხევში, ოთაში, ქვემო-ოშორაში, ზემო-ოშორაში, დაბალაში და იდუმალში. ჭირი აღნიშნულ სოფლებში გაჩენილა უკვე რამოდენიმე კვირაა, ხოლო საქონლის სიკვდილმა განსაკუთრებით მოიმატა უკანასკნელი გამოდარებისა და სიცხეების დადგომის შემდეგ.

ოთაში და ლაშე-ხევში ყოველდღიურათ იღუპება 15—20 სული საქონელი. თუ დაჩქარებით იქ არ დაიგზავნენ ბეითლები, მოსალოდნელია, რომ ეს მესაქონლეობის კუთხე სრულებით განადგურდეს.

აცრა სწარმოებდა ოთაში და ოშორაში, ბევრი საქონელი გადარჩა.

საბეითლო განყოფილება იქ გზავნის შრატს და ბეითლებს.

ბოტანიკური მუშაობა

მიმდინარე საზაფხულო პერიოდისათვის საქართველოში იწყება ბოტანიკური მუშაობა ფართე მასშტაბით.

ბოტანიკურ კვლევა-ძიებას ყველა კუთხეებში ხელმძღვანელობას გაუწევს თბილისის ბოტანიკური ბაღი; გაზაფხულის დამდეგიდან უკვე ინტენსიურ მუშაობას აწარმოებენ საცდელი სადგურები და ბოტანიკური ბაღის განყოფილებები პროვინციაში.

ამჟამად ბოტან. ბაღის ფიზიოლოგიური ლაბორატორია ამუშავებს მცენარეული წყლის რეჟიმის საკითხებს, ე. ი. იკვლევს საჭირო წყლის რაოდენობის ამა თუ იმ მცენარის აღმოცენებისა და გახარებისათვის. ამ კვლევა-ძიების შედეგებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ იძლევა მცენარეთა შერჩევის შესაძლებლობას ძნელად მისარწყავ მშრალ ადგილებისათვის.

ინტენსიურად მუშაობს აგრეთვე სელექციური კაბინეტი, სადაც სწარმოებს მუშაობა ბამბის, სიმინდის, პურის და ლობიოს ახალ ჯიშების მისაღებად.

თესლების საცდელი სადგური აწარმოებს გლეხის სათესლე მასალის გამოკვლევას, სწავლობს სარეველა მცენარეების ბიოლოგიას და მათ რაოდენობას გლეხის ყანებში.

კახეთის და საქარის საცდელ სადგურებთან ერთად ბოტან. ბაღის კაბინეტი იკვლევს ვენახის მავნებლობის ბიოლოგიას, კახეთის და საქარის სადგურებზე ამ ზაფხულზე იწარმოებს ვაზების ფიზიოლოგიის შესწავლა.

მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში საქართ. მინდვრების შესწავლის მიზნით განზრახულია გარეჯის, შირაქის და ჯავახეთის რაიონების გამოკვლევა.

დღემდე გამოკვლეულია თრიალეთის, სართაჭალის და ბორჩალოს რაიონები.

ბოტანიკურ ბაღის ბაკურიანის განყოფილებაში მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა საკვები ბალახების სელექციისთვის.

ბოტანიკური ბაღის ჰერბარიუმს კავშირი აქვს საბჭოთა კავშირის და ევროპის ბოტანიკურ დაწესებულებებთან, რომელთანაც ბაღი აწარმოებს კოლექციების გაცვლას. აღსანიშნავია, რომ თბილისის ბოტანიკური ბაღის კავკასიურ მცენარეთა კოლექცია ამჟამად ყველაზე უფრო მდიდარ კოლლექციას წარმოადგენს დედამიწაზე. მიმდინარე ზაფხულზე კავკასიის მცენარეთა კოლექციის შესავსებად ექსპედიცია იგზავნება ყაზბეგის და დუშეთის მაღლობ რაიონებში ცოცხალ კოლექციის მცენარეთა შესავსებად. განზრახულია ექსპედიცია გაიგზავნოს ბორჩალოსა და ათენში.

მუშა-მოსამსახურეთა ბიუჯეტის გამოკვლევა

საბჭოთა რესპუბლიკებში უაღრესი ყურადღება აქვს მიქცეული მუშა-მოსამსახურეთა ბიუჯეტის გამოკვლევას, ვინაიდან ამ დარგის შესწავლა საჭირო მასალას იძლევა შრომის პოლიტიკის წარმოებისათვის და ამასთან ხელს უწყობს რესპუბლიკის მეურნეობის ნაწარმოების განაწილების და მოხმარების პროცესის შესწავლას.

სსრკს შრომის სტატისტიკის ორგანოები 1924 წლამდე კმაყოფილდებოდენ მუშა-მოსამსახურეთა თვიური ბიუჯეტის შესწავლით, მაგრამ, ზემოხსენებულ უწყებების აზრით, თვიურ ბიუჯეტს არ შეუძლია სავსებით გამოხატოს ბიუჯეტის ყველა ძირითადელემენტი, რადგან მის გასავალის ნაწილში არსებობს მთელი რიგი გარემოებათა, რომლებსაც პერიოდული განმეორებითი ხასიათი არა აქვს და ამიტომ არ არიან დაკავშირებული გამოკვლევის ამა თუ იმ თვესთან.

ამჟამად ს. ს. რ. კავშირის ბევრ კუთხეში შემოღებულია მუშა-მოსამსახურეთა წლიური ბიუჯეტის შესწავლა, საქართველოში, თუ არ ჩავთვლით სპეციალურ გამოკვლევებს რკინის გზაზე, ჩატარებულია სულ სამი გამოკვლევა (1923, 1925 და 1926 წ. წ), უკანასკნელი გამოკვლევა ამჟამად იმყოფება დამუშავების სტადიაში.

შრომის სტატისტიკის ბიუროს აზრით საჭიროა მხოლოდ ქ. თბილისის 25 მუშა-მოსამსახურეთა ოჯახის ბიუჯეტის გამოკვლევა. ამ მუშაობის ჩასატარებლად, ბიუროს აზრით, საჭირო იქნება 2.500 მან. წელიწადში (1000 მან. კვალობაზე თითო ბიუჯეტის გამოსაკვლევად). ამავე ანგარიშის მიხედვით ტარდება ამჟამად წლიური ბიუჯეტის გამოკვლევა რკინის გზაზე.

საქართველოს კომისართა საბჭომ განიხილა ხსენებული საკითხი და დაადგინა: საჭიროდ იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მუშა-მოსამსახურეთა 25 ოჯახის წლიური ბიუჯეტის გამოკვლევა. ამისათვის საჭირო თანხა მიღებულ იქნეს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს, შრომის სახალხო კომისარიატისა და ცენტრალური სტატისტიკის სამმართველოს საშუალებებიდან.

ცაკში

მიწა გლეხებს

ცაკმა ნაფარეულის სახალხო მამულიდან გამოჰყო 441 დესეტინა, უმიწაწყლო გლეხების შორის გასანაწილებლად.

ხიდების აგება

როკის გზატკეცილზე ხიდების ასაგებათ საჭირო 2.000 მან. სამხრეთ-ოსეთის ცენტ. აღმასკომის შუამდგომლობის თანახმად, საქ. ცაკმა გაანთავისუფლა სამორო გადასახადისაგან.

10 მილიონი სესხი

საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭომ გადასდო 10 მილიონი მანეთი უღარიბეს გლეხებისათვის სესხის მისაცემად.

სესხი გაიცემა ცალკე რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო ბანკების საშუალებით, რომელთაც გაუნაწილდებათ თანხა.

ამ ათი მილიონიდან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის გადადებულია 520 ათასი მანეთი, რომელიც დაუნაწილდება ამ.-კავკ. სასოფლო-სამეურნეო ბანკებს უღარიბეს გლეხობისათვის სესხის მისაცემად.

შეღავათი

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ლტოლვილებს, ან თავის ნებით გადასახლებულ პირებს ეძლევათ ყოველგვარი სახელმწიფოებრივი შეღავათი გადასახადების გადახდის დროს.

ამასთანავე ფინანსთა სახალხო კომისარიატებს დაევალა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ახალ დასახლებულ და დასასახლებელ გლეხებს, მომავალ წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაწესების დროს შეღავათების მიცემის მიზნით.

დასასახლებელ პირებს ეძლევათ აგრეთვე შეღავათი მოგზაურობის დროს.

კომისართა საბჭოს დადგენილებით, ყველა ეს შეღავათები აგრეთვე ეხება იმ მუშებს და გლეხებს, რომელთაც აქვთ შეძენილი შრომითი სესხის ქაღალდები.

სასოფლო-მეურნეობა 1 ივნისისათვის

ამინდი

მაისის მეორე ნახევარში ამიერ-კავკასიის უმრავლეს ადგილებში წვიმიანი და ცივი ამინდი იყო. განსაკუთრ. დიდ ნალექებს ქონდა ადგილი საქართველოსა და სომხეთში, სადაც ნალექების ჯამი ნორმას გადაცდა. ხანგრძლივი და დიდი წვიმები იყო: გორის, შორაპნის, ახალქალაქის, ახალციხის, დუშეთის, თბილისის, სიღნაღის, თელავის მაზრებში და სამხრეთ-ოსეთში.

ასეთს ამინდს სხვადასხვა რაიონებში სხვადასხვაგვარი შედეგები მოჰყვა ერთი მხრივ, წვიმების სიუხვემ გაუმჯობესა ნათესების მდგომარეობა, მეორე მხრივ,—კოკისპირულ წვიმებმა და ნიღვრებმა ზოგიერთ რაიონებში წარეცხეს ნათესები და ალაგ წალეკეს კარმიდამო და ამოხოცეს წვრილფეხა საქონელი.

პურეული ნათესების მდგომარეობა

ნათესების მდგომარეობა, საერთოდ ამიერ-კავკასიაში, რამდენიმედ გაუმჯობესდა. მთავარ პურეულობის შეფასებამ, ბალლების მიხედვით აიწია 0,1 ნიშნით. შემოდგომის პურის მდგომარეობა დარჩა უცვლელი. შემოდგომის ქერი გაუმჯობესდა 0,1 ნიშნით, გაზაფხულის პურის 0,2 ნიშნით, გაზაფხულის ქერის—0,2—5, ხოლო სიმინდის—0,8-ით:

გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით ნათესების მდგომარეობა უკეთესია 0,6 ნიშნით ანუ 20 პროცენტით, ნათესების საერთო მდგომარეობას მთელს ამიერ-კავკასიაში გამოხატავს ნიშანი 3,4.

ბამბა, თამბაქო

ბამბის ნათესების მდგომარეობა კარგია და კარგს უახლოვდება **აზერბეიჯანში** (4,5—5,0). **სომხეთში** ბამბის ნათესები საშუალოა და საშუალოს უახლოვდება (2,7—3,0). **საქართველოში** საშუალოა და საშუალოს უახლოვდება (2,5—3,3). ცნობები თამბაქოს მდგომარეობის შესახებ ნაკლებად არის მოსული. **საქართველოში** თამბაქოს პლანტაციების საშუალო მდგომარეობაა აფხაზეთში (3,3) ხოლო კარგი მდგომარეობა სიღნაღის მაზრაში. **აზერბეიჯანში** თამბაქოს პლანტაციების მდგომარეობა საშუალოა ყაზახის მაზრაში (3,0) საშუალოზე მაღალი (3,5—4,0) აგდაშის და საქართველოს მაზრებში. **სომხეთიდან** ცნობები არ არის.

ხილის ბაღები

საქართველოში ხილის ბაღების მდგომარეობა საშუალოზე მაღალია და საშუალოზე მაღალ მდგომარეობას უახლოვდება (3,5—4,0) ახალციხის, გორის, დუშეთის, სიღნაღის, თბილისის ქუთაისის მაზრებსა და სამხრეთ-ოსეთში საშუალოა და საშუალოს უახლოვდება (2,5—3,2) ახალქალაქის, სენაკის მაზრებსა და აფხაზეთში საშუალოზე დაბალია (2,0) ზუგდიდის მაზრაში.

აზერბეიჯანში საერთო ბაღების მდგომარეობა საშუალოზე მაღლაა, ალაგ საშუალოა. ბაღების მდგომარეობა ცუდია ნახიჩევანის რესპუბლიკაში (1,0). **სომხეთში**—საშუალოა და საშუალოს უახლოვდება დარალაგეზის, შეგრის, ერევნის და ეჩმიაძინის მაზრებში; საშუალოზე მაღალია და მას უახლოვდება (3,5—3,6) დელიჟანის ზანგეზურის და ლორიბამბაკის მაზრებში.

ვენახები

საქართველოში—ვენახები კარგს მდგომარეობას უახლოვდება (4,5) დუშეთის მაზრაში, საშუალოზე მაღალია და მას უახლოვდება (3,5—4,0) ბორჩალოს, გორის, სიღნაღის, თბილისის სენაკის, შორაპნის მაზრებსა და აფხაზეთში, საშუალოა და საშუალოს უახლოვდება (3,0—,4) ზუგდიდის, ოზურგეთის, რაჭის და ქუთაისის მაზრებში.

სომხეთში ვენახების მდგომარეობა საშუალოა და საშუალოს უახლოვდება (2,8—3,4). **აზერბეიჯანში** ვენახების მდგომარეობა 15 პროცენტზე მაღალია და მას უახლოვდება (3.5—4.0) ნუხის სალიანის მაზრებსა და ნახიჩევან-რესპუბლიკის გარდა, სადაც ვენახების მდგომარეობა საშუალოა.

ციტრუსები საშუალოზე მაღლაა (4,0) აჭარისტანსა და აფხაზეთში. დანარჩენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მდგომარეობა ან საშუალოა, ან საშუალოზე მაღალი.

სასოფლო-მეურნეობის მავნებლები

სასოფლო-მეურნეობის მავნებლები გავრცელებულია შემახის, სიღნაღის მაზრებში და მთის ყარაბახში (კალია). საქონლის ჭირის გავრცელების შესახებ ცნობები მიღებულია საქართველოს შემდეგი მაზრებიდან: ახალციხის, დუშეთის, თბილისის, ოზურგეთის და ქუთაისის მაზრებიდან.

კომუნალურ მუშაკთა თათბირი

მეექვსე სხდომა

კვირას, საღამოს სხდომაზე, თათბირმა მოისმინა შ. ს. ქ. კომუნალური განყოფილების გამგის ამხ. ბაბაევის მოხსენება აღმშენებლობის ამოცანებისა და საორგანიზაციო საკითხების შესახებ.

თანამომხსენებლათ ამავე საკითხზე გამოვიდა კომუნ. განყოფილების მთავარი ინჟენერი **ბერიშვილი**.

მეშვიდე სხდომა

მეშვიდე სხდომაზე იხსნება კამათი ყველა მოსმენილ საკითხების შესახებ.

ამხ. მათიკაშვილი აღნიშნავს, საორგანიზაციო საკითხების დაჩქარებით მოგვარების აუცილებლობას.

ამხ. აფციაური ჩერდება კომუნალურ მეურნეობათა აპარატების მტკიცეთ დაწესების აუცილებლობაზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე **ამხ. ქუთათელაძემ, დარახველაძემ, ლობჟანიძემ, ექსუზიანმა** და სხვებმა.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა **პროფ. თულაშვილი**, რომელიც შეეხო უმთავრესად სამაზრო ქალაქებში წარმოებულ აღმშენებლობას, ქუჩების დაგეგმვას და გაარჩია სამაზრო ქალაქების აღმშენებლობისათვის გამომუშავებული ტიპიური გეგმარები.

მერვე სხდომა

მერვე სხდომაზე მოსმენილ იქნა გზატკეცილების სამმართველოს წარმომადგენლის ინჟ. **კორინთელის** მოხსენება საგზაო მშენებლობის შესახებ.

მომხსენებელმა აღწერა არსებული გზების მდგომარეობა და შეეხო მომავალ 5 წლიან საპერსპექტივო გეგმას საგზაო აღმშენებლობის დარგში. მომხსენებელი ამბობს, რომ საჭიროა გამოყენებულ იქნას მოსახლეობის დაინტერესება საგზაო აღმშენებლობის საქმეში.

მოხსენების შემდეგ შეტანილ იქნა შეკითხვები ადგილებზე წარმოებულ სამუშაოების მდგომარეობის შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა გასცა შესაფერი პასუხი.

მოხსენების დასრულების შემდეგ გაგრძელებულ იქნა კამათი.

ინჟ. ბერიშვილმა აღნიშნა სოფლების კეთილმოწყობის საჭიროება, გაარჩია სოფლათ აღმშენებლობის საწარმოებლათ სხვადასხვა ტიპიური გეგმარები და დაწვრილებით გასცა პასუხი ყველა შემოტანილ კითხვებზე.

ამხ. აფციაური დასკვნებს უკეთებს თათბირის მუშაობას და ამბობს, რომ ადგილებმა ხელი უნდა აიღონ ახალ დიდ წამოწყებებზე და დაამთავრონ მხოლოთ ის რაც დაწყებულია. ზოგიერთ სამაზრო აღმასკომებს კი ამ მხრივ ბევრი დეფექტები აქვთ.

დასასრულ ორატორი ეხება ბიუჯეტის შედგენის საკითხს, ქალაქების კეთილმოწყობას და გამოსთქვამს სურვილს რომ ადგილებზე დაბრუნებისას გამოყენებულ იქნას მთელი ის გამოცდილება, რომელიც მიიღეს დელეგატებმა თათბირზე.

ტრამვაის მოძრაობის მოწესრიგებისათვის*)

ჩვენი ტრამვაის მეურნეობა იზრდება და ამასთან დაკავშირებით ფართოვდება ტრამვაის მოძრაობა, მაგრამ ტრამვაის მეურნეობის წარმატებასთან ერთად იზრდება უწესრიგობაც, რომელსაც დიდი ვნება მოაქვთ ტრამვაის მოძრაობის და მეურნეობისათვის. ხშირად რონოდების მიმოსვლას დიდ ხანს აგვიანდება რაც ზარალს აყენებს, არა მარტო ტრამვაის, არამედ მოქალაქეებსაც, რომელნიც ტრამვაის დაგვიანებული და ნელი მოძრაობის გამო ფუჭად ჰკარგავენ დროს.

მიზეზი ამ მოვლენის არის ის, რომ ტრამვაის მგზავრებისათვის გამოცემული სავალდებულო დადგენილებანი სავსებით ვერ აწესრიგებენ ტრამვაის მიმოსვლასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც იწვევს რონოდის ხანგრძლივ შეჩერებას არის ის, რომ ნორმაზე ზევით ვაგონში შესული მოქალაქე ხშირად არ ემორჩილება კონდუქტორის განკარგულებას ჩამოსვლის შესახებ, და რონოდას აგვიანდება, ვიდრე დასახმარებლად მოწვეული არ იქნება მილიციელი. ხშირად საქმეს ვერც მილიციელი შველის და იწყება ერთი აყალ-მაყალი, დავიდარაბა.—ეს მაშინ, როცა საკითხი ფრიად ადვილი გადასაწყვეტია: **საჭიროა ნორმაზე ზევით ვაგონში შესულ ურჩი მოქალაქისათვის დაწესებული იქნეს ჯარიმა და ამ საშუალებით** ეს მოძრაობის დამაბრკოლებელი მოვლენა აღმოფხვრილი იქნება სწორედ ისეთი ადვილად როგორც აღმოფხვრილ იქნა რონოდაზე ახტომა-ჩამოხტომა. მეორე მიზეზი, რაც აბრკოლებს ტრამვაის მიმოსვლას არის, მილიციელების მიერ ტრამვაით სარგებლობის მოუგვარებლობა. სავალდებულო დადგენილების თანახმად მილიციელს რონოდის ბაქანზე შესვლის უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ მგზავრთა რიცხვი წინა ბაქანზე არ აღემატება 4, ხოლო უკანაზე 8-ს. იშვიათი არ არის შემთხვევა, როცა ბაქანზე არის მეხუთე და მეცხრე უფასო მგზავრი—ასეთ შემთხვევაში კონდუქტორები მილიციონერებს ბაქანზე ასვლის ნებას არ აძლევენ. იწყება კამათი და ვაჭრობა, რაც იწვევს რონოდის მოძრაობის შეფერხებას. ასეთ ამბავს რომ ადგილი არ ექნეს, **საჭიროა მილიციელებს შიგნით ვაგონში ჯდომის უფლებაც მიეცეთ**—ეს ზომა ტრამვაის შემოსავალს, რასაკვირველია, არ შეამცირებს, ხოლო მოძრაობის სიჩქარეს კი ხელს შეუწყობს.

მესამე საკითხი, რომელსაც ტრამვაის სამმართველომ, კომუნალურ განყოფილებამ და აღმასკომმა უნდა მიაქციონ ყურადღება, არის ზოგიერთ მოქალაქის ბოროტმოქმედება ტრამვაით მოგზაურობის დროს. არის შემთხვევა, როცა მგზავრი ატყუებს კონდუქტორს, რომ მას შეძენილი აქვს ბილეთი,—ან უყურადღებოდ სტოვებს კონდუქტორის წინადადებას ბილეთის შეძენის შესახებ და ამგვარად უფასოდ მოგზაურობს, კონტროლიორთან შეხვედრის დროს კი თავს იმართლებს, თითქოს მასთან კონდუქტორი არ მისულიყოს. **საჭიროა მგზავრებისათვის სავალდებულოდ დაწესებული იქნეს: ვაგონში შესვლისას თვითვე მიმართონ კონდუქტორებს ბილეთის ასაღებად, ხოლო იმ მოქალაქეთათვის, ვინც ბილეთს არ აიღებს, დაწესებული იქნეს ჯარიმა.** ამ საშუალებით ადვილად მოსასპობი იქნება ტრამვაის ვაგონით უფასო მოგზაურობა.

ტრამვაის მოძრაობის მოსაწესრიგებლად, რასაკვირველია, ეს ღონისძიებები რადიკალურ საშუალებას არ წარმოადგენენ.

ტრამვაის სამმართველოს მოძრაობის გასაფართოებლად და გასაადვილებლად აქვს უფრო მნიშვნელოვანი გეგმა, როგორც არის რონოდების რიცხვის გადიდება, ტრამვაის ახალ პარკების აგება და სხვა. მაგრამ ამ გეგმის განხორციელებას ჯერ კიდევ კაი ხანს დააგვიანდება; მანამდე კი ასეთი ზომებიც მისაღებია და არსებულ მდგომარეობას შემამსუბუქებელიც.

კ—ტი.

---

*) წინადადების წესით. რედ.

გამოიწერეთ
ჟურნალი
სოფლის კომუნისტი
საკვირაო ორგანო
შინაარსი:
ფ. მახარაძე—„სოფლის კომუნისტი" და სოფელში მუშაობა
ე. ორახელაშვილი—მესამე საკავშირო

„სოფლის კომუნისტი" საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ერთად-ერთი ჟურნალია, რომელიც მიზნად ისახავს გააშუქოს სოფლად პარტიული და საბჭოთა მუშაობის პოლიტიკა.

„სოფლის კომუნისტი" არკვევს პარტიულ მუშაობის ამოცანებს სოფლად მუშაობის სხვადასხვა დარგში; **პარტიული ცხოვრება, სოფლის საბჭოების მუშაობა, სამეურნეო მშენებლობა, სასოფლო მეურნეობის საკითხები, სოფლად ახალი გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღების შეტანა, სარწმუნოების და ადგილობრივი ყოფა-ცხოვრების საკითხი, გლეხკორების მოძრაობა და სოფლის სხვადასხვა კულტურული საქმეები ჟურნალში პოულობს ახსნა-გაშუქებას.**

ჟურნალი არკვევს აგრეთვე საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

„სოფლის კომუნისტს" უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლად მომუშავე ამხანაგების გათვითცნობიერების საქმეში, ამიტომ ამ ჟურნალს აუცილებლად უნდა კითხულობდეს უჯრედის თითოეული წევრი.

არ უნდა დარჩეს არც ერთი ამხანაგი, რომელსაც არ ექნება გამოწერილი „სოფლის კომუნისტი".

ჩვენი ლოზუნგია: **მიმდინარე წელში 10 ათასი ტირაჟი „სოფლის კომუნისტი"-ს!**

საჭიროა და აუცილებელი ჟურნალის გავრცელება უპარტიო აქტივს შორის. ეს საქმე უნდა იკისრონ განსაკუთრებით უჯრედის აქტიურმა წევრებმა.

„სოფლის კომუნისტი"-ს გავრცელებაში, ხელისმოწერის მიღებაში უნდა ჩავითრიოთ ქოხ-სამკითხველოს გამგე, მასწავლებელი და სხვა. ამით შევძლებთ ამ ჟურნალის მასსიურ გავრცელებას.

ხელისმოწერის პირობები:
1 წლით . . . 2 მანეთი
ნახ. „ . . . 1 „
3 თვით . . . 60 კაპ.
ცალკე ნომერი . . 20 „

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:
თბილისი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი განყოფილება, რუსთაველის 22.

ნ. 1362 10—1

ქრონიკა

ცაკის სესიისათვის

საქართველოს ცაკის წევრები თბილისიდან მატარებლით მიემგზავრებიან ბათომში 9 ივნისს, ღამის 1 საათზე. მატარებელში სესიაზე მიმავალ საქ. ცაკის წევრებისთვის დანიშნულია განსაკუთრებული ვაგონები.

ბათომიდან ცაკის წევრები გაემგზავრებიან სოხუმში 10 ივნისს, საღამოს 10 საათზე გემ „სევასტოპოლი"-თ.

სესია გაიხსნება 11 ივნისს, საღამოს.

აბაშის ჰიდროელსადგურის შესახებ.

წინადადება მიეცა საქ. სას.-სამეურნეო ბანკის გამგეობას მიეცეს აბაშის ჰიდროელსადგურის ამგებ კომიტეტს 350.000 მანეთი კრედიტის სახით სასოფლო ელექტრომშენებლობისათვის გადადებული თანხებიდან.

ზაჰესკომის შუამდგომლობა.

ზემო-ავჭალის ჰიდროელსადგურის ამგებ კომიტეტის შუამდგომლობა ავჭალისა და ყარაიაზის სატყეო რაიონებში სამშენებლო ნატეხი ქვის სარგებლობისათვის გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ, დაკმაყოფილებულ იქნა.

მდ. ცხენის-წყალის ნაპირების გამაგრება.

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა საქ. ს. ს. რ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს—გაიღოს ცაგერის მაზრაღმასკომის განკარგულებაში მდ. ცხენის-წყალის ნაპირების გასამაგრებლად 2.500 მანეთი.

ხელფასის უნიფიკაცია.

შრომის სახ. კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად, ეთხოვა ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს 1926—27 წლის ბიუჯეტის თავის დროზე შედგენის მიზნით, დააჩქაროს იმ კომისიის მუშაობა, რომელსაც ამიერ-კავკასიის მასშტაბით ხელფასის საკითხის მოწესრიგება აქვს დავალებული.

შტატების დამტკიცება.

სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა 1926—27 საბიუჯეტო წლის სახალხო კომისარიატების შტატები შემდეგი სახით: 1) იუსტიციის სახ. კომისარიატის—322 კაცი, 2) სოციალურ უზრუნველყოფის—35 კ., 3) მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის შტატში საჭიროდ იქნა ცნობილი ტყის მცველთა შტატის გადიდება ისე, რომ ყოველ 4.000 დესეტინაზე მოდიოდეს თითო ტყის მცველი, 4) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის—242 კ., 5) ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ცენტრალური სამმართველოს—111 კ., 6) ს. მ. უ. საბჭოს—96 კ., 7) საგეგმო კომისიის—40 კაცი და დანარჩენი კომისარიატების შტატები მუშავდება ეხლახან.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურმა საბჭომ მიიღო ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი გეგმა მომავალ—1926—27 წელში სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან სასოფლო-სამეურნეო ერთეულების განთავისუფლების შესახებ.

გეგმა ითვალისწინებს ღარიბეს მეურნეობების და უშემოსავლო მიწების პატრონ გლეხების განთავისუფლებას სას.-სამ. გადასახადისაგან.

გეგმაში ნათქვამია, რომ უნდა იქნას დაწესებული შემოსავლიანობის საშუალო ნორმები მემინდვრეობის, სათიბების, მესაქონლეობის და სხვა დარგებში. გამოკვლეული და დაწესებული უნდა იქნას აგრეთვე ის მინიმუმი, რომელიც არ შეიძლება დაიბეგროს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით.

თბ. აღმასკომში.

— **ტრამვაის მუშათა სახლის აგებას** აღმასკომის დავალებით საზოგადოება „სამშენი" შეუდგება მომავალ კვირიდან.

— **წყალით სამკურნალო.** ცოტიანისეული აბანო აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ გადააკეთა წყალით სამკურნალოდ.

— **ოთახების ჩამორთმევა.** აღმასკომის დადგენილებით იმ პირებს, რომლებმაც ვერ შეიტანეს თავის დროზე ფული კოჯორში ოთახების მისაღებათ, ჩამოერთვათ ოთახები.

თბ. დამზღვევ სალაროში.

— **თბ. დამზღვევ სალარომ** მაისში შრომის უნარდაკარგულებს გაცდენილ დღეების ასანაზღაურებლად მისცა 17.111 მანეთი.

— **აღრიცხვა.** სახალხო კვების კავშირის დაზღვეულ უმუშევრების აღრიცხვა დამთავრდება ამ დღეებში.

საგზაო მშენებლობა.

— **სურამ-ძირულის გზატკეცილზე** ამჟამად სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა. გზაზე მუშაობს 200 კაცი.

— **ბორანი.** ახლო ხანში დამთავრდება ქუთაის-ბაღდადის გზაზე მდ. ყვირილაზე ბორანის მოწყობა.

— **საქართველოს სამხედრო გზატკეცილის** გაწმენდა უკვე დამთავრდა. მიმოსვლა სწარმოებს.

— **გზატკეცილების** სამმართველო ახლო მომავალში შეუდგება თბილისიდან მე-130-ე ვერსზე სამხედრო გზაზე ბეტონის დახურულ გალერეის აგებას.

კურორტებზე.

— **ახტალაში და წყალტუბოში** გაგზავნილ დაზღვეულებს და პენსიონერებს დამზღვევი სალარო აძლევს დღიურებს და სამგზავრო ფულს.

— **აბაზანების შეკეთება.** წყალტუბოში შეკეთდა ყველა აბაზანები (ვანები). პროფკავშირის წევრთათვის აბაზანით სარგებლობა ღირს 30 კაპ. არაწევრთათვის—50 კაპ.

სხვადასხვა.

— **განათლების მუშაკთა სახლში.** დღეს, 8 მაისს, საღამოს 6 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში შესდგება ქართული ენის შემსწავლელი წრის მეცადინეობა პროფ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით.

— **მონადირეთა კავშირი** შეუდგა თავის წევრების ხელახალ აღრიცხვას.

სახალხო კომისართა საბჭოში. 16ით რგვ.

ჩაუბარებელი დეპეშები

1. მახაჩკალიდან—ვლასოვსკისას, 2) პოლტარაცკიდან—ჩუდნოვსკისას, 3. ონიდან—ებრალიძეს, 4. ბათომიდან—ლაკობას, 5. ვანიდან—მგალობლიშვილს, 6. ნევინკიდან—ერეშევოისას, 7. ბაქოდან—ვანაციანს-ცარიციანს, 8. ბაქოდან—ქ. აკუბჟანოვს.

შემთხვევები

ველური მილიციელი

6 ივნისს, ღამის 12 საათზე, პლეხანოვის გამზირზე, მთავარ საავადმყოფოს მახლობლად ადგილი ჰქონდა შემდეგ შემთხვევას:

არმიის და ფლოტის ბაღში (პლეხანოვის გამზირზე, მთავარ საავადმყოფოს მახლობლად რომელიღაც შეელაღე მოეხდინათ დებოში. ბაღში მყოფმა წითელარმიელებმა მთვრალები გამოიყვანეს ქუჩაში და გადასცეს სადარაჯოზე მდგომ მილიციელს კომისარიატში წასაყვანად. ქუჩაში ახალგაზრდებმა ასტეხეს ხმაურობა და ყვირილი და განუცხადეს მილიციელს, რომ არ წავლენ კომისარიატში. ამ დროს მათ მიუახლოვდა მე-9-ე კომისარიატის უფროსი მილიციელი ჭელიძე, რომელმაც საქმის გამოურკვევლად იშიშვლა მაუზერი და დაემუქრა მთვრალებს. ამის შემდეგ ერთი მათგანი გაჰყვა მილიციელს, ხოლო მეორე განაგრძობდა წინააღმდეგობის გაწევას. „მესროლეთ, მე არ წავალ კომისარიატში" დაიძახა მან.

ჭელიძე ასეც მოიქცა. მან ესროლა ახალგაზრდას თავში და სასიკვდილოდ დასჭრა ის.

მილიციის უფროსმა ამხ. მკურნალმა, რომელიც ამ დროს გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე, შესძლო მილიციელ ჭელიძის განთავისუფლება ხალხის ხელიდგან, რომელიც თვითგასამართლების მოხდენას აპირებდა. ხალხის აღშფოთებას საზღვარი აღარ ჰქონდა. ის 2-3 საათის განმავლობაში იცდიდა საავადმყოფოს კარებთან, რომ გაეგო დაჭრილის ბედი. უკანასკნელი ჯერ-ჯერობით ცოცხალია.

ჭელიძე დააპატიმრეს.

კაცის დაკარგვა

გუშინ საქ. ფინსახკომის თანამშრომელმა **ივანე მგალობლიშვილმა** წერილი დასტოვა სამსახურში, რომელშიც ის იტყობინება, რომ იგი ემშვიდობება ყველას, მას ნუ მოსძებნიან, მის საფლავს ვერსად ვერ იპოვნიან, რადგანაც იგი სამუდამოთ ემშვიდობება ნაცნობ-მეგობრებს. ძებნამ არავითარი შედეგი არ მოიტანა. ფიქრობენ, რომ იგი დამხრჩვალია წყალში.

მატარებლის ქვეშ

გუშინ ა.-კ. რკ. გზის სამმართველოში მოვიდა ცნობა, რომ ბარგუშეთში (ბაქოს გზაზე) მატარებელმა გასრისა მოძრაობის აგენტი ამხ. გორაშკო.

გორაშკომ განიზრახა დაძრულ მატარებელზე შეხტომა, მაგრამ დაუსხლტა ხელი და ფეხი და ჩავარდა ბორბლებს ქვეშ. მატარებელმა მას გადასჭრა ფეხები. რამოდენიმე წუთის შემდეგ გორაშკო გარდაიცვალა.

მეხის მსხვერპლი

გუშინ, პრიუტის თემიდან, თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებამ მიიღო ცნობა, რომ იქ, ძლიერი სეტყვის დროს, გავარდა მეხი, რომელმაც მოკლა სამი ხარი, დამბლა დასცა მწყემს—სოფ. დიდი თონეთის მცხოვრებ **ვანო ბეჟაურს**. მწყემსის მდგომარეობა სერიოზულია.

განათლების ფრონტზე

სტამბა

განათლების კომისარიატმა თავის საკუთარ სტამბის საჭიროებისათვის ბაქოში შეიძინა მანქანები.

მაღაზია

საქარხნო-სამრეწველო სკოლების მიერ დამზადებულ ნივთების გასასაღებლათ, განათლების კომისარიატი ვორონცოვის ქუჩაზე ხსნის ახალ მაღაზიას.

ბავშვები აგარაკებზე

წელს განათლების კომისარიატი აგარაკებზე აგზავნის 800 ბავშვს. ბავშვები იგზავნებიან ფასანაურში, კოჯორში და ალბულაღში.

ცუდი მოწაფეების შესახებ

სოც. აღზრდის მთავარმართველობამ წინადადება მისცა ყველა განათლების ინსპექტორებს, რათა მე-9 და 8 ჯგუფის მოწაფეებს, რომლებიც არ სწავლობდენ ბეჯითად და ამავე დროს თავიანთი საქციელით ხელს უშლიდენ სხვა მოსწავლეებსაც, დატოვებულნი არ იქნან მეორე წელიწადს და მიეცეთ მხოლოდ მეცხრე ან მერვე ჯგუფში სწავლის მოწმობა (და არა კურსის დამთავრების). ხოლო კულიკვითებების შემდეგ მეორე წელიწადს ჯგუფებში დატოვება შეიძლება იმ შეგირდების, რომლებიც იჩენდენ სწავლის უნარს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ასწრებდინ საჭირო კურსის გავლას. ამ მოწაფეთაგან ზოგიერთები გადაყვანილი უნდა იქნენ იმ წლედებში. სადაც მათი ცოდნის მიხედვით შესაფერი განხრებია.

გლეხთა მუზეუმი

გლეხთა სასახლესთან მოწყობილია მუზეუმი, სადაც ჩამოსულ გლეხებს უჩვენებენ თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებს.

მუზეუმის გაფართოების მიზნით, სასახლის გამგეობა ფიქრობს შეიძინოს ახალი იარაღები და ადგილობრივი, უმთავრესად შინამრეწველობის, წარმოების ექსპონატები.

მაზრებს დაეგზავნათ მიწერილობები, რომ ყველამ გამოგზავნოს თავისი წარმოებების ნიმუშები. აღნიშნულ ნიმუშების მიღების შემდეგ, მუზეუმში გაიხსნება „მაზრების გლეხთა ცხოვრების კუთხეები".

გარდა ამისა, განზრახულია შეუდგენ მუზეუმის შენობის გაფართოებას. მუზეუმი მოთავსებულია გლეხთა სასახლის ეზოში, მსურველებს შეუძლიათ მისი დათვალიერება ყოველდღე.

ბანქოს მონოპოლია

ამ.-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის გეგმათა გარეშე ინსპექციამ მოახდინა ბანქოს სახელმწიფო მონოპოლიის თბილისის განყოფილების გამოკვლევა.

გამოკვლევის მასალების შემდეგ ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ აუცილებლად სცნო, რომ ნამდვილად განხორციელებული იქნეს კონტროლი ბანქოს კერძო ვაჭრობაზე; დაშვებული არ უნდა იქნეს ბანქოს გადიდებულ ფასებში გაყიდვა. შეწყვეტილი იქნეს ბანქოს ნისიად მიცემა კლუბებისათვის; ასეთები შეიძლება დაშვებული იქნეს აუცილებელ შემთხვევაში, თამასუქის ქვეშ, მიღებული იქნეს დაუყონებლივ ზომები იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მიაყენა თბილისის კლუბებმა ბანქოს სახელმწიფო მონოპოლიას.

ამასთანავე განტვირთული უნდა იქნეს განყოფილებების საწყობი; ბანქოს სახელმწიფო მონოპოლიის სამმართველოს უნდა დაუბრუნდეს ლოტოს და დომინოს ბარათები, რომლებსაც გასავალი არ აქვს ამიერ-კავკასიაში.

ნათესები

ნათესების მდგომარეობა **შორაპნის მაზრაში** ჯერ-ჯერობით დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან უკანასკნელ ხანებში გამუდმებულ წვიმებს ჰქონდა ადგილი. გვალვების საშიშროება აღარ არის.

სამტრედიის რაიონში ხილის ბაღების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. რაც შეეხება მინდვრებს, ისინი გვალვების გამო ნახევრად დაუთესავი რჩება.

ბორჩალოს მაზრაში გამუდმებული წვიმების გამო, პურის მოსავალს კარგი პირი უჩანს, მხოლოდ ბორჩალოს დაბლობ ადგილებზე ასეთმა წვიმებმა ნათესზე ცუდათ იმოქმედეს.

საძოვრები

ჯავახეთი

საძოვრების განმანაწილებელმა საგანგებო კომისიამ საზაფხულო სეზონის დაწყებამდე დაამთავრა საძოვართა ფონდის განაწილება. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად ადგილობრივ მოსახლეობას დაურიგდა თვრამეტი ათასი დესეტინა საძოვარი ადგილი.

ამჟამად მიმდინარეობს სასწრაფო მუშაობა მიწის მოსაწყობათ ცალკე საძოვარი ადგილების ერთი მეორისგან გასამიჯნავად ამ ღონისძიებით მიმდინარე წლისათვის გლეხების მოთხოვნილება საძოვარ ადგილებზე მეტ წილად დაკმაყოფილებულ იქნა.

დაღესტანის საძოვრები

თელავის მაზრის და ქიზიყის მეცხვარეებმა უკვე გარეკეს თავიანთი ცხვრის ფარა შირაქის საზამთრო საძოვრებიდან დაღესტანის (გუნიბის და ანდიის ოლქებია) საზაფხულო საძოვრებისაკენ. გზაზე ცხვარი დიდ გაჭირვებას განიცდის, რადგან საკარანტინო პუნქტებში, სადაც ცხვრის ფარას შეჩერება უხდება, საკვები არ მოიპოვება. იმ ადგილებში საძოვრების გამოძებნა ყოვლად მოუხერხებელია. ამის გამო დაღესტანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა თხოვნით მიმართა საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს იმის შესახებ, რომ მწყემსებს საძოვრებით სარგებლობის უფლება მიეცეთ სიღნაღის და თელავის მაზრებში. საქართვ. მიწათმოქმ. კომისარიატმა გასცა სათანადო განკარგულება.

თუშეთის საძოვრები

მწყემსებს თუშეთის საძოვრებზე ჯერ ცხვარი არ გაურეკიათ, თუმცა საზაფხულო სეზონი უკვე დაიწყო. მიზეზი ის არის, რომ სამაზრო აღმასკომმა საძოვრების დამცველ რაზმის შენახვაზე უარი განაცხადა და ეს ხარჯები დააკისრა თვით მწყემსებს, რომელთაც მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, რათა საძოვრების დაცვა ისევ სახელმწიფომ იკისროს. პასუხის მოლოდინში მწყემსები ცხვრის ფარას დაბლობ ადგილებში აძოვებენ. მთავარი ქედის ფერდობებზე მდებარე უხიფათო საძოვარი აგარაკები: შილდა ყვარელი, ახალსოფელი უკვე დაკავებულია მწყემსების მიერ.

საბირჟო კომიტეტში

ანარიცხების შემცირება

თბილისის საბირჟო კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით სარეგისტრაციო ანარიცხები: ხორცის, ცოცხალი საქონლისა და თევზეულის გარიგებაზე შემცირებულია ერთი მეხუთედი პროცენტიდან ერთი მეათედ პროცენტამდე.

წესდების დამტკიცება

ა.-კ. შ/ვაჭრობის კომისარიატმა დაამტკიცა თბილისის ბირჟის წესდება.

რკინის გზებზე

ჯანმრთელობის საქმე

თბილისის რკ. გზის საავადმყოფოსთან შენდება სახლი სამეანოგინეკოლოგიურ განყოფილებისათვის. განყოფილებაში იქნება 80 საწოლი. ამავე საავადმყოფოსთან აგებულ იქნება ბაქტეროლოგიურ ლაბორატორიის, პროზექტურის და აფთიაქისათვის.

ლენინაკანში ახლო მომავალში დამთავრდება რკინისგზის საავადმყოფოს შენობა 110 საწოლით. საავადმყოფოსთან იქნება ამბულატორია, რომლისთვისაც კეთდება ცალკე შენობა.

ბაქოში ადგილობრივ რკ. გზის საავადმყოფოსთან დამთავრდა ამბულატორიის ახალი შენობა. აგებულ იქნება აგრეთვე შენობა ტუბერკულიოზის დისპანსერისათვის.

დაბისა და ცემის სადგურების გახსნა

საკურორტო სეზონის დაწყებისა და ბორჯომის ხაზზე სახალხო მატარებლის მოძრაობის გადიდების გამო გახსნილია სადგურები ცემი და დაბა.

ახალი სადგური

ულუხანლუ-ბაქოს გზის მე-34-ტე ვერსზე არარატის ახალი სადგურის აშენების გამო ძველი სადგური, რომელიც მდებარეობდა ამავე გზის მე-37-ტე ვერსზე დაიკეტა და ყოველგვარი ოპერაციები გადატანილ იქნა ახალ შენობაში.

გაუსგელტერის აპარატები

ა.-წ. მაისიდან ორთქმავლებზე, რომლებიც ემსახურებიან მთავარ ხაზზე მოქრავ სახალხო მატარებელს, მოწყობილია გაუსგელტერის აპარატები, რომლებიც ავტომატიურად აღნიშნავენ სადგურების შორის მატარებლების მოძრაობას და მატარებლის გაჩერების ხანგრძლივობას.

სასამართლო

განაჩენი მალანიას საქმეზე

კვირას 6 ივნისს, სასამართლომ 9 საათის თათბირის შემდეგ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც ბრალდებულ ნიკოლოზ **მალანიას 5.716** და 73 კაპ. მითვისებისა და გაფლანგვისათვის მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი დახვრეტა.

წითელი ჯვრის თანამშრომელთა საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ბერიშვილის** თავმჯდომარეობით დაიწყო საქართველოს წითელი-ჯვრის სავაჭრო კანტორის წარმომადგენელ მიხეილ **ქუთათელაძის** და კონტროლიორ **მონიავას** საქმის გარჩევა.

ქუთათელაძეს ბრალათ ედება 2.000 მანეთამდე საკავშირო თანხების მითვისება და გაფლანგვა. მასვე ბრალდება თანამდებობის ბოროტათ გამოყენება, რაიც გამოიხატა სავაჭრო პოლიტიკის დარღვევაში. ქუთათელაძეს ბრალათ ედება აგრეთვე ყალბი საბუთების შედგენა, უყაირათობა და სამსახურისადმი გულგრილათ მოპყრობა.

მონიავას ბრალდება 1150 მან. გაფლანგვა. ეს თანხა ბრალდებულს წაუგია „კაზინოში" ბანქოს თამაშის დროს.

აღნიშნული თანხა ბრალდებულების მიერ გაფლანგულია 1925 წელში სამი თვის განმავლობაში.

ბრალს სდებს პროკურორი **გ. აბაკელია**, ბრალდებულებს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: **მ. ტატიშვილი, პ. ქავთარაძე და დიდებულიძე.**

სასამართლოში ბრალდებულებმა თავი არ სცნეს დამნაშავეთ.

პირველად დაკითხულ იქნა მოწმე ივანე **ქუთათელაძე** (წითელი-ჯვრის პრეზიდიუმის წევრი), რომელმაც მოუთხრო სასამართლოს, რომ ის, წითელი ჯვრის საქმეთა მმართველის და მონიავას თანხლებით მისულა მიხეილ ქუთათელაძესთან სავაჭრო კანტორაში და უთხოვნია მისთვის, რათა მას ესესხებია ფული მონიავასათვის. შემდეგ როდესაც მოწმემ გაიგო, რომ წითელი-ჯვრის სავაჭრო კანტორიდან გაცემულია ჩეკი კანტორის მიმდინარე ანგარიშებიდან—წინადადება მიუცია ბრალდებულ ქუთათელაძისათვის, რათა მას დაეფარა ეს თანხა. ამის შემდეგ ბრალდებულმა ქუთათელაძემ ტელეფონით აცნობა ბანკს, რათა მონიავასათვის ჩეკით არ მიეცათ ფული, მაგრამ ეს თანხა მონიავას მიერ მიღებული აღმოჩნდა.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

ფარმაცევტ ჭეიშვილის საქმე

გუშინ უზენაეს სასამართლოში ამხ. **სურგულაძის** თავმჯდომარეობით და პროკურორ **გაბუნიას** მონაწილეობით ვაირჩა საკასაციო საჩივარი ფარმაცევტ ივანე **ჭეიშვილის** საქმეზე.

ჭეიშვილს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერ მოვალეობისადმი დაუდევრათ მოპყრობისათვის მისჯილი ჰქონდა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

უზენაესმა სასამართლომ სამი საათის თათბირის შემდეგ დაადგინა: ივანე ჭეიშვილის საკასაციო საჩივარი, ოლქის სასამართლოს განაჩენზე დატოვებულ იქნას უშედეგოთ.

ძალაუფლების გადამეტება

დღეს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესია ქ. გორში აწყობს სანდრო ივანეს ძე **ემმაკურაშვილის**, ვლადიმერ გიორგის ძე **ნადირაძის** და შაქრო ივანეს ძე **ბაციკაძის** საზოგადოებრივ-საჩვენებელ გასამართლებას.

ს. ემმაკურაშვილს ბრალი ედება ხელისუფლების გადამეტებაში, ხოლო ნადირაძეს და ბაციკაძეს კი—ემმაკურაშვილის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობის მიღება.

პროცესი გაგრძელდება რამოდენიმე დღეს.

მკვლელობა

უზენაესმა სასამართლომ გააუქმა განაჩენი **გ. კაპეტივაძის და სოფიო კობალაძის** საქმეზე.

კაპეტივაძეს სამხრეთ-ოსეთის სასამართლოს მიერ მკვლელობისათვის მისჯილი ჰქონდა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით უფლებების შეზღუდვა, ხოლო კობალაძეს კი—სამი წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქმე ხელ-ახლად გასარჩევად გადაეცა სამხრეთ-ოსეთის სასამართლოს.

ხულიგნობისათვის

სახალხო სასამართლოს მორიგმა კამერამ სიმონ ნიკოს ძე **კაჭაუროვს** მიუსაჯა სამი თვით თავისუფლების აღკვეთა.

კაჭაუროვს ბრალათ ედებოდა სიმთვრალის დროს მოქალაქის შეურაცყოფა და მილიციელისათვის წინააღმდეგობის გაწევა.

თავდამსხმელები

დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ბრალდებულებს **ბ. ბაგათელიას და ჩ. ქურსუას** მიუსაჯა რვა წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

ბაგათელიას და ქურსუას ბრალდებოდათ გაძარცვა და თავდასხმა.

ბრალდებულებმა საკასაციო საჩივარი შეიტანეს უზენაეს სასამართლოში.

საქმე გაირჩევა 17 ივნისს.

განაჩენი მამირ-ასტან-ოღლი საქმეზე

სასამართლოს კვლევა-ძიებით დადასტურდა, რომ ბრალდებულმა **მამირ-ასტან-ოღლიმ** მოქ. ალი აბასოვი და ალი კასუმოვი დაჭრა მოკვლის მიზნით.

სასამართლომ ბრალდებულ მამირ-ასტან-ოღლის მიუსაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით და წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

მეცნიერება და ტეხნიკა

წვიმის ჭიები.

ჯერ კიდევ ცნობილმა მეცნიერმა **ჩარლზ დარვინმა** 50 წლის წინათ აღნიშნა წვიმის ჭიების უდიდესი როლი ნიადაგის განოყიერებაში. ყოველწლიურად ჭიაყელებს თვითეულ დესეტინაზე რამდენიმე ათასი ფუთი მიწა ამოაქვთ, სიღრმიდან და ზედაპირიდან ქვევით ჩააქვთ. ჭიაყელების მიერ გაკეთებული ხვრელები საშუალებას აძლევენ წყალსა და ჰაერს შეიჭრან მიწის სიღრმეში და დააჩქარონ მცენარეულობათა ნაშთების ლპობის პროცესი. ამრიგათ წარმოიშობა მიწაში ნიადაგიც ბუნებრივი სასუქი. ამერიკაში უკანასკნელ ხანებში სპეციალურად ამრავლებენ წვიმის ჭიებს და გზავნიან იმ ადგილებში, სადაც მწირი მიწებია. უდავოთ არის გამორკვეული და დამტკიცებული, რომ წვიმის ჭიები არავითარ ზიანს არ აყენებენ ახალგაზრდა მცენარეულობათა ძირებს და ბოლქვებს. ისინი იკვებებიან მხოლოდ ლპობის პროცესში მყოფ მცენარეულობათა ნაშთებით.

პიკერინგის თეორია.

ამერიკელ ასტრონომის **პიკერინგის** ცნობით, ჩვენი მზის სისტემას, გარდა უკვე ცნობილ რვა დიდი და რამდენიმე მცირე პლანეტისა, ეკუთვნის ნეპტუნის ორბიტის იქით მდებარეთ ორი დიდი პლანეტა, რომელთაც ჩვენ ვერ ვხედავთ. რომ ისინი არსებობენ, პიკერინგის აზრით, ამას ამტკიცებს ერთგვარი უსწორობა ნეპტუნის მოძრაობაში. პიკერინგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამ პლანეტებს შეიძლება ჰქონდეთ მასა უფრო ნაკლები, ვიდრე ურანსა და ნეპტუნს აქვთ, და ჩვენგან იმდენათ არიან დაშორებული, რომ მათი სინათლე მეოცე სიდიდის ვარსკვლავთა სინათლის ძალისა არის. ასეთი სინათლის მქონე პლანეტების დანახვა თანამედროვე ტელესკოპებით შეუძლებელია.

ერთად-ერთი საშუალება მათ აღმოსაჩენათ არის ცის იმ ადგილის გადაღება რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, სადაც ეს პლანეტები უნდა იყონ.

ცოცხალი თევზის გადაგზავნა რკინისგზით.

გერმანიაში დამზადებულია სპეციალური ვაგონები ცოცხალი თევზის გადასაგზავნათ რკინისგზით. ეს ვაგონები ვარეგნულათ არაფრით განირჩევიან გერმანიის რკინისგზების ჩვეულებრივი საბარგო ვაგონებისაგან. შიგნით ვაგონი გაყოფილია ოთხ ნაწილათ. თვითეული ნაწილი წარმოადგენს აუზს თევზების მოსათავსებლად. სპეციალური მოწყობილობის საშუალებით აუზები უზრუნველყოფილია წმინდა წყალით და ჰაერის მარაგით.

დოღი

კვირა, 6 ივნისი.

კვირას, 6 ივნისს, დიდუბის იპოდრომზე გაიმართა 6 საინტერესო დოღი.

პირველ დოღში მონაწილეობდა **ლედა, ბუნჩუკი და რივიერა.**

პირველი მოვიდა **ლედა**, მეორე—**ბუნჩუკი**, მესამე—**რივიერა.**

სისწრაფე—2 წუთი 26 წამი; დისტანცია 2134 მეტრი (2 ვერსი).

მეორე დოღში მონაწილეობდა: **ყირგიზი, ჩაროვნიცა, ზორკი, დონი და საარიხი.**

პირველი მოვიდა **ჩაროვნიცა**, მეორე—**ზორკი**, მესამე—**საარიხი**, მეოთხე—**ყირგიზი.**

სისწრაფე 2 წუთი 52 წამი; დისტანცია 2134 მეტრი (2 ვერსი).

მესამე დოღში მონაწილეობდა: **მილანი, სოფისტი, მალახიტი, ზემბო, სარდარი და მაკ-კინლეი.**

პირველი მოვიდა **მალახიტი**, მეორე—**სარდარი**, მესამე—**სოფისტი**, მეოთხე—**ზემბო**, მეხუთე—**მაკ-კინლეი** და მეექვსე—მილანი.

სისწრაფე 3 წუთი 59 წამი; დისტანცია 3.200 მეტრი (3 ვერსი).

ამრიგად „რესპუბლიკის" ჯილდო მოიგო **მალახიტმა.**

მეოთხე დოღში მონაწილეობდა: **იანეკი, შაბარკა, მოსსო, იაიჯა-ჭიათურელი და გრაცია.**

პირველი მოვიდა **მოსსო**, მეორე—**შაბარკა**, მესამე—**გრაცია**, მეოთხე—**იანეკი**, მეხუთე—**იაიჯა-ჭიათურელი.**

სისწრაფე 2 წუთი 58 წამი; დისტანცია 2440 მეტრი (2 ვერსი 144 საჟ.).

ამრიგად „ამიერ-კავკასიის დერბი"-ს პირველი ჯილდო მოიგო **მოსსომ.**

მეხუთე დოღში მონაწილეობდა: **მოდერნი, მაესტრო და ტო-ტო.**

პირველი მოვიდა **მაესტრო**, მეორე—**ტო-ტო** და მესამე—**მოდერნი.**

მეექვსე დოღში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა ცხენებმა. ჯილდო მოიგო ცხენმა—„გულრიპში"-მა.

დოღს დიდძალი ხალხი დაესწრო.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს საადგილ-მამულო ბანკებში და თბილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებული საქართველოს ს. ს. რ. ქალაქებში მდებარე სახლების თაობაზე საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის მარტის 30-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის მე-6 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს საადგილ-მამულო ბანკებში და თბილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებული — საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ქალაქებში მდებარე სახლების შესახებ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის მარტის 30-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის მე-6 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„უკეთუ მსესხებელი მოისურვებს ვადამდე სრულიად გადიხადოს მასზე დარიცხული ვალი, თბილისის კომუნალური ბანკის გამგეობას უფლება აქვს, თავისი შეხედულებით, შეუმციროს ვალი ასეთ მსესხებელს, ხოლო ეს შემცირება ვალის 20 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს".

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. პ. ჯუღელი.

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ალ. სალარიძე.

1926 წ. ივნისის 5-ს.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ვინ არის წინააღმდეგი?

პირველ ქართ. მსრ. ლეგიონის 1-ლ ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტკანდიდატებად მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: თოდუა შალვა ათანასეს ძე, კ. კ. წევრი 1922 წლიდან; ჭეფხოძე გიორგი ივანეს ძე, კ. კ. წევრი 1925 წლიდან. თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს აღნიშნულ ამხანაგების მიმართ, უნდა აცნობონ პირველ ასეულის კომუჯრედში ერთი კვირის განმავლობაში.

ხუთშაბათს, 10 ივნისს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის დარბაზში შესდგება ქალაქის რაიონის პოლიტ-ცოდნის მსმენელთა კონფერენცია. დღის წესრიგი: 1. პარტიულ სწავლების მთელი წლის ჯამი და 26—27 წლ. პერსპექტივები. 2. პოლიტ-სკოლის მსმენელთა საზაფხულო მუშაობა.

ვალდებული არიან გამოცხადდენ: პ.-სკოლის წარმომადგენლები, უჯრედების აგიტპროპ-ორგანიზატორები და ამჟამად თბილისში მყოფნი პ.-სკოლის ხელმძღვანელები.

საქართველოს კომ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დღეს, სამშაბათს, საღამოს 5 ნახ. საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში შესდგება ქართველ-ჯგუფთა დელეგატების კრება. რუსებისათვის კი—მილიციის კულტ-კუთხის დარბაზში (ველიამინოვის 7). ამავე დღეს, დანიშნულია ქალაქის რაიკომის დარბაზში რუსულ-ჯგუფის ქალთა ორგანიზატორების მორიგი მეცადინეობა.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. **მეორე რაიკომის** მუშა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, 8 ივნისს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში შესდგება ქალთა სადელეგატო კრება.

ყველა წევრების დაუგვიანებლად დასწრება სავალდებულოა.

კომკავშირის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 8 ივნისს, საღ. 5 საათზე, სახალხო კავშირის კლუბში კინო „სოლეი"-ს ქვეშ (ლენინის ქუჩა) შესდგება პოლიტგანათლების რაიონული კონფერენცია. დასწრება სავალდებულოა ყველა დელეგატებისა და პოლიტსკოლის ხელმძღვანელებისათვის.

საქართ. კომუნ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომის** საორგანიზაციო განყოფილება იუწყება, რომ დღეს, სამშაბათს, საღამოს 6 საათზე, საორგანიზაციო განყოფილების შენობაში შესდგება **საბჭოთა უჯრედების მდივანთა სხდომა.**

ს. კ. პ. თბ. ო. **მეორე რაიკომი** იტყობინება, რომ ხვალ, 9 ივნისს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში მოწვეულია ყველა ტიპის პარტსკოლების და ლენინის წრეების მსმენელთა კონფერენცია.

არჩეულ დელეგატების, ხელმძღვანელების და უჯრედების აგიტპროპორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა.

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი ცოლი ანგელინა, შვილები ნაპო და ქერონი, და ანეტა, სიძე სერგო გალოგრე, მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

გიორგი (გრიშა) კონსტანტინესძე
სიამაიშვილი

რომლის დასაფლავება მოხდება 8 ივნისს, სამშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე, ოზურგეთის სასაფლაოზე. ქვ. 2742

დღეს საზაფხულო
კინო
„ეთერი"-ს
გახსნა
(სახელმწიფო ოპერის ბაღში)

მიდის საუკეთესო სურათი
„ქალი მთის მწვერვალებიდან"
ბარბალე ლამარის მონაწილეობით (სურათი „БЕЛАЯ МОЛЬ"-ის გმირი)
სიმებიანი ორკესტრი ბელსკის ხელმძღვანელობით. როიალთან—ლ. მარბუზოვა.
ცუდი ამინდის შემთხვევაში სურათი წავა არფასტოში.
ნ. 1406

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

საქართვ. ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან

გადასახადათ და გადასაცვლელად მისაღებ ვადის განსაზღვრა სახაზინო დროებ თი ბონებისა ღირსებით 1-დან 50 კაპიკამდე.

ს.ს.რ. კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების ძალით ა. წ. 27 აპრილს საქართვ. ფინსახკომი აცხადებს:

ფინსახკომისა და სახ. ბანკის სალაროებში გადასახადათ და გადასაცვლელად მისაღებ უკანასკნელ ვადათ სახაზინო ბონებისა 1-დან 50 კაპიკამდე, აგრეთვე ამ ბონების მსვლელობის საბოლოო ვადათ, როგორც საფასისა, დანიშნულია 31 აგვისტო 1926 წელი.

აღნიშნულ ვადის შემდეგ მოხსენებულ ღირსებათა ყველა სახაზინო ბონები, გამოცემულნი ს.ს.რ. კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს დეკრეტის ძალით 22 თებერვალს 1924 წ. (ფინანსთა კრებ. 1924 წ. № 34 მუხ. 325) არ იქნებიან მიღებულნი გადასახადათ და გადასაცვლელად ფინსახკომის და სახ. ბანკის სალაროთა მიერ.

საქ. ფინსახკომი **მგალობლიშვილი.**
სავალუტო განყოფილების მმართველი **მიქელაძე.**
ნ. 1407

აპოლო
არფასტო
სოლეი
0—21. ნ. 1265

ახალი სურათი
„მიხაელ"
მხატვრული დრამა 7 ნაწილად
ანონსი: ამ დღეებში გაიხსნება საზაფხულო კინო „აპოლო" ბაღ „არტო"-ში (სასტუმრო „ნოეს" ახლო).
იჩქარეთ ნახვა, მალე შეწყდება ჩვენება
„მოწყენილი ქუჩა"
ასტა ნილსენის მონაწილეობით
პირველად თბილისში მსოფლიო კომიკები
პატი და პატაშონი სურათში
„ყველაფერს ვხედავთ" ყველაფერი ვიცით
აპოლოში, არფასტოში და სოლეიში პროგრამის გარეშე:
ა.-კავ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნა

საზაფხულო კინო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
სოლეი
აპოლო

დღეს, „ეთერის" გახსნა პრემიერა
ქალი მთის მწვერვალებიდან
ბარბალე ლამარის მონაწილეობით.
უკანასკნელად თბილისში
„ნიშანი ზერო"
დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით.
უკანასკნელი დღე ახალი სურათი
„მიხაელ"
მხატვრული დრამა 7 ნაწილად.
ანონსი: ხვალ საზაფხულო „აპოლოს" გახსნა („არტოს" ბაღში სასტუმრო „ნოეს" გვერდით).

თბილისის სააქციო საზოგადოების „თბილისის ვაჭრობა"-ს დამფუძნებელნი

ამით აცხადებენ, რომ თანახმად დამტკიცებული წესდების მე-10 § ქალაქის ბანკის სადგომში

დღეს, 8 ივნისს, შუადღის 2 საათზე, დანიშნულია

დამფუძნებელი კრება

„თბილისის ვაჭრობა"-ს აქციონერებისა

დღის წესრიგი: 1) საორგანიზაციო კომისიის მოხსენება.
2) გამგეობის, საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევა.
3) მიმდინარე საკითხები.
ნ. 1370 2—1

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ 22 ივნისს 1926 წ. დილის 10 საათზე, დანიშნულია ქ. ქუთაისში ადერბეიჯანის ქუჩაზე სახლი № 15 მეორე საჯარო ვაჭრობა მიხეილ მარდახის ძე პაპიაშვილის ერთი-ერთ სართულიანი ქვეშ პალატით ძველი ხის ხუთოთავლიანი სახლის, აგებულის საეზოვე მიწაზე ზომით ასრვა ოთ კუთხი საჟენი, შეფასებული 600 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან, ან იმ თანხიდან რომელიც დასახელებული იქნება მოვაჭრეთაგან. ყველა იმ პირმა, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები, აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და შენობის შეფასების თანხის 10 პროც. ნ. 1403

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ექ. ე. მ. მქინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18, შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან. 25—1

1926 წლის 15 ივნისს, დღის 12 საათზე
საზოგადოება „ჩემო"-ს ბინაზე
(რუსთ. გამზირი № 23)
დანიშნულია
ქიათურის შავქვის
საექსპორტო საზოგადოების
(„ჩემოს")
წევრთა საერთო
სალიკვიდაციო კრება
დღის წესრიგში სდგას:
1) საზოგადოება „ჩემო"-ს სალიკვიდაციო კომისიის საანგარიშო მოხსენება 1925 წლ. 1 სექტემბრიდან 1926 წლის 1 ივნისამდე წარმოებულ მუშაობის შესახებ.
2) მიმდინარე საქმეები.
საზ. „ჩემოს" საქმეთა სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე მ. ვაშაკიძე.
ნ. 1405

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლად. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 12 ივნისს 1926 წელსა დილის 11 საათზე ადგილ. სოფელ ოფიშკვითში ანტონ ალექსის ძე მარგველაშვილის ეზოში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა: გაიყიდება ხსენებული ანტონ მარგველაშვილის: 1. ერთი ხის ფარდული ოთახით და მოწყობილობით, შეფას. 200 მანეთ., 2. ერთი გრამოფონი, ოცდათექსმეტი „პლასტინკით" შეფას. 20 მანეთ., 3. ერთი ნოხი დაფას. 30 მან. და სხვ. ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის და სხვ. ვალის დასაკმაყოფილებლად. ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან. ქონების გაყიდვა შეიძლება ცალ-ცალკე. ვისაც სურს ფარდულის და ოთახის ყიდვა უნდა იქონიოს ცნობები, აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და 10 პროც. საწინდარი. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან სასამართლოში. ნ. 1403

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ.ს. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ 11 ივნისს 1926 წ. დღის 10 საათზე სახლში № 22, მინკევიჩის ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაყიდის თათევოზ პეტროსოვის უძრავ ქონებას: შენობას, მიწას, ზომით 188 ოთხ. კუთხ. საჟ. შეფასებულს 800 მანეთად, კომუნალური ბანკის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის სახალხო სასამართლოსაგან 24 თებერვალს 1926 წ. თარიღით, № 1079 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1404

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ 12 ივნისს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 16 პოლკის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ელენე, ნინა, მიხეილ, დავითა და არჩილ თედიაშვილის უძრავ ქონებას: მდებარე ზემოხსენებული ქუჩაზე შეფასებულს 400 მანეთად, იოსებ ბაბილაურის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 16 მარტს 1926 წ. თარიღით, № 1536 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. მყიდველმა უნდა წარმოადგინოს ცნობა, აღნიშნული 311 მ. ს.ს. კ. და შენობის ღირებ. 10 პროც. საწინდარი. 2747

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბ რუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—0

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606"—„914")
ავადმყოფების მიღება: კაცებიც— დილით 8—9 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ., № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

ექიმი
დ. ა. გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს, დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძნელაძეს ქ. (ყოფ. საპიორის № 32. 25—

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.
საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—18

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეზხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე.
ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 22—

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. ღებულობს ავადმყოფებს კანის, სიფილისის და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და აგრეთვე სქესო ორგანოს ყველა გართულებები. დილით 6 ნახ.—7 ნახ. საათამდის საღამოთი 4—8 საათამდის. 25—6

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

დაბრუნდა
ექიმი ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეტი
მიღება საღამოს 7—8 საათ. (ლენინის და ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82. 25—1 ქვ. 2356

თვალის ექიმი
ა. გ. მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ., საღამოს 6—7 საათ. ელისაბედის ქუჩა, № 47, ტელეფ. № 5—9. თვალის საავადმყოფო. 25—21

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი
დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე.
პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან). 25—7

ექიმი
ნ. გ. ახვერდოვი.
ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობა)
ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათ., საღამოს 4—7 საათამდე, ელბაქიძის დაღმართი, №15.

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბონ-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალის. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათ მდე და 4—7 საათამდე 5—17

თვალის ექიმი
მაევსკი
პლეხანოვის პროსპექტი, (ყოფილი მიხეილის პრ.) № 53 (მთავარი ფოსტის პირდაპირ). მიღება დილის 9-დან 11 საათამდე (დღის 1-დან 3-დე, საღამოს 7-დან 8-მდე. 35—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.
2215 3—1

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
მიღება დილის 8—11, საღ. 6—8.
პლეხანოვის პროსპექტი, № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.
2537 25—1

ექიმი ნ. ტურიაშვილი
ქალის სნეულებანი და მეანობა
მიღება 2—5 ს. საბჭოს ქუჩა (ყოფილი ჩერქეზოვის) № 22. 25—1

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი
ავადმყოფ. მიიღებს დილით 8—9 საათამდე, საღამოთი 6—7 საათამდე ყოველდღე გარდა კვირისა.
პლეხანოვის გამზირი (ყოფ. მიხეილის) № 64.

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
ურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ.
ბებუთოვის ქუჩ., № 23
25—1

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი
ტფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი იღებს ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6 საათ
კამოს ქუჩა, № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა).
25—7

დაიკარგა საწევრო წიგნაკი საქ. ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირისა № 95491 ილია გიორგისძე მამფორიას სახელზე, ჩ. გ. 2749

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 3463, სიდონია ფირუზაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2743

დაიკარგა პარტ-კანდიდატის ბილეთი № 24154 გიორგი გიორგისძე ბასილაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2746

დაიკარგა პირადობის მოწმობა სონია იოსებაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2744

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 941, არჩილ ჩიქოვანის სახელზე, ჩ. გ. 2745

დაიკარგა ლომბარდის ქვითარი № 21610, ჩ. გ. 2750

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის მოწმობა, ფორმა № 4 შალვა მეთოდესძე უკლებას სახელზე, ჩ. გ. 2755

დაიკარგა საალრიცხვო ბარათი № 741, კონსტანტინე კალატოზოვის სახელზე, ჩ. გ. 2742

დაიკარგა შრომის ბირჟის წიგნაკი № 6802, სერაპიონ ნესტორისძე დათეშიძეს სახელზე, ჩ. გ. 2748

დაიკარგა სამხედრო საბუთის № 8775 ჩამონაჭერი „ვ", მიღებული ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამნეო ნაწილიდგან სვიმონ ხორბალაძეს სახელზე, ჩ. გ. ქ. 2754

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი, და პირადობის მოწმობა ვალიკო თამასძე დევდორაძეს სახელზე, ჩ. გ. 2753

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 14561 ეკატერინე ჩინჩალაძის სახელზე, ჩ. გ. 2751

დაიკარგა პირადი წიგნაკი № 268 მარტვილის რაიონის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ მოცემული ლუარსაბ სტეფანესძე გეგეჭკორის სახელზე, ჩ. გ. 2757

დაიკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 7950, კ. ჭარბაძის სახელობაზე, ჩ. გ. ქვ. 2759

დაიკარგულია მოწმობა თბ. საბჭოთა პარტიული სკოლის დამთავრების შესახებ 1925—26 სამოსწ. წლ. № 913—31 მაისის თარიღით ამხ. არქიპო გურგენიძის სახელზე, ჩ. გ. 2758

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68